

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 11 (310)
ნოემბერი
2022

25 წელი უჩინარ...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 11 (310)

ნოემბერი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან

ინფორმაცია ბათის 2022 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების შესახებ 3

ბათი ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესზე MCOA-2022 25

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რუბრიკას უძღვება გავი ალკვერდაშვილი

დანახარჯი-მოცულობა-მოგება (CVP) ანალიზი

მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“ 28

მოდული – სტრატეგიული ბიზნესლიდერი

გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან სტრატეგიული ბიზნესლიდერის

მოდულის გამოცდის შემფასებელი 35

როგორ ჩავაბაროთ სტრატეგიული ბიზნესლიდერის (სბლ)

მოდულის გამოცდა 46

საბა ძაძამია

ფინანსური ფუნქციები წლიური ციკლის შემდუღვებისგან უნდა

„გათავისუფლდეს“ 50

საჯარო სექტორის ფინანსისტის პროფესია მრავალ გამოწვევას ებრძვის 52

ოფიციალური მასალები 54

კითხვა-პასუხი 69

ინფორმაცია პირუბიდან 74

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი

წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97

რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი

კორექტურა: თ. ცქიტიშვილი



ინფორმაცია ბაფის 2022 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების შესახებ

მოკლე ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, ბაფის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით, აირჩევიან გამგეობის თავმჯდომარე (1) და გამგეობის წევრები (არა უმეტეს 11 წევრი). არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პირთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2022 წლის 10 ოქტომბრიდან.

ბაფის ყველა წევრს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. არჩევნების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო მიმდინარე წლის სექტემბრიდან: ბაფის ვებგვერდზე (www.baf.ge), ფეისბუქგვერდზე და ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“.

გამგეობის წევრობაზე არჩევნებში მონაწილეობის კანდიდატად დარეგისტრირდა 17 პირი, მათ შორის 1 განაცხადია გამგეობის თავმჯდომარეობაზე.

შესაძლებლობა გაქვთ გაეცნოთ ბაფის გამგეობის თავმჯდომარეობისა და გამგეობის წევრობის კანდიდატებსა და მათ სამოტივაციო წერილებს.

გამგეობის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები:

რუსუდან ჟორჟოლიანი

გამგეობის თავმჯდომარეობის კანდიდატი

კონსტანტინე დათიაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ნოდარ ებანოიძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ნიკოლოზ ჭოჭუა

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ნიკოლოზ ბაკაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

თეიმურაზ ფარცხალაძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

გონა ჭოლოკავა

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ნინო მენაბდე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

სალომე ოდიშარია

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ლია გოგსაძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ქეთევან ყარაულაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

მზევინარ გურაბანიძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

დავით პაპიაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

მურად ნარსია

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ლევან საბაური

გამგეობის წევრობის კანდიდატი

მიხეილ აბაიაძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი

ნონა რევაზიშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

რუსუდან ჟორჟოლიანი-ნიქაბაძის

სამოტივაციო წერილი

ძვირფასო კოლეგებო, პატივცემულო ბაფის წევრებო, თქვენი არჩევანით თითქმის ხუთი წელი ვასრულებდი ბაფის გამგეობის თავჯდომარის ფუნქციას, რამაც მთელი სიგრძე - სიგანით გამათავისებინა ის პასუხისმგებლობა, რასაც ჩვენი დიდი პროფესიული ოჯახის ხელმძღვანელობა მოითხოვს.

პროფესია რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ეთიკის მოთხოვნებსა და ნდობაზე დაფუძნებული პროფესიაა და დამერწმუნეთ, რომ მისი ხელმძღვანელობისას კიდევ უფრო მწვავედა ეს პრინციპები.

ვინც ეს გზა გაიარა დამეთანხმება ალბათ, რომ ხელმძღვანელობა არ არის თანამდებობა ის მხოლოდ რთულად გასავლელი გზაა. დღეს კი, არსებულ რეალობაში ხელმძღვანელობდე ბაფს - კლდის წვეროზე გადებულ ბეწვის ხიდზე სიარულს ნიშნავს და ღმერთმა ნუ ქნას წონასწორობამ გიმტყუნოს.

პატივცემულო ბაფის წევრებო! მე მადლობელი ვარ, რომ თქვენი ნდობით და თანადგომით 5 წელი ვიარე ამ გზაზე.

დღეს ახალი საარჩევნო ეტაპია ჩვენს ორგანიზაციაში და გაცილებით უფრო საპასუხისმგებლო ვიდრე ოდესმე, როგორც კანდიდატებისათვის, კიდევ უფრო მეტად ამომრჩევლებისათვის, დღეს ორთავეს დიდი წინდახედულობა და გონიერება გვმართებს.

მომდევნო 2 წლიან პერიოდში ბაფი რეალურად გადადის თავის განვითარების ახალ ეტაპზე, რომელიც 2021 წლის საანგარიშო კრებაზე დავგეგმეთ და ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას მოუწევს ამ გეგმების ფაქტობრივად განხორციელება.

ეს რთული, მაგრამ ეტაპობრივად გასავლელი, გარდაუვალი გზაა.

საარჩევნო განცხადების წარდგენის ბოლო ვადის ამოწურვამდე გულწრფელად მჯეროდა, რომ დღევანდელი გამოწვევით დაინტერესდებოდა ბაფის გულშემატკივარი, სანდო და კომპეტენტური წევრები, რომელიც საბედნიეროდ ბაფს არაერთი ჰყავს და გამგეობის თავჯდომარეობის შესაფერისი და ღირსეული კანდიდატები წარადგენდა განცხადებას.

მე კი მქონდა მზაობა და გარკვეულ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი, შემომეტანა განაცხადი, როგორც გამგეობის წევრს და ახლად არჩეულ გამგეობის წევრებთან ერთად, ხელი შემეწყო ჩვენს პერიოდში დაწყებული ცვლილებების განხორციელებისათვის.

ამ წუთებში სხვა რეალობა დგას - ბაფის თავჯდომარეობის კანდიდატის არც ერთი განაცხადი არ შემოვიდა და ამ სიცარიელეს ბაფის არსებული წესდება ვერ პასუხობს.

მივიღე გადაწყვეტილება, შემოვიტანო განაცხადი ბაფის თავჯდომარეობის კანდიდატად და ამ წუთებში მთელი სიცხადით ვაცნობიერებ თუ რა ნაბიჯს ვდგამ....

ბაფის წევრებო!... აქ, როგორც წესი ჩემი დაპირება უნდა გაგიცხადოთ, მაგრამ არ ვაპირებ და არც გაკადრებთ ზოგადი და ორაზროვანი გამონათქვამები თავზე მოგახვიოთ.

დღეს დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ბაფის ხელმძღვანელობის ტვირთის იმ ბეწვის ხიდზე" ტარებას დიდი გამოცდა ელის და ან ყველა ერთად ან ჩავაბარებთ ამ გამოცდას ან ვერა.

ერთი კი, რაც გულწრფელად მწამს, არის ის, რომ ამ ორგანიზაციას კეთილშობილური სანწყისები აქვს და ის შეიქმნა არა ვინმეს ან რაიმეს „ჭიბრის“ ან დაპირისპირებისათვის, არამედ პროფესიული პასუხისმგებლობის, კოლეგიალური თანადგომის, ეთიკური ღი-

რეზულტატების უპირობო აღიარებით და მისი საძირკველი არც ისე ადვილი მოსარყევია. იმაშიც მყარად ვარ დარწმუნებული, რომ მის შემდგომ განვითარებას ასეთივე უპირობო და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

იმისათვის კი, რომ მისი შემდგომი განვითარება შევძლოთ, ყველამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ:

ბათის წევრებმა, ამომრჩევლებმა – გაცნობიერებული და მიუკერძოებელი არჩევანი,

ხოლო კანდიდატებმა – პასუხისმგებლობა იმისა, რომ: სიღრმისეულად ვიცნობთ ბათის ისტორიას და მისიას; ვაცნობიერებთ, თუ რა დრო და ძალისხმევაა საჭირო ამ ფუნქციების შესასრულებლად და მზად ვართ უანგაროდ გავიღოთ ის; გულწრფელობით, მიუკერძოებლობით და სხვების პატივისცემით შევძლებთ გუნდურ და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

პატივცემულო ბათის წევრებო, თუ თქვენ ამ წერილს კითხულობთ, ეს ნიშნავს, რომ მე ავიღე ეს პასუხისმგებლობები, მაგრამ მთავარი თქვენი არჩევანია:

ნდობა ან არის ან არა! სათუოდ მიღებული გადაწყვეტილება არაფერს წაადგება.

დიდი პატივისცემით,

რუსუდან ჯორჯოლიანი

კონსტანტინე დათიაშვილის

სამოტივაციო წერილი

პატივცემულო დელეგატებო, ძვირფასო კოლეგებო!

ვარ ბათის თანადამფუძნებელი და სხვადასხვა პერიოდებში არჩეული ვიცავი გამგეობის წევრად, ვხელმძღვანელობდი განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტს. ასევე, ვიცავი კონსულტანტი წევრებთან მომსახურების სფეროში და როგორც გამგეობის წევრი, ვმონაწილეობდი ბათის მართვასა და საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში. მაქვს ეკონომისტის კვალიფიკაცია და პროფესიონალი ბუღალტრის/აუდიტორის სტატუსი.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ პროფესიული ორგანიზაციების მართვა, საგანმანათლებლო და სერტიფიცირების პროგრამები სპეციფიურია და ამ მიმართულებით საქმიანობა გარკვეულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში ამ სფეროში საქმიანობით, შევიძინე როგორც აღნიშნული საკითხებისადმი ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება და შესაძლებლობის ფარგლებში, მოკრძალებული წვლილი შემქონდა ბათის განვითარების საქმეში. მოგეხსენებათ, ბუღალტერთა გადამზადება, პროფესიული სერტიფიცირება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა ბათის ძირითადი საქმიანობაა. მინდა აღვნიშნო, რომ ბათის საგანმანათლებლო სისტემა სრულ შესაბამისობაში ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებთან; ბათის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა და საგამოცდო სისტემა აკრედიტებული და აღიარებულია ბრიტანეთის ნაციონალური ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (სარასი) მიერ.

ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, შემდგომ საარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი იქნება სარასთან თანამშრომლობა სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების შესაბამისად, მომზადებული და აღიარებული პროგრამების სრულყოფისა და იმპლემენტაციის კუთხით. აგრეთვე, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ბაფსა და ACCA-ს შორის აკრედიტაციის მოთხოვნათა შესაბამისობის დაცვა და შემდგომ საანგარიშო პერიოდისათვის აკრედიტაციის შენარჩუნება.

ვფიქრობ, გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, ჩემი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სასარგებლო იქნება ბაფის წევრების განათლებისა და სერტიფიცირების სფეროში მიღწეული შედეგების არამარტო შესანარჩუნებლად, არამედ მის გასაუმჯობესებლად. ასევე, ბაფის გამგეობის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

პატივისცემით,

კონსტანტინე დათიაშვილი

ნოდარ ებანოიძის

სამოტივაციო წერილი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრების დელეგატებს

ძვირფასო კოლეგებო!

ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება კვლავ გთხოვოთ საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრობისათვის მხარდაჭერა.

ჩემი გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ სურვილი მაქვს მოკრძალებული წვლილი შევიტანო პირადად ჩემთვის და ჩვენი პროფესიისთვის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის, ბაფის საქმიანობაში. ბაფის, რომელმაც წლების განმავლობაში, მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების შრომისა და თავდადების წყალობით შეძლო არა მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრის სტატუსის მოპოვება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარება, არამედ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ქვეყანაში ამ მიმართულებით ადამიანთა პროფესიულ ზრდაში.

შედეგები მართლაც შთამბეჭდავია და ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, რაც დიდად შეუწყობს ხელს პროფესიის შემდგომ განვითარებას და ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

ორიოდე სიტყვით ჩემს მოკრძალებულ წვლილზე მოგახსენებთ. ვარ ფედერაციის გამგეობის წევრი 2016 წლიდან დღემდე. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი და ვიღებ ფედერაციის საქმიანობაში და შემდგომშიც, მიუხედავად ჩემი მომავალი სტატუსისა, რასაც არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, მზად ვარ აქტიურად ვიყო ჩართული მიმდინარე საქმიანობაში.


პროფესიით ვარ ეკონომისტი. ვსაქმიანობდი ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ რგოლში, საქართველოს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოში.

2007 წლიდან დღემდე ვენევი აუდიტორულ საქმიანობას--ამჟამად ვარ აუდიტორული კომპანია „ინტელექტ-აუდიტის“ გარიგების პარტნიორი და დირექტორი.

ვიყავი საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2018 წლიდან დღემდე აქტიურად ვარ ჩართული მსოფლიო ბანკის პროექტში, რომელიც ეხება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვას. ასევე, როგორც ბაფის წარმომადგენელი, ვმონაწილეობდი პროფესიის აქტუალურ თემებზე ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში.

პატივისცემით,



ნოდარ ებანოიძე

ნიკოლოზ ჭოჭუას

სამოტივაციო წერილი

პატივცემულო დელეგატებო,

მე გახლავართ ნიკოლოზ ჭოჭუა, შპს KPMG Georgia-ს აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი.

წინამდებარე წერილით გამოვხატავ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ბაფ) გამგეობის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის სურვილს და მზაობას, რომ ჩემი პროფესიული ცოდნა და უნარები მოვახმარო ბაფ-ის წინაშე არსებული მიზნების მიღწევას და შემდგომ განვითარებას.

2015 წლიდან დღემდე ვარ პრაქტიკოსი აუდიტორი და ჩემი საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს მოწინავე ქართული კომპანიებისთვის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად აუდიტის ჩატარება.

2016 წლიდან გახლავართ "Association of Chartered Certified Accountants" (ACCA) წევრი, ასევე ვარ ბაფ-ის წევრი.

მჯერა, რომ ჩემი პროფესიული უნარები და გამოცდილება შესაძლებლობას მომცემს ბაფ-ს ხელი შევუწყო:

- პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფაში;
- საზოგადოებაში პროფესიის მიმართ ნდობის ამაღლებაში;
- საერთაშორისო ბუღალტრული ორგანიზაციებსა თუ ასოციაციებთან პარტნიორობის გაღრმავებასა და
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობაში.

გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, არ დავიშურებ ენერგიას, რომ ჩემი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ბაფ-ის მიზნების განხორციელებას და გამგეობის წევრებთან თანამშრომლობით ხელი შევუწყო პროფესიის განვითარებას.

პატივისცემით,



ნიკოლოზ ჭოჭუა

ნიკოლოზ ბაკაშვილის

სამოტივაციო წერილი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ძვირფასო წევრებო!

პატივცემულო კოლეგებო, თქვენს მიერ გამოხატული ნდობისა და მხარდაჭერის შედეგად, ჩემი გამგეობის წევრად არჩევის შემდეგ ორი წელი გავიდა და კვლავ თქვენი ყურადღების, მხარდაჭერისა და თანადგომის იმედით მინდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე საარჩევნო მარათონში ჩემი ჩაბმა ნაკარნახევია იმ სერიოზული გამოწვევებისა და პრობლემების პირისპირ დგომით, რაც დღეს ჩვენს პროფესიას უდგას!

განვლილი ორი წელი ხომ კაცობრიობისა და მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვის პანდემიასთან გამკლავების ეპოქად აღიქმებოდა და აქედან გამომდინარე, ცხოვრების და მუშაობის წესის ახლებურად დამკვიდრება მოგვინია, კერძოდ, ბოლო პერიოდში ჩვენგან ინიცირებული რეგიონებში შეხვედრების და წევრებთან მაქსიმალურად დაახლოების პირობებში არსებული თუ მოსალოდნელი პრობლემების ერთად გადანაცვების პოლიტიკა ნაწილობრივ ონლაინ სისტემით დამყარებული კავშირებით შეიცვალა, რაც ვფიქრობ განსაახლებელია და უფრო მეტიც, პროფესიული დახმარება საჭირო ადგილებზე.

პროფესიული ორგანიზაციის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და თავად პროფესიის განვითარებისთვის ბაფის ხელმძღვანელობამ და გამგეობამ სერიოზული სამუშაო გასწია და შესაბამისად იქნა შეფასებული კიდევ მარეგულირებლის მხრიდანაც, რასაც მოჰყვა მცდელობა და რეალური ნაბიჯების გადადგმა საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.

გულწრფელად მინდა განვაცხადო, რომ ჩვენს პროფესიულ ორგანიზაციას დინამიური განვითარების პროცესში სხვა გამოწვევებიც გაუჩნდა ბოლო პერიოდში, რასაც პროფესიის შიგნით და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამგეობის ზოგიერთი წევრის მხრიდან მცდარი აზრების ტირაჟირება მოჰყვა.

ბეზოალონიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნდა, მიმაჩნია და მომავალშიც „ბაფ“-ის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაშიც, ჩემი ქმედება მიმართული იქნება პროფესიის განვითარებისკენ, ქართული აუდიტორული კომპანიების წარმოჩენისაკენ, აუდიტორულ ბაზარზე თანაბარზომიერი პირობების დანერგვისკენ, ჩვენი პროფესიული ორგანიზაციის სახელის, ავტორიტეტის, ერთიანობის, სიმტკიცის, საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხისა და სტანდარტების უზრუნველყოფისაკენ.

პატივისცემით,

6. ჭყეშვილი

ნიკოლოზ ბაკაშვილი

თეიმურაზ ფარცხალაძის**სამოტივაციო წერილი**


მე როგორც საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრობის კანდიდატი და სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე, ვფიქრობ რომ ჩემი ფედერაციის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში:

ხელს შევუწყობ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში/უნივერსიტეტებში იყოს აღრიცხვა აუდიტის სპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები, რათა სტუდენტმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიქმნას მყარი საფუძველი სწავლის გასაგრძელებლად, რათა მოიპოვოს პროფესიონალის სერტიფიკატი. ასევე ხელს შევუწყობ, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სასწავლო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი სახელმძღვანელოებით ქართულ ენაზე, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიზნესის და პროფესიის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას.

მაქსიმალურად ვეცდები ხელი შევუწყო აუდიტის და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გავრცელებას და დანერგვას საქართველოში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დანერგვას, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით რელევანტურია საქართველოში მოქმედი 90%-ზე მეტი საწარმოებისათვის. ასევე ხელს შევუწყობ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის, როგორც პროფესიონალური ორგანიზაციის განვითარებას და პირველ რიგში მის პროფესიონალებზე ორიენტაციას და ფოკუსირებას.

მივიღებ მონაწილეობას აღრიცხვა-აუდიტის კანონმდებლობის და რეგულირების განხილვაში, რომელიც შესაბამისი იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან და ხელს შევუწყობს აღრიცხვის და აუდიტის პროფესიის განვითარებას, სტანდარტების დამკვიდრებას და ხარისხის კონტროლის სისტემის რეალურად განხორციელებას.

პატივისცემით,



თეიმურაზ ფარცხალაძე

გონა ჭოლოკავას

სამოტივაციო წერილი

მოგესალმებით და მადლობას გიხდით იმისათვის, რომ გაქვთ განზრახვა გაეცნოთ ჩემს სამოტივაციო წერილს.

მინდა ორი სიტყვით გაგაცნოთ ჩემი ხედვა აღრიცხვიანობის რიგი საკითხების შესახებ. ზოგადად იგი ეყრდნობა შემდეგ პოსტილატებს: 1. ქვეყნის კეთილდღეობის ბაზის წარმოადგენს ჯანსაღი ეკონომიკა. 2. ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია სრულფასოვანი, მაქსიმალურად თავისუფალი ბიზნეს გარემო. 3. კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს ფორმირება წარმოუდგენელია მის მოთამაშეებზე მაქსიმალურად სრული ბიზნეს ინფორმაციის არსებობის გარეშე. 4. ბიზნესზე კვალიფიციური და სრული ინფორმაციის არსებობა შეუძლებელია სუსტი სააღრიცხვო სისტემის არსებობის შემთხვევაში. 5. გამართული, ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული, სააღრიცხვო სისტემების ფუნქციონერებას ჭირდება შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია-მოვალეობები და ექნება მზაობა კუთვნილი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის უპირველესად ეკონომიკური, ხოლო შემდეგ კი ზოგადად განვითარების საქმეში.

ვფიქრობ მოცემულ პოზიციაზე არჩევის შემთხვევაში მომეცემა საშუალება ჩემი წვლილი შევიტანო ბევრთ ჩამოთვლილ საკითხებში. მიმაჩნია, რომ მაქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, ვთვლი, რომ გამგეობის წევრობა ჩემი უნარ-ჩვევების ადეკვატურია.

აქვე მინდა ორიოდ სიტყვით მოგიხსნათ ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების და მიღებული ცოდნის შესახებ. უპრველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ჩემი გამოცდილება ბიზნესსა და აღრიცხვის სფეროში, რომელიც დაახლებით 35-40 წელს ითვლის. არსებულმა გამოცდილებამ და მიღებულმა ცოდნამ მომცა იმის უნარი, რომ საკმაოდ დიდი სიღრმით შევისწავლო ბიზნეს პროცესები და დავადგინო ან დავნერგო ბიზნესის ინტერესებზე მორგებული სააღრიცხვო სისტემები. ჩემი ბიზნესთან და აღრიცხვიანობასთან ურთიერთობა იწყება 1995 წლიდან, როდესაც იმდროინდელი აუდიტორული კომპანიების დიდი ხუთეულიდან ერთ-ერთის, აუდიტორული კომპანიის ანდერსენი კონსალტინგის, ეგიდით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელშეწყობით ქ. მოსკოვში, დავამთავრე ბიზნესის მენეჯმენტის კურსები. აღრიცხვიანობის სფეროში საქმიანობა დავიწყე 2007 წლიდან. 2010 - 2015 წლებში გავიარე პროფესიონალ ბუღალტერების ინსტიტუტში არსებული ასსა-ის სრული კურსი. ვარ ბაფის წევრი 2010 წლიდან, 2015 წლიდან კი პროფესიონალი ბუღალტერი. 2016 წლიდან ვარ ასსა პროგრამის გავლის შედეგად სერტიფიცირებული აუდიტორი, 2017 წლიდან ვარ სერთიფიცირებული ბიზნესის და არამატერიალური ქონების შემფასებელი, ხოლო 2018 წლიდან კი მოძრავი ქონების სერტიფიცირებული შემფასებელი. 2016 წლიდან ვარ აუდიტორული კომპანია „არბიტრანსის“ მმართველი პარტნიორი. 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე ვიყავი საერთაშორისო ქსელური კომპანია ფი ქე ეფ კაიზენის აუდიტის გარიგების პარტნიორი, ხოლო 2022 წლის 1 ოქტომბრიდან კი ამავე კომპანიის თანამფლობელი და მმართველი პარტნიორი. მიმაჩნია, რომ ხარისხიანი აუდიტის წარმართვის პროცედურები, ხარისხის კონტროლის ახალი სტანდარტების, ხმს1, ხმს2 და ასს 220 მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, როგორც აუდიტორული

ფირმის აგრეთვე ჩატარებული აუდიტის გარიგების დონეზე. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება, რომ აუდიტორული ფირმა შპს „არბიტრანსს“ შეეჩერებინა აუდიტორული საქმიანობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2022 წლის 28 ნოემბრიდან ჩემი თხოვნით ამოღებულ იქნა აუდიტორული კომპანიების რეესტრიდან.

სისტემურად გაცნობიერებული მაქვს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოში დღეს მოქმედი კანონისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები, ახალი გამოწვევები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში, გამოკვლეული მაქვს ბოლო წლების საქართველოს აუდიტორული ბაზრის მონაცემები, ვიცნობ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ხედვებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განვითარების პერსპექტივებზე, სისტემატიურად ვეცნობი ზედამხედველი ორგანოს- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მისი შექმნის დღიდან დღემდე განხორციელებულ აქტივობებს. როგორც ხედავთ ჩემთვის ნაცნობია, როგორც არა ქსელური აგრეთვე საერთაშორისო ქსელური აუდიტორული კომპანიების გამოცდილება, ამიტომ არ მომწონს ის გარემოება რომ ბაფ-ის გამგეობის ხელმძღვანელობას საკმაოდ შიშნარევი ურთიერთობა აქვს ზედამხედველობის სამსახურთან, თუმცა არც დაპირისპირების მომხრე ვარ და ვფიქრობ, რომ ყოველი საკამათო საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთპატივისცემით და საერთო ინტერესების გათვალისწინებით. მიმაჩნია რომ ჩვენს სფეროში მაღალი ხარისხის მისაღწევად აუცილებელია — მეტი ურთიერთობა და ჩართულობა როგორც ბაფის მხრიდან აგრეთვე ზედამხედველობის სამსახურის მხრიდანა, ამასთან აუცილებელ პირობად მიმაჩნია ბაფ-ის დამოუკიდებლობის ხარისხის დაცვა შენარჩუნება. საზოგადოდ ვთვლი, რომ ბაფ-ის საქმიანობა გაცილებით აქტიური და დინამიური უნდა იყოს აუდიტორებისა და ბუღალტრების პროფესიების პოპულარიზაციის ნაწილში. ვფიქრობ, რომ აუცილებელია ბაფის წევრ აუდიტორებს და ბუღალტრებს ბაფის თანადგომის მეშვეობით უფრო მეტი შესაძლებლობა ქონდეთ გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა და ამ გზით უზრუნველყონ როგორც საკუთარი აგრეთვე ჩვენი დარგის პროფესიული განვითარება.

მიუხედავდ იმის რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურებულია ეს საკითხი და ექცევა გარკვეული ყურადღება მე მაინც ვფიქრობ, რომ უფრო მეტი ყურადღება ჭირდება მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით, აუცილებელია თანამშრომლების სწავლების საკითხში ქმედითი, კომპეტენტური კონსულტაციებისა და სხვა აქტივობების განხორციელება.

ვფიქრობ ჩემეული ხედვა საკმაოდ პოზიტიურად და ეფექტურად იმოქმედებს ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიულ ზრდაზე და შესაბამისად ჩვენი პროფესიული ბიზნეს გარემოს გაზრდა-განვითარებაზე. გარდა ამისა, ვფიქრობ გასათვალისწინებელია, რომ ჩემი აქტივობები არ ავნებს, სდპ აუდიტის განხორციელების უფლების მქონე კომპანიების, აგრეთვე რეგულატორის საქმიანობას, პირიქით უფრო მეტად განავითარებს მას.

მადლობას გიხდით, რომ გამონახეთ დრო გაცნობოდით ჩემს სამოტივაციო წერილს.

გოჩა ქოლოკავა

ნინო მენაბდის

სამოტივაციო წერილი

გაცნობებთ, რომ ფედერაციის ნამდვილი წევრი ვარ 2000 წლიდან და არასდროს არ წამომიყენებია ჩემი კანდიდატურა გამგეობის წევრობის პოზიციაზე, თუმცა ყოველთვის დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ყველა მნიშვნელოვან მოვლენებს. ეხლა გადაწყვიტე წარვადგინო ჩემი კანდიდატურა საქართველოს პროცესიულ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრის პოზიციაზე, როგორც ბიზნესში დასაქმებული ბუღალტერმა.

განათლებით ვარ ინჟინერი (ბაკალავრიატი), ეკონომისტი (ბაკალავრიატი), ფინანსები (მაგისტრატურა/თავისუფალი უნივერსიტეტი). ვარ ასოცირებული პროფესორი და ძირითად პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ვკითხულობ ლექციებს ქართულ/ამერიკულ უნივერსიტეტში (GAU). ეს მაძლევს საშუალება ურთიერთობა მქონდეს ახალგაზრდა თაობასთან და ზუსტად გავიაზროთ მათი ინტერესები, მოთხოვნები.

მე პრაქტიკიდან მივედი საგანმანათლებლო სფეროში. მაქვს 25 წლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა სფეროებში (მშენებლობა, ქიმიური წარმოება, ლუდის და ლიმონათის წარმოება). შეძლებისდაგვარად ძირითად საქმიანობასთან ერთად ვმუშაობ დამოუკიდებელ აუდიტორად.

კარგად ვიცნობ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს დღეს მოქმედ კანონს. ვაცნობიერებ გლობალურ ახალ გამოწვევებს ჩვენი საქმიანობის სფეროში. მაქვს სურვილი ჩვენი პროფესიული ორგანიზაცია გახდეს ჩვენი პროფესიის (ბუღალტერია/აუდიტი) პოპულარიზაციისათვის უფრო აქტიური ახალგაზრდებში და პროფესიული საქმიანობის ხარისხის ამაღლებაში. გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, ჩემი მრავალწლიანი/მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილებით მინდა წვლილი შევიტანო ბაფი-ს წარმატებაში და ჩვენი პროფესიის პოპულარიზაციაში.

ნ. მენაბდე

ნინო მენაბდე

სალომე ოდიშარიას

სამოტივაციო წერილი

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ მცირედი პროფესიული ინფორმაცია ჩემს შესახებ. 2001-2005 წწ-ში წარჩინებით დავასრულე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი აუდიტის სპეციალობით და მომენიჭა ბაკალავრის ხარისხი. 2006-2008 წწ-ში ამავე უნივერსიტეტში დავასრულე ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი ბიზნესის მართვის სპეციალობით და მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ხოლო უკვე 2019 წლის ივლისში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მომენიჭა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2010 წლის 20 სექტემბრიდან გახლავართ სერთიფიცირებული ბუღალტერი და ამავე პერიოდიდან ვარ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრი.

2018 წლის დეკემბერში კონკურსის წესით არჩეული ვიყავი USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) ფარგლებში ქართულენოვან მსს ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) ტრენერად, რაც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით ტრენინგის ჩატარებას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში (ფასს).

ჩემი კარიერული მოღვაწეობა 2006 წლიდან იწყება და შეიძლება ითქვას, ჩვიდმეწლიანი გამოცდილება მრავალ საერთაშორისო, ადგილობრივ საწარმოებსა თუ არაკომერციულ ორგანიზაციებში (ააიპ) ბუღალტრის, მთავარი ბუღალტრის თუ ფინანსური მენეჯერის პოზიციებზე მუშაობას მოიცავს. ჩემი სამუშაო გრაფიკი საშუალებას მაძლევს ბუღალტრული მომსახურება გავუწიო სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ბიზნესკომპანიებს, ასევე მონაწილეობა მივიღო აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელ ჯგუფებში აუდიტორის ასისტენტის სტატუსით. 2018 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული სატრენინგო საქმიანობაში, რაც ძირითადად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მოიხმრებს თავის თავში, თუმცა, არა მხოლოდ. ამავე პერიოდიდან აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ქვეყნის მასშტაბით დანერგვაში. უკვე 2020 წლიდან ვარ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორი და ვუძღვები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ლექციებს. 2021 წლიდან საგადასახადო ექსპერტად მუშაობა დავიწყე ჟურნალში „გადასახადები და აღრიცხვა“.


ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება და შესაბამისი უნარები იძლევა საფუძველს მაძლევს უფლებას წარვადგინო ჩემი კანდიდატურა ბაფის გამგეობის წევრობაზე, რაც საშუალებას მომცემს ჩემი პროფესიული გამოცდილებით მხარში დავუდგე ბაფს, რომელიც თავის მხრივ უამრავ ბუღალტერ წევრს აერთიანებს და ეს მაშინ, როცა ზუსტად ბუღალტრებთან ყოველდღიური ურთიერთობით, შეიძლება ითქვას, კარგად ვიცი რა აწუხებთ მათ, რა საკითხების გადაჭრა სურთ.

ბაფის გამგეობაში წევრად (ბუღალტრის კვოტით) არჩევის შემთხვევაში მაქვს განზრახვა ბაფის მენეჯმენტთან ერთად დავაორგანიზო ბაფის წევრი ბუღალტრების გამოკითხვები

ამ კატეგორიის სპეციალისტების ინტერესების, სურვილებისა და მიზნების, გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, გავეცნო ამ სფეროში არსებულ კვლევებს, შედეგებს გავუკეთო სისტემატიზაცია და შევიმუშაოთ ადეკვატური ღონისძიებები ბაფის მენეჯმენტთან ერთად მათი განხორციელების მიზნით.

მაქვს განზრახვა ჩემი პროფესიული უნარები და გამოცდილება მოვახმარო ბაფის წევრ პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიონალიზმის ამაღლებასა და ბაფის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

გმადლობთ თქვენი იმ დროისათვის, რომელიც დაუთმეთ ჩემი სამოტივაციო წერილის გაცნობას.



სალომე ოდიშარია

ლია გოგსაძის

სამოტივაციო წერილი

დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტი, მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობით. 1999 წელს მივიღე პროფესიონალი ბუღალტრის წოდება. 2010 წელს დავამთავრე ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც ეფუძნება ACCA პროგრამას.

ვმუშაობდი სხვადასხვა კომპანიებში ფინანსურ მენეჯერად, მთავარ ბუღალტრად, საგადასახადო ექსპერტად, აუდიტორად, აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსად. მაქვს 30-წლიანი პროფესიული გამოცდილება.

2000 წლიდან დღემდე ვმუშაობ პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტში პროფესიული გადამზადების ფაკულტეტის ლექტორად მოდულებში: F3 — „ფინანსური აღრიცხვა“, F7 — „ფინანსური ანგარიშგება“, F8 — „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“.

მაქვს ევროპელი და ამერიკელი დონორების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება.

2000 წელს ვკითხულობდი ლექციებს „საგადასახადო ინსპექციის მოხელეთა გადამზადების“ პროექტში.

2003, 2008, 2019 და 2022 წლებში მიწვეული ვიყავი USAID- ისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ „ACCA-ის წიგნების თარგმანისა და სერტიფიცირების განვითარების“ პროგრამაში მოდულების თარჯიმნად და ექსპერტად.

2005 წელს, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ „კონტროლის პალატის მოხელეთა გადამზადების“ პროექტში ვკითხულობდი ლექციებს.

2022 წელს მიწვეული ვიყავი ლექტორად მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტში „უნივერსიტეტის ლექტორების ტრენინგები პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის (ACCA) სწავლების მეთოდოლოგიაში“.

ბაფის სახელით მონაწილეობა მაქვს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიების განვითარების საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესში.

2000 წლიდან ვარ ბაფის ნამდვილი წევრი და ორჯერ ვიყავი არჩეული ბაფის გამგეობის წევრად.

მაქვს სურვილი კვლავ გავხდე საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და აქტიური მონაწილეობა მივიღო იმ მნიშვნელოვან საქმეში რაც აუცილებელია: ჩვენი პროფესიის განვითარების, ახალი პროფესიონალების ჩამოყალიბების და ორგანიზაციის წევრებთან ურთიერთობის გაფართოების საქმეში.

პატივისცემით,



ლია გოგსაძე

ქეთევან ყარაულაშვილის

სამოტივაციო წერილი

პატივცემულო წევრებო, კოლეგებო,

ჩემთვის დიდი პატივია წარდგენილ ვიყო ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად და ამით მხარი დავუჭირო მის შემდგომ განვითარებას.

ვთვლი რომ ჩემი 17+ წლიანი გამოცდილება ფინანსური აუდიტის მიმართულებით და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ამ ხნის განმავლობაში დაგროვებული ცოდნის გაზიარება სარგებელის მომტანი იქნება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის შემდგომი განვითარებისთვის.

დამთავრებული მაქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურა, აღრიცხვის და აუდიტის განხრით (წარჩინებით); სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაციის (ACCA) მიერ მონიჭებული მაქვს FCCA - სრული წევრის სტატუსი; ვარ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტორული ზედამხედველობის სამსახურის მიერ რეგისტრირებული აუდიტორი და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრი სერტიფიცირებული აუდიტორი. ასევე ვარ ბაფის აუდიტის ხარისხის კომიტეტის წევრი და დიაგოსტიკური ანგარიშის მომზადების ექსპერტი.

2005 წლიდან გახლავართ შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო-ს (PwC საქართველო) თანაშრომელი. ჩემი ამჟამინდელი თანამდებობა არის აუდიტის უფროსი მენეჯერი. მაქვს მრავალწლიანი გამოცდილება აუდიტის პროექტების ხელმძღვანელობის. ჩემი კლიენტების პორტფელი მოიცავს მრავალ ადგილობრივ თუ უცხოურ კომპანიას სხვადასხვა ინდუსტრიიდან. პარალელურად ფირმაში ვხელმძღვანელობ ეთიკისა და დამოუკიდებლობის მიმართულებებს და რეგულაციებთან დაკავშირებულ საკითხებს. PwC საქართველო არის მსოფლიოს „დიდი ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული ფირმა. აქ დანერგილი პრაქტიკები და გამოცდილება პასუხობს პროფესიის თანამედროვე მოთხოვ-

ნებს. ამ პრაქტიკების გაზიარება, ასევე საერთაშორისო რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ჩემი ამრით საინტერესო და სასარგებლო იქნება პროფესიული ორგანიზაციისთვის ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.

PwC საქართველო უკვე მე-18 წელიწადია წარმოდგენილია ჩვენს ქვეყანაში და აღრიცხვის და აუდიტის მიმართულების 130-ზე მეტ პროფესიონალს აერთიანებს. PwC საქართველო მუდმივად ზრუნავს არამარტო საკუთარი თანამშრომბელის განვითარებაზე, არამედ როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესი — პროფესიის განვითარებაზე. ჩემი ჩართულობა ბაფის გამგეობის მუშაობაში, როგორც PwC საქართველოს წარმომადგენლის, პროფესიონალთა ძალისხმევას გააძლიერებს და თვალსაჩინოს გახდის.

მჯერა, რომ ჩემი ფირმის და ჩემი ცოდნა, PwC-ის საერთაშორისო გამოცდილება და პოტენციური დამატებით ღირებულებას და სარგებელს შექმნის და თავის წვლილს შეიტანს ბაფის და პროფესიის შემდგომ განვითარებასა და წინსვლაში.

წინასწარ გიხდით მადლობას მხარდაჭერისთვის. სიამოვნებით განვიხილავ თქვენთვის საინტერესო პროფესიულ საკითხს ნებისმიერ წევრთან ინდივიდუალურად, საჭიროების შემთხვევაში.

პატივისცემით,

ქეთევან ყარაულაშვილი

მშვეინარ გურაბანიძე

სამოტივაციო წერილი

მე მშვეინარი გურაბის ასული გურაბანიძე დავიბადე 17.01.1967 წელს თერჯოლის რ-ის სოფელ რუფოთში, 1984 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1993 წელს დავამთავრე გორის ეკონომიკური ინსტიტუტი.

1999-2002წწ. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ფინანსური მენეჯერის" სამეტაპიანი სერტიფიცირების პროგრამის სამივე ეტაპი ფინანსური აღრიცხვის ბუღალტერი, საგადასახადო აღრიცხვის სპეციალისტი, ფინანსების მენეჯერი საქართველოს პროფესიონალი ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრი 2000 წლიდან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ნამდვილი წევრი 2003 წლიდან, საქართველოს პროფესიონალ სულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი 2020-22წ.

ორგანიზაცია	ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა	ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტი,
ფუნქციები	პედაგოგიური საქმიანობა
წლები	1997 წლიდან დღემდე
ორგანიზაცია	შპს „დინა“
თანამდებობა	ფინანსური დირექტორი.

წლები	2003-12 წწ.
ორგანიზაცია	დამოუკიდებელი აუდიტორი
წლები	2012 წლიდან დღემდე
ორგანიზაცია	შპს „აუდიტორული კომპანია ალსო“
თანამდებობა	დამფუძნებელი-დირექტორი გარიგების პარტნიორი

ვფიქრობ, ჩემი პროფესიული საქმიანობა, გამოცდილება, სოციალური უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები მაძლევს იმის უფლებას, კენჭი ვიყარო ბათის გამგეობის წევრად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩემი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაო დაკავშირებულია აუდიტორული საქმიანობასთან, მთელ ჩემს დროს და ენერგიას ვიყენებ პროფესიული განვითარებისათვის, ამ ხნის განმავლობაში არაერთგზის მქონია შემთხვევა ჩვენი კოლეგების პროფესიისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა, რაშავ გადამაწყვეტინა დავრჩენილიყავი გამგეობაში და კვლავ მეყარა კენჭი გამგეობის წევრობაზე, რომ ჩემი წვლილი შევიტანო. პროფესიული ეთიკის უფრო მირეულ დამკვიდრებასა და გავრცობაში. იმედი მაქვს ჩემი ცოდნა და მონდომა ამ კუთხით წაადგება სრულიად ბათს.

პატივისცემით,

მშვეინარი გურაბანიძე

პატივცემულო კოლეგებო

დავით პაპიაშვილი გამგეობის წევრობის კანდიდატი

მე გახლავართ დავით პაპიაშვილი, საერთაშორისო ქსელური აუდიტორული კომპანია Kreston Georgia-ს მმართველი პარტნიორი. მრავალი წელია ჩემი ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა ბუღალტრის, აუდიტორისა და საგადასახადო კონსულტანტის პროფესიის განვითარებასა და პოპულარიზაციას უკავშირდება. ჩემი როგორც პრაქტიკოსი აუდიტორის, ბათის გამგეობის მოქმედი წევრის, acca-ს, Kreston Georgia Academy-ს და სხვა სასწავლებლების ტრენერის მრავალწლიანი საქმიანობა ყოველთვის პროფესიის წარმომადგენელთა ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული. წარმოგიდგენთ იმ წარმატებების ჩამონათვალს რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩემს კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად იქნა მიღწეული:

- ჩემი აქტივობის ერთ-ერთი მიმართულება საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა გასწორების მიზნით მუშაობას გულისხმობს.
- 2021-2022 წლებში აქტიურად ვიყავი ჩართული დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესების, ასევე სხვა საკანონმდებლო სიახლეების შემუშავებაში, რაც კანონმდებლობაში არსებული დამამძიმებელი ნორმების შემსუბუქებასა და ორაზროვნების აღმოფხვრას გულისხმობს.

- აქტიურად ვარ ჩართული ყოველთვიური საგადასახადო სიახლეების საკანონმდებლო მაცნეს შემუშევებაში, სადაც ყოველთვიურად მიმოვიხილავთ ყველა არსებით და კერძო სექტორისთვის საინტერესო საკანონმდებლო სიახლეს და მათ გავლენას კერძო სექტორის საგადასახადო დაბეგვრაზე.
- რეგულარულად ვატარებ სხვადასხვა კვლევებს ქვეყნის საგადასახადო ორგანოს ეფექტიანად მუშაობის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს საქართველოს შემოსავლების სამსახურის ეფექტიანობისა და კერძო სექტორის საგადასახადო შემოწმებებისას კანონთან შესაბამისობის საკითხების შესწავლას.
- აუდიტორული პრაქტიკის პარალელურად აქტიურად ვარ ჩართული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიონალების გადამზადების საქმეში.
- ბოლო 2 წლის განმავლობაში, როგორც ბაფის საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე, ვმონაწილეობდი ბაფში შემოსულ კითხვებზე პასუხის გაცემისა და კონსულტაციის გაწევის პროცესში ყოველთვიურად ვამზადებდით ფედერაციის წევრების მხრიდან შემოსულ კითხვებზე პასუხებს, რაც შემდგომში ფედერაციის ჟურნალში ქვეყნდებოდა. ასევე პერიოდულად ვარ ჩართული ბაფ-ის არაწევრი სუბიექტების მხრიდან შემოსულ კითხვებზე პასუხების მომზადებაში.

ბუღალტრისა და აუდიტორის პროფესიაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე ვთვლი, რომ სამომავლოდაც უნდა გავაგრძელო ჩვენი კოლეგებისათვის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ჩემი ძალისხმევა პროფესიის განვითარებისა და ახალი მიზნების მისაღწევად უნდა მივმართო. მჯერა, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, მნიშვნელოვანი გამარჯვებებისა და პროფესიისთვის სასიკეთო ნაბიჯების გადადგმა იქნება შესაძლებელი. ამიტომაც მაქვს სურვილი მონაწილეობა მივიღო ბაფის გამგეობის არჩევნებში და თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში ვემსახურო ბუღალტრისა და აუდიტის პროფესიის წარმომადგენლებს.

პატივისცემით,



დავით პაპიაშვილი

მურად ნარსიას

სამოტივაციო წერილი

მოგესალმებით და მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ეცნობით ჩემს სამოტივაციო წერილს.

მაქვს ბაფ-ის გამგეობის წევრის თანამდებობის შესაბამისი, დადასტურებული თეორიული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის ბაფის გამგეობის წევრად საქმიანობის უკვე ორწლიანი გამოცდილება, რომელმაც მომცა შესაძლებლობა დამეიდენტიფიცირებინა ყველა ის პრობლემა, რომელიც ბაფის მენეჯმენტში სუფევს. ვთვლი რომ იგი ჩემი უნარების ადეკვატურია, რადგან 2010 წლიდან ვარ ბაფ-ის წევრი, 2020 წლის 12 დეკემბერს ბაფის წევრების მხარდაჭერით არჩეული ვიყავი გამგეობის წევრად, ვსაქმიანობდი ბაფ-ის აუდიტის ხარისხის კომიტეტში, მქონდა სხვა აქტივობები. 2021-2022 წლებში, თქვენს მიერ მოცემული მანდატის წყალობით ჩავუღრმავდი ბაფის საქმიანობის სპეციფიკას, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გააქტიურებული მქონდა აქტივობები რამოდენიმე მიმართულებით. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ) გააქტიურებული მქონდა/მაქვს რა კვლევითი პროექტი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მიმართულებით, კვლევის შედეგებს ვანივთებდი ბაფის საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით, ვმონაწილეობდი ბაფისა და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ შექმნილ კანონპროექტებზე მომუშავე გაერთიანებულ სამუშაო ჯგუფში, რომლის შედეგი საქმიანობის პირველ ეტაპზე საკმაოდ პოზიტიური იყო, რომელიც განივთებულ იქნა 2021 წლის 29 აპრილის საეტაპო წერილში. აღნიშნული კვლევითი პროექტის ფორმატში ჩემს მიერ მომზადებულ იქნა სამსახურის მიერ 2017 წლის 12 ივლისის N5-9 ბრძანებით დამტკიცებული, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წეს“-ში ცვლილების (გაუქმების) მიზანშეწონილობაზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც განხილვის პროცესშია.

კვლევითი პროექტის ფარგლებში მომზადდა აუდიტორული ბაზრის საქმიანობის 2017-2021 წლის სტატისტიკური მონაცემები, გაანალიზებულ იქნა და დაეგზავნა ბაფის წევრებს, მისი ძირითადი მონაცემები განივთებულ იქნა ჩემს მიერ ბაფის ორგანიზებით 2021 წლის 7 ივლისს და 2022 წლის 29 აპრილს ბაფის წევრებისათვის ჩატარებულ სემინარებზე. დღემდე ვარ მოქმედი აუდიტორი, კომპანია „პრიმა აუდიტის“ გარიგების პარტნიორი, ეკონომიკის დოქტორი, სეუ-ს პროფესორი (აკადემიურ თანამდებობაზე). ჩემი და ჩემი კოლეგების ინიციატივით 2022 წლის მარტიდან ფბ -ზე შექმნილია სადისკუსიო ჯგუფი „დამოუკიდებელ აუდიტორთა პლატფორმა-2022“ (რომელსაც წინ უძღოდა 2021 წლის განმავლობაში ბაფის ფორმატში მოქმედი 10 აუდიტორისაგან შემდგარი ჯგუფის სადისკუსიო აქტივობა), სადაც კოლეგები ვმსჯელობთ - პროფესიაში არსებულ გამოწვევებზე, ვათავსებთ პროფესიასთან დაკავშირებული კვლევების შედეგებს, აუდიტორული ბაზრის სტატისტიკურ მონაცემებს, სხვა საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას არა მარტო აუდიტორებისათვის.

მაქვს განზრახვა ხელი შევუწყო ბაფის მენეჯმენტსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის ეფექტურ ინსტიტუციონალური თანამშრომლობას, რომლის საშუალებად, არ მივიჩნევ ამ სამსახურის მიერ რეკომენდებული პიროვნების ბაფის გამგეობაში დანიშვნას, რომელიც ინსტუცი-

ონალურად შეუთავსებელია, ინტერესთა კონფლიქტის მუხტის მატარებელია და, რაც მთავარია, ბაფს აცლის დამოუკიდებლობას, ადვოკატირების ფუნქციას, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას ბაფის წევრების ინტერესების დაცვის ფუნქციის ატროფირებაზე. ბაფის მენეჯმენტმა უნდა გარდაქმნას ამ ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები, რომლის მიღწევა შესაძლებელია მეტი კვალიფიციური და კონსტრუქციული ადვოკატირების მეშვეობით. საამისოდ კი აუცილებლად მიმართა ბაფის მენეჯმენტი, მისი სადისკუსიო პლატფორმა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტებით დაკომპლექტებული ეფექტური და მუდმივად ფუნქციონირებადი სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულით, რომელიც ადვოკატირების, პროფესიულ საკითხების განხილვის თამასას ისეთ დონეზე აწევს, რომ ბაფის მოსაზრებები გახდება მაღალი რწმუნებისა და ყურადსაღები, პატივსაცემი.

ამ პროცესს თან უნდა ახლდეს ბაფის მენეჯმენტის ინსტიტუციონალური განვითარების უზრუნველყოფელი აქტივობები, რომელიც ითხოვს ბაფის წესდების გათანამედროვეობას, რომელშიც ვგულისხმობ ბაფის წესდებაში, ბუღალტრული პროფესიული ორგანიზაციების მართვის კარგი პრაქტიკაში აღნიშნული, ქართულ სამართლებრივ სივრცესთან და რეალურ პირობებთან ადაპტირებული რედაქციით შედგენას, კერძოდ მასში ისეთი დებულებების განივთვლას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ბაფის გამგეობაში მოტივირებული, უნარიანი, კვალიფიციური და პროაქტიული წევრების არჩევას, ბაფის გამგეობისა და მისი აღმასრულებელი სტრუქტურის ფუნქციებისა და საქმიანობის რეალურად გამიჯვნას, დაინტერესებული პირების მხრიდან პროცესებზე გეწოლის (გეგავლენის) მექანიზმების შემცირებას, ზღუდავდეს გამგეობის წევრების უფლებამოსილების ვადას. გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ გამგეობის წევრების როტაცია საკმაოდ ბევრი უპირატესობით გამოირჩევა, მათ შორის ის იცავს გამგეობას სტაგნაციისაგან, ასევე ხელს უშლის ინტერესჯგუფების „ჯგუფური აზრის“ ფორმირებისა და მენეჯმენტისათვის თავსმოხვევის პროცესს და სხვა. წესდება უნდა ზღუდავდეს ერთ აუდიტორული/ბუღალტრული კომპანიაში დასაქმებული ერთზე მეტი ბაფის წევრის რეგისტრირება/არჩევას ბაფის გამგეობასა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში. აღნიშნული ერთობლიობაში, უნდა ქმნიდეს გარემოს ფედერაციის წევრების (მათ შორის მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული/ბუღალტრული კომპანიებისა და ინდივიდუალური აუდიტორების) ინტერესების დაცვის, პროფესიის პოპულარიზაციისა და ფედერაციის რეპუტაციის ამაღლებისათვის; გამგეობის თავმჯდომარეს მუდმივ რეჟიმში უნდა ჰქონდეს მზაობა „კონსტრუქციულად კრიტიკული“ კულტურის მიმართ. გამგეობის წევრებს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ ნდობა და ამ გარემოში ღიად იწვევდნენ ერთმანეთს კონსტრუქციული კონფლიქტის/დიალოგის გარემოში; ისინი დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ პროფესიის პოპულარიზაციისათვის.

ჩემს მიერ ბაფის გამგეობაში საქმიანობის პერიოდში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე არის აუცილებლობა, ბაფის მენეჯმენტმა, სხვადასხვა აქტივობების (მათ შორის ACCA-ის პროგრამაში ჩართვის მსურველების ადგილობრივი კონტიგენტის ადეკვატური/თანამედროვე მეთოდებით მოძიებისა და მოზიდვის, სხვა პოპულარული, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პროგრამების შერჩევა/ გააქტიურების, საგრანტო რესურსების მოძიება/გააქტიურების, დონორებთან ურთიერთობის გააქტიურების, ხელისუფლებასთან, ბიზნესსაოციაციებთან მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით) ეფექტურად განხორციელების მიზნით მოიძიოს შესაბამისი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები, რომლის წყაროები საკმაოდ იქნება იმ შემთხვევაში

თუ ბაფის მენეჯმენტის შესაბამისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ ამ პროცესისათვის აუცილებელი აქტივობების კვალიფიციურად განხორციელებას. მე მაქვს განზრახვა, ჩემს სხვა კოლეგების ჩართულობით, ხელი შევუწყო ამ პროცესს.

გისურვებთ წარმატებებს!

გმადლობთ იმისათვის, რომ გამონახეთ დრო გაცნობოდით ჩემს ამ სამოტივაციო წერილს.

პატივისცემით,



მურად ნარსია

ლევან საბაურის

სამოტივაციო წერილი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2016 წლის 24 ივნისს მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის შემდგომ მასშტაბური ცვლილებები როგორც აღრიცხვის, ასევე ანგარიშგებისა და აუდიტის მიმართულებით. ცვლილებების ყველა ეტაპზე ჩართული ვიყავი როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოს წევრი. აღნიშნული საბჭოს წევრად უკვე მეორე ვადით ვარ არჩეული აკადემიური წრეების წარმომადგენლებიდან. რეფორმის ყველა ეტაპზე ჩემი ინტერესი და ძალისხმევა ყოველთვის მიმართული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის გაზრდა და აქტიური კომუნიკაცია რეფორმის ყველა ეტაპზე, მითუმეტეს როცა ეს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შეეხებოდა. მოთხოვნები, რომელსაც აწესებს ზედამხედველობის სამსახური შესაბამისობაშია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან, რაც კიდევ უფრო კრიტიკულად მნიშვნელოვანს ხდის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების მომზადების დონის ამაღლებას. აღნიშნული კი შეუძლებელია განხორციელდეს პროფესიული ორგანიზაციის, პროფესიაში მყოფი კვალიფიციური კადრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი მუშაობის გარეშე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. აღნიშნული მემორანდუმის გაფორმებას კი წინ უსწრებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით ACCA-ის სასწავლო პროგრამების შესაბამისად. თქვენი მხრიდან ჩემი კანდიდატურის მხარდაჭერის შემთხვევაში, გამგეობის წევრის უფლებამოსილების ფარგლებში ყველა სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადანყვეტაში ჩემი აქტიური ჩართულობის გარდა, ჩემთვის პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და პროცესის კიდევ უფრო წინ წაწევა გამოწვევების შესაბამისად. ამ მიმართულებით საპილოტედ შემოთავაზებული იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზა, რომელიც საქართველოში ყველაზე უფრო დიდი სამჭედლოა აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის მიმართულებით

კვალიფიციური კადრების გამოშვებისა და შემდგომში ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითზე მოხდეს ACCA-ის პროფესიული პროგრამის დონეების ჩათვლა და მისი აღიარება ბაფის მიერ.

ვფიქრობ, რომ საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია წარმოადგენს საქართველოში ყველაზე უფრო ავტორიტეტულ პროფესიულ ორგანიზაციას, რაც ასევე განაპირობებს ჩემს სურვილს თქვენი ხელშეწყობით არჩევის შემთხვევაში ვიყო მისი გამგეობის წევრი. გამგეობის წევრობა კი უფრო მეტი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იქნება ჩემთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური კომუნიკაციისა და მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებისათვის, რაც საერთო საქმეს მნიშვნელოვნად წაადგება როგორც ახლო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

პატივისცემით,



ლევან საბაური

მიზა აბაიაძე

სამოტივაციო წერილი

ვითვალისწინებ რა იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრს და ვითვალისწინებ რა ჩემს გამოცდილებას ამ სფეროში, გთავაზობთ ჩემს კანდიდატურას ბაფის გამგეობაში წევრობაზე.

წარმოგიდგენთ ჩემი პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ მოკლე ინფორმაციას:

დაბადებული ვარ ქ. თბილისში, 1980 წლის 18 თებერვალს. ვარ დაოჯახებული, მყავს ორი შვილი. გავლილი მაქვს ლიდერთა სკოლის პროგრამა მანჩესტერის უნივერსიტეტში. დღეისათვის ვემზადები სადოქტორო ნაშრომის დასაცავად მას შემდეგ, რაც დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი და მომენიჭა წარჩინებული ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი. ვარ სერთიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებელი.

მაქვს 22 წლიანი გამოცდილება პროფესიული მომსახურების და პედაგოგიური საქმიანობის სფეროში, მათ შორის:

9 წელი – აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, Moore abc (ყოფილი Morison Georgia, LLC), დირექტორი/პარტნიორი; 60 თანამშრომლის ხელმძღვანელი;

5 წელი — აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, UBC International, LLC; სპეციალისტთა გუნდის წევრი და ლიდერი; სხვადასხვა თანამდებობები;

8 წელი — საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PKF UBC Services, LLC, აღმასრულებელი დირექტორი / პარტნიორი; 40 თანამშრომლის ხელმძღვანელი;

5 წელი — პროფესორის ასისტენტი — პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიული კარიერის მანძილზე წარმატებით ვუძღვებოდი აუდიტორულ, საბუღალტრო, იურიდიულ-საგადასახადო, საშემფასებლო, საინვესტიციო, კორპორატიული განვითარების და სხვა ბიზნეს-საკონსულტაციო პროექტებს როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთით.

ვარ შემდეგი პროფესიული ორგანიზაციების წევრი:

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის საწევრო კომიტეტის თავმჯდომარე (2010–2016, www.gfpaa.ge);

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე (2016–2022, www.gfpaa.ge);

საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა საზოგადოების პირველი ვიცე პრეზიდენტი და საბჭოს წევრი (www.ivsg.ge);

გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, მიღებული ცოდნით და პროფესიული გამოცდილებით მზად ვარ ჩვენს კოლეგებთან ერთად განვაგრძო წვლილს შეტანა ორგანიზაციის წარმატებაში და პროფესიის განვითარებაში, ამავე დროს ხელი შევუწყო პროფესიული ბაზრის განვითარებას ბაფ-ის სახელით.

პატივისცემით,



მიშა აბაშიძე

ნონა რევაზიშვილი**სამოტივაციო წერილი**

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციის დამუშავების და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობით, 2018 წელს დავასრულე ბაფის პროფესიული სერთიფიცირების პროგრამა, რომელიც ეფუძნება ACCA პროგრამას და 2018 წელსვე მივიღე პროფესიონალი ბუღალტრის წოდება. 2013 წლიდან ვარ ბაფის ასოცირებული წევრი. 2013 წლიდან დღემდე ვმუშაობ შპს „გოლდ სერვის ჯგუფში“, რომელიც ემსახურება საქართველოს მაშტაბით 70 მდე კომპანიას სხვადასხვა კომპანიებს ვუწევ ფინანსური დირექტორის, მთავარი ბუღალტრის, საგადასახადო ექსპერტის, აუდიტორის და ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მომსახურებებს. მაქვს 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება.

ამჟამად მონაწილეობას ვიღებ ბაფის პროექტში — გაფართოებული ბუღალტრული სერვისები ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სერვისი — ვარ კახეთის რეგიონის კურატორი.

2021-2022 წლებში ვიყავი მინისტრის მრჩეველად ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში-აფხაზეთს არ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში.

2014 წელს ვკითხულობდი ლექციებს შპს ილია „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში“ ფინანსური აღრიცხვის პრინციპები და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები.

2018 წლიდან ვარ ბაფის ნამდვილი წევრი.

მაქვს სურვილი გავხდე საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და აქტიური მონაწილეობა მივიღო იმ უმნიშვნელოვანეს საქმეში რაც აუცილებელია ჩვენი პროფესიული განვითარებისათვის.


ნონა რევაზიშვილი



WORLD
CONGRESS OF
ACCOUNTANTS

ბაფი ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესზე MCOA-2022

WCOA-2022 ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესს, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის IFAC-ის ეგიდით 18-21 ნოემბერს ინდოეთში, მუმბაიში გაიმართა IFAC-ის წევრი 130 ქვეყნის 6000-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა, ბაფიც, როგორც IFAC-ის ნამდვილი წევრი ორგანიზაციის დელეგაცია კონგრესზე, რომელსაც ინდოეთის დიპლომირებული ბუღალტერთა ინსტიტუტი ICAI მასპინძლობდა, წარმოდგენილი იყო ბაფის გამგეობის თავჯდომარისა და 3 წევრის შემადგენლობით.



მსოფლიო კონგრესი, რომლის თემაა „**ნდობის განმტკიცება, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა**“, დატვირთული იყო მრავალი საინტერესო დისკუსიებით — მდგრადობის ანგარიშგებასა და კრიზისის დროს სახელმწიფო სექტორის პრიორიტეტებზე და რაც მთავარია ორივე საკითხში პროფესიონალი ბუღალტრის როლზე.

ბაფი დაარსების დღიდან აქტიურად მონაწილეობს IFAC-ის მიერ ორგანიზებულ მსოფლიო კონგრესებში და MCOA-2022 ოთხივე სამუშაო დღეც მნიშვნელოვნად დატვირთული იყო ქართული დელეგაციისთვის.



ყველდღიურად ხდებოდა პროფესიული წრეების ადგილობრივ და მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრა და პროფესიის მიღწევებსა თუ გამოწვევებზე ამრთა გაზიარება, კონგრესის მასპინძელი ორგანიზაციის - ICAI (ინდოეთის დიპლომირებული ბუღალტერთა ინსტიტუტი) საბჭოს წევრებმა ბატონებმა: **გიან ჩანდრა მისრამმა**, **ატულ კუმარ გუპტამ** და სხვებმა, ვიცე პრეზიდენტმა ბატონმა **ანიკეტ ტალატმა** და პრეზიდენტმა **ბატონმა დებაშის მიტრამ**, მიუხედავად წინასწარ გაწერილი დღის წესრიგისა მნიშვნელოვანი დრო გამოგვიყვს და 3 სამუშაო შეხვედრა გამართეს ქართულ დელეგაციასთან, სადაც IFAC-ის წევრი ორი ორგანიზაციის ბაფსა და ICAI-ს შორის თანამშრომლობის შემდეგ განვითარების პერსპექტივებზე ვისაუბრეთ და შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ძირითად საკითხებზე. სწორედ ინდოეთის პროფესიული ორგანიზაცია გახლდათ ბაფის რეკომენდატორი, როცა ის 2000 წელს IFAC-ის ნამდვილი წევრი გახდა.





ბაფი XXII
მსოფლიო
კონგრესზე
დასახელდა და
კონგრესის წინაშე
საინტერესო
სიტყვით წარსდგა
IFAC-ის მომავალი
პრეზიდენტი
ქალბატონი
ასმა რესმოუკი.



დანახარჯი-მოცულობა-მოგება (CVP) ანალიზი

მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“

შესავალი

დანახარჯი-მოცულობა-მოგება (CVP) ანალიზის მეთოდით შესაძლებელია საქმიანობის დონის ცვლილებებსა და რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი ამონაგების, დანახარჯებისა და მოგების ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა. ამ მეთოდით შესაძლებელია ძალიან სასარგებლო ინფორმაციის მიღება, განსაკუთრებით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახლად იწყებენ საქმიანობას, ან კომპანიებისთვის, რომლებიც აღმოჩნდებიან რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში. CVP ანალიზის მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენი ერთეული პროდუქტი უნდა გავყიდოთ იმისთვის, რომ კომპანიამ „თავის თავი გამოისყიდოს“ – ბარალზე არ გავიდეს. ე.ი. რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი ამონაგებით დაფაროს როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დანახარჯები.

აღნიშნული მეთოდი კომპანიას საშუალებას აძლევს, გაითვალისწინოს მოგებაზე სხვადასხვა ტიპის საოპერაციო დანახარჯებისა და ამონაგების ცვლილების გავლენა, როგორც არის, მაგალითად გასაყიდი ფასის შემცირება ან მუდმივი დანახარჯების ზრდა; განსაზღვროს რეალიზაციის ისეთი მოცულობა, რომელიც აუცილებელია მოგების გარკვეული დონის მისაღწევად და ასევე დაადგინოს თანხა, რომლითაც შესაძლებელია რეალიზაციის მიმდინარე/არსებული დონის შემცირება ბარალის წარმოქმნამდე. თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ CVP ანალიზი გულისხმობს მთელი რიგი დაშვებების გამოყენებას იმ გარემოს შესახებ, რომელშიც კომპანია საქმიანობს.

ამ დაშვებების ცოდნა, კარგად გაცნობიერება მნიშვნელოვანია CVP ანალიზის არსის გასაგებად და ჩასატარებლად. ამიტომ ამ სტატიაში ჯერ განვიხილავთ ამ დაშვებებს, როგორც CVP ანალიზის ამოსავალ ბაზას. შემდეგ სტატიას გავაგრძელებთ ძირითადი ტერმინებისა და იმ განტოლებების განხილვით, რომლებიც ხშირად გამოიყენება CVP ანალიზში. სტატიას კი დავასრულებთ გამოთვლების მარტივი მაგალითის განხილვით.

დაშვებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული CVP ანალიზი სასარგებლო იყოს, აუცილებელია კარგად გვესმოდეს იმ დაშვებების არსი და დანიშნულება, რომლებსაც ეს მეთოდი ეყრდნობა. სწორედ ეს დაშვებები ადგენს წესებს რეალიზაციის მოცულობას, დანახარჯებსა და მოგებას შორის ურთიერთკავშირის შესასწავლად. ახლა განვიხილავთ პირობებს, რომლებიც იგულისხმება CVP ანალიზის მეთოდის გამოყენებისას:

იგულისხმება, რომ მოცულობის გარდა ყველა სხვა ცვლადი სიდიდე უცვლელია

ეს დაშვება გულისხმობს, რომ რეალიზაციის მოცულობა ერთადერთი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია დანახარჯებისა და მოგების ცვლილების გამოწვევა. ამ მეთოდში არ

გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, გასაყიდი პროდუქციის ნომენკლატურის/პროდუქტების პროპორციის ცვლილება და ფასების დონეების ცვლილება

ინარმოება მხოლოდ ერთი პროდუქტი ან წარმოებული პროდუქტების პროპორცია უცვლელია

წინა დაშვებიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, CVP ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ კომპანია ერთ პროდუქტს იკვლევს ან კომპანია რამდენიმე პროდუქტს აწარმოებს, მაგრამ ისინი ერთი და იმავე პროპორციით ან კომბინაციით იყიდება.

მთლიანი დანახარჯები და მთლიანი ამონაგები წრფივ ფუნქციას წარმოადგენს

ეს დაშვება გულისხმობს, რომ ცვლადი დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე და პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი არ იცვლება, ე.ი. მათზე გავლენას არ ახდენს ფასდათმობები.

მოგება გამოითვლება ცვლადი (ზღვრული) დანახარჯებით კალკულაციის მეთოდით

ცვლადი დანახარჯების აღრიცხვა აადვილებს მოგების ანალიზს, ვინაიდან ამ შემთხვევაში განცალკევებულია ცვლადი და მუდმივი დანახარჯები, მუდმივი დანახარჯები მიიჩნევა პერიოდის ხარჯად და არ ხდება მისი განაწილება პროდუქტებზე.

ზუსტად არის შესაძლებელი დანახარჯების დაყოფა მუდმივ და ცვლად ელემენტებად

ეს არის ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მეთოდის ძირითადი მოთხოვნა. იგულისხმება, რომ კომპანიაში, სადაც ნახევრად ცვლადი დანახარჯები არსებობს, ზუსტად არის შესაძლებელი მათი განსაზღვრა/გამოყოფა ისეთი მეთოდის მეშვეობით, როგორიც არის მაქსი-მინის მეთოდი.

CVP ანალიზი გამოიყენება მხოლოდ რეალიზაციის მოცულობის შესაფერისი დიაპაზონისთვის

შესაფერისი დიაპაზონად მიიჩნევა რეალიზაციის მოცულობის ისეთი დიაპაზონი (მაგალითად, 10,000 ერთეულსა და 80,000 ერთეულს შორის), რომლის ფარგლებშიც უცვლელია პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი და ცვლადი დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე. CVP ანალიზი არ გამოიყენება რეალიზაციის ისეთი მოცულობისთვის, რომელიც სცილდება ამ დიაპაზონის ფარგლებს (ე.ი. რეალიზაციის მოცულობისთვის, რომელიც ნაკლებია 10,000 ერთეულზე ან მეტია 80,000 ერთეულზე).

CVP ანალიზი გამოიყენება მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივისთვის

CVP ანალიზის მეშვეობით რეალიზაციის მოცულობას, დანახარჯებსა და მოგებას შორის ურთიერთკავშირს იკვლევენ მხოლოდ ერთწლიანი პერიოდისთვის და იგულისხმება, რომ ამ პერიოდში რთული იქნება გასაყიდი ფასის, ცვლადი და მუდმივი დანახარჯების შეცვლა, რაც შესაბამისობაშია ზემოთ განხილულ სხვა დაშვებებთან.

ზღვრული მოგება, ნაუგებლობის წერტილი, მიზნობრივი მოგება და უსაფრთხოების შუალედი

ცვლადი (ზღვრული) დანახარჯებით კალკულაციით მეთოდის გამოყენებისას CVP ანალიზი ზღვრულ მოგებას მიიჩნევს ორგანიზაციის საქმიანობის უმთავრეს ფაქტორად. ზღვრული მოგება განისაზღვრება რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი ამონაგებიდან მთლიანი ცვლადი დანახარჯების გამოკლებით და ეს არის თანხა, რომელიც აუცილებელია მთლიანი მუდმივი დანახარჯების დასაფარად და მოგების მისაღებად.

თუ ორგანიზაციის საკმარისი ზღვრული მოგება აქვს მთლიანი მუდმივი დანახარჯების დასაფარად, მაგრამ არც მოგებას იღებს და არც ზარალს, ამგვარ მდგომარეობას უწოდებენ წაუგებლობის წერტილს. როგორც კი ორგანიზაცია წაუგებლობის წერტილს მიაღწევს, ნებისმიერი შემდგომში მიღებული ზღვრული მოგება უკვე ორგანიზაციის მოგებას წარმოადგენს. CVP ანალიზის გამოყენებისას ორგანიზაციის ასევე შეუძლია მთლიანი ამონაგების (ან რეალიზაციის მოცულობის) იმ დონის გამოთვლა, რომელიც აუცილებელია გარკვეული დონის მოგების მისაღებად, რასაც უწოდებენ მიზნობრივ მოგებას.

მართალია, ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია თავისი წაუგებლობის წერტილის ცოდნა რეალიზაციის მოცულობისა და ამონაგებისთვის, მაგრამ მისთვის ასევე სასარგებლოა იმის ცოდნაც, როგორ არის ეს დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარე (არსებულ) დონესთან ან მოსალოდნელ დონესთან. განსხვავებას რეალიზაციის მიმდინარე ან მოსალოდნელ მოცულობასა (ან ამონაგებს) და წაუგებლობის წერტილის შესაბამის რეალიზაციის მოცულობას (ან ამონაგებს) შორის, უწოდებენ უსაფრთხოების შუალედს. უსაფრთხოების შუალედი გვიჩვენებს, რამდენით შეიძლება შემცირდეს ორგანიზაციის მიმდინარე (ან მოსალოდნელი) რეალიზაციის მოცულობა მანამ, სანამ ორგანიზაცია დაიწყებს ზარალის მიღებას.

CVP ანალიზის გამოსახვა შესაძლებელია გრაფიკულად, დიაგრამების გამოყენებით ან რიცხობრივი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა განტოლებებს. ამ სტატიაში ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ რიცხობრივ მიდგომაზე.

შემდეგ ცხრილში განხილულია ის განტოლებები, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება CVP ანალიზში.

ზღვრული მოგება ერთეულზე	ერთეულის გასაყიდი ფასი მინუს ცვლადი დანახარჯი ერთეულზე
წაუგებლობის წერტილი (ერთეულების რაოდენობით გამოსახული)	$\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}}$
წაუგებლობის წერტილი (ამონაგებით გამოსახული)	$\frac{\text{წაუგებლობის წერტილი ერთეულების რაოდენობით გამოსახული} \times \text{ერთეულის გასაყიდი ფასი}}{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები}}$ აწ $\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი}}$
ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი	$\frac{\text{მთლიანი ზღვრული მოგება}}{\text{მთლიანი რეალიზაცია}}$
მიზნობრივი მოგება (ერთეულებით გამოსახული)	$\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{ზღვრული მოგება ერთეულზე}}$

მიზნობრივი მოგება (ამონაგებით გამოსახული)	$\frac{\text{ერთეულებში გამოსახული მიზნობრივი მოგება} \times \text{ერთეულის გასაყიდი ფასი}}{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}$ $\times \frac{\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი}}{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}$
უსაფრთხოების შუალედი (ერთეულებით გამოსახული)	მიმდინარე/მოსალოდნელი რეალიზაცია ერთეულებით გამოსახული მინუს წაუგებლობის წერტილი ერთეულების რაოდენობით გამოსახული
უსაფრთხოების შუალედი (ამონაგებით გამოსახული)	მიმდინარე/მოსალოდნელი რეალიზაცია €-ში მინუს წაუგებლობის წერტილი €-თი გამოსახული
უსაფრთხოების შუალედი პროცენტებში გამოსახული	$\frac{\text{უსაფრთხოების შუალედი ერთეულებით (ან ამონაგებით)}}{\text{მიმდინარე/მოსალოდნელი რეალიზაცია ერთეულებით ან (ამონაგებით)}} \times 100$

განვიხილოთ მარტივი მაგალითი, საიდანაც დავინახავთ, როგორ შეიძლება CVP ანალიზის პრაქტიკაში გამოყენება.

შპს Conex – CVP ანალიზის მაგალითი

შპს Conex ყიდის ერთ პროდუქტს, ე.წ. სუპერკრემს, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა ტიპის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. კომპანიამ თავისი საქმიანობა დაიწყო მიმდინარე წლის დასაწყისში და ვარაუდობს 100,000 ტუბი სუპერკრემის გაყიდვას. ცნობილია შემდეგი შესაფერისი ინფორმაცია:

	€
ერთი ტუბის გასაყიდი ფასი	7.00
პირდაპირი მასალის დანახარჯი ერთ ტუბზე	2.10
პირდაპირი შრომითი დანახარჯი ერთ ტუბზე	1.35
ცვლადი ზედნადები დანახარჯი ერთ ტუბზე	0.75
სულ მოცემული წლის მუდმივი დანახარჯები	210,000

CVP ანალიზმა შეიძლება პასუხი გაგვცეს შემდეგ კითხვებზე:

- რომელია შპს Conex-ისთვის წაუგებლობის წერტილი ტუბების რაოდენობითა და ამონაგებით გამოსახული?
- თუ კომპანია მოისურვებს €46,200-ს ტოლი მოგების მიღებას წლის მანძილზე, რამდენი ტუბი სუპერკრემი უნდა გაყიდოს?
- რამდენით შეიძლება შემცირდეს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, სანამ შპს Conex დაიწყებს ზარალის მიღებას?

შპს Conex – ამოხსნა

€

ერთი ტუბის გასაყიდი ფასი	7.00
გამოკლებული მთლიანი ცვლადი დანახარჯები ერთ ტუბზე $\text{€}(2.1+1.35+0.75)$	<u>4.20</u>
ზღვრული მოგება ერთ ტუბზე	<u>2.80</u>

ა) წაუგებლობის წერტილი ერთეულების რაოდენობით გამოსახული =

$$\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგება ერთ ტუბზე}} = \frac{\text{€}210,000}{\text{€}2.80} = 75,000 \text{ ტუბი}$$

ამგვარად, შპს Conex-მა უნდა გაყიდოს 75,000 ტუბი სუპერკრემი, იმისათვის, რომ გავიდეს წაუგებლობის წერტილზე, ე.ი. არც მოგება მოიღოს და არც ზარალი.

წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული = წაუგებლობის წერტილი ერთეულების რაოდენობით გამოსახული $\times$ ერთი ტუბის გასაყიდი ფასი = $75,000 \text{ ტუბი} \times \text{€}7.00 = \text{€}525,000$

ან

წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული =

$$\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები}}{\text{ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი}}$$

ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი =

$$\frac{\text{მთლიანი ზღვრული მოგება}}{\text{მთლიანი რეალიზაცია}} = \frac{\text{€}2.80}{\text{€}7.00} = 0.40$$

$$\text{წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული} = \frac{\text{€}210,000}{0.40} = \text{€}525,000$$

შპს Conex-მა წაუგებლობის წერტილზე გასასვლელად უნდა მიიღოს €525,000 ამონაგები.

ბ) მიზნობრივი მოგება ერთეულებით გამოსახული =

$$\frac{\text{მთლიანი მუდმივი დანახარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{ზღვრული მოგება ერთეულზე}} = \frac{\text{€}210,000}{\text{€}2.80} = 91,500 \text{ ტუბი}$$

შპს Conex-მა უნდა გაყიდოს 91,500 ტუბი სუპერკრემი იმისთვის, რომ წლის განმავლობაში მიიღოს €46,200 მოგება.

გ) უსაფრთხოების შუალედი ამონაგებით გამოსახული = მიმდინარე/მოსალოდნელი ამონაგები მინუს წაუგებლობის წერტილი ამონაგებით გამოსახული = $(100,000 \times \text{€}7) - \text{€}525,000 = \text{€}175,000$

შპს Conex-ის ამონაგები შეიძლება შემცირდეს €175,000-ით, სანამ კომპანია დაიწყებს ზარალის მიღებას.

მაგალითის შემდგომი გართულება

შპს Conex იხილავს სუპერკრემის წარმოების სხვა მწარმოებელზე გადაცემის (აუტოსორსინგის) შესაძლებლობის საკითხს. მწარმოებელმა სუპერკრემის თითო ტუბისთვის ასეთი ფასი დაადგინა: დანახარჯი ერთი ტუბზე €4.25 პლუს გასაყიდი ფასის 5% სუპერკრემის თითოეული გაყიდული ტუბისთვის. შპს Conex-ის მუდმივი დანახარჯები შემცირდება €100,000-მდე იმ შემთხვევაში, თუ კომპანია აირჩევს აუტოსორსინგის ვარიანტს.

რეალიზაციის რა დონის შემთხვევაში მიიღება ერთნაირი მოგება, იმის მიუხედავად, კომპანია თვითონ გააგრძელებს სუპერკრემის წარმოებას საკუთარი ძალებით, თუ მის წარმოებას სხვა მწარმოებელს გადასცემს?

ამოხსნა:

თუ კომპანია წარმოებას გადასცემს სხვა მწარმოებელს (აუტოსორსინგი):

დავუშვათ y = გაყიდული ტუბების რაოდენობა;

მთლიანი მოგება = მთლიანი ზღვრული მოგება – მთლიანი მუდმივი დანახარჯები;

მთლიანი მოგება = (რეალიზაციას მინუს პროდუქტის დანახარჯი და რეალიზაციის მიხედვით დარიცხული %) – მთლიანი მუდმივი დანახარჯები.

მოგება = $7y - 4.25y - [(0.05 \times 7) y] - 100,000 = 2.40y - 100,000$.

თუ პროდუქტს თვითონ კომპანია გამოუშვებს:

მთლიანი მოგება = მთლიანი ზღვრული მოგება – მთლიანი მუდმივი დანახარჯები

მთლიანი მოგება = $2.80y - 210,000$

იმისათვის, რომ ვიპოვოთ რეალიზაციის ის დონე, რომლის დროსაც მოგება ერთნაირი იქნება, ერთმანეთს უნდა გავუტოლოთ ორი ვარიანტის შესაბამისი მოგების განტოლებები და ვიპოვოთ y :

$2.80y - 210,000 = 2.40y - 100,000 \Rightarrow 0.40y = 110,000 \Rightarrow y = 275,000$ ტუბი

ამგვარად, როდესაც სუპერკრემის რეალიზაციის მოცულობა 275,000 ტუბია, კომპანიის ფარგლებში პროდუქტის წარმოების შედეგად მიღებული მოგება იგივე იქნება, რაც იმ შემთხვევაში, თუ კომპანია წარმოების პროცესს სხვა მწარმოებელს გადასცემდა.

შემოწმება	საკუთარი ძალებით წარმოება €	აუთსორსინგი €
რეალიზაცია: 275,000 ტუბი x €7	1,925,000	1,925,000
გამოკლებული ცვლადი დანახარჯები		
275,000 ტუბი x €4.20	1,155,000	
275,000 ტუბი x €4.25		1,168,750
გასაყიდი ფასის 5% : 5% x €7 x 275,000 ტუბი		96,250
ზღვრული მოგება	770,000	660,000
მთლიანი მუდმივი დანახარჯები	210,000	100,000
მოგება	560,000	560,000

დასკვნის სახით

ვიმედოვნებთ, რომ ამ სტატიის წაკითხვისა და მაგალითების გარჩევის შემდეგ უკეთ გაიგებთ CVP ანალიზის არსს. იმისათვის, რომ განამტკიცოთ თქვენი ცოდნა, სასარგებლო იქნება, თუ იმიტაციურ საგამოცდო პირობებში ივარჯიშებთ წარსული საგამოცდო მასალიდან აღებულ კითხვებზე, რომლებიც CVP ანალიზს ეხება.

სტატია მოამზადა ირლანდიის ACCA-ის
საერთაშორისო პროგრამის
საქმიანობის შედეგების მართვის მოდულის
საგამოცდო კომისიის წევრმა

მოდული – სტრატეგიული ბიზნესლიდერი

გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის გამოცდის შემფასებელი

შესავალი

ამ სტატიის მიზანია, გარკვეულწილად რეალური წარმოდგენა შეგიქმნათ იმის შესახებ, რას ფიქრობს შემფასებელი საგამოცდო ნაწერების გასწორებისას და გაიგოთ, რას ეძებს ის თქვენს პასუხებში, როდესაც აფასებს სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის სცენარებს.

სცენარის მაგალითი

კანდიდატს, რომელსაც სურს გაიგოს, რა სურს გამომცდელს, უფრო ზუსტად, რას ეძებს შემფასებელი კანდიდატის პასუხში, უნდა იცოდეს, რას ფიქრობს ის, როდესაც აფასებს კანდიდატის პასუხს.

წინამდებარე სტატიის დაწერის მომენტში ჯერ სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის არცერთი გამოცდა არ იყო ჩატარებული.

ამ სტატიის მიზნებისთვის ზოგიერთი პასუხი საგამოცდო დროის გათვალისწინებით დავწერეთ, რათა თქვენთვის, კანდიდატებისთვის გვეჩვენებინა, როგორ შეგიძლიათ პასუხის გაცემა სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის საგამოცდო კითხვების ზოგიერთ მოთხოვნაზე.

სტრატეგიული ბიზნესლიდერის საგამოცდო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ქულებით შეაფასა სანიმუშო საგამოცდო სცენარის პასუხები, რათა კანდიდატებს გაეგოთ, სად და რამდენი ქულა მიაკუთვნა მან პასუხებს, ასევე წარმოადგინა თავისი კომენტარები ამ პასუხების შესახებ, სადაც ასაბუთებს, რატომ იყო მიკუთვნებული ან რატომ არ იყო მიკუთვნებული ქულები ამა თუ იმ მოთხოვნაზე.

ეს სავარჯიშო იმისთვისაა გამიზნული, რომ კანდიდატებმა წარმოდგენა შეიქმნან იმის თაობაზე, როგორ ამოივანებთ შემფასებელი კანდიდატების პასუხების შეფასებისას, გაიგონ, რისთვის აკუთვნებს შემფასებელი პასუხებს ქულებს და რის გამო შეიძლება არ მიენიჭოს ქულები კანდიდატის პასუხს.

ვინაიდან შემფასებლის კომენტარები მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოცდისთვის არის შესაფერისი და განსახილველი მაგალითის კონკრეტულ მოთხოვნებს ეხება, შემფასებელმა წარმოადგინა ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც სბლ-ის გამოცდის ჩაბარების

მიდგომის შესახებ, ასევე ზოგიერთი კონკრეტული მოსაზრება იმის თაობაზე, როგორ შეუძლია კანდიდატს გამოცდაზე თავისი პროფესიონალიზმის (პროფესიული უნარების) წარმოჩენა, რათა დაიმსახუროს პროფესიული უნარებისთვის განკუთვნილი ქულები.

ამ სტატიამი განვიხილავთ ტიპური კანდიდატის პასუხების მაგალითს, რომელიც ცდილობს პასუხის გაცემას **განსახილველი მაგალითის 3(ბ), 4(ბ) და 5(ა) მოთხოვნებზე.**

კითხვის მოთხოვნები

მე-3 კითხვა

თქვენ ხართ კომპანია Rail Co-ის სპეციალური ქვეკომიტეტის ერთ-ერთი არააღმასრულებელი წევრი, რომელიც დააფუძნა Rail Co-ის საბჭოსთან არსებულმა ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტმა.

აუდიტის ეროვნული ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმებისა და კომპანია Rail Co-ის ნდობით აღჭურვილ პირთა საბჭოს რეკომენდაციების შედეგად ტრანსპორტის მინისტრმა გასცა რეკომენდაცია, რომ თანამდებობიდან მოეხსნათ Rail Co-ს მთავარი აღმასრულებელი დირექტორი. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ვაკანსიის შესახებ რეკლამირება დაიწყო როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, Rail Co-ის ვებ-ვერდზე ატვირთეს ინფორმაცია, სადაც ასახულია ამ ვაკანსიისთვის შესაფერისი პირის მახასიათებლები. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე შეარჩიეს ორი კანდიდატი საბოლოო გასაუბრებისთვის და მათ ანკეტურ მონაცემებს იხილავს Rail Co-ს ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი.

(მე-5 დანართი).

მოგეთხოვებათ: მას შემდეგ, რაც განიხილეს საბოლოო გასაუბრებისთვის შერჩეული კანდიდატების შესაფერისობა ამ თანამდებობისთვის განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით, ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის თავმჯდომარემ გთხოვათ:

3 (ბ)

2 სლაიდის მომზადება პრეზენტაციისთვის, თანმხლებ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რათა აუხსნათ ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტს, რა როლისა და ამოცანების შესრულება ევალება მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ნიჭის/ტალანტების მართვის სფეროში, რათა მან მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს კომპანია Rail Co-ისთვის საჭირო ცვლილებების აუცილებელ პროგრამას. (6 ქულა)

პროფესიული უნარებისთვის გამოყოფილი ქულები კონკრეტულად კომუნიკაციის უნარების დემონსტრირებისთვის არის განკუთვნილი, რაც აუცილებელია ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის სათანადო დონისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

(2 ქულა)

მე-4 კითხვა

თქვენ ხართ შიდა აუდიტორი, რომელიც მუშაობს კომპანია Rail Co-ს აუდიტისა და რისკების კომიტეტში.

ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა Rail Co-ს ფინანსურ კონტროლიორს სთხოვა ელექტრონული ცხრილის მომზადება, სადაც გაანალიზებული იქნებოდა ბილეთების გაყიდვების მდგომარეობა და მატარებლების გამოყენება ქვეყანა ბილენდის სარკინიგზო ქსელის სადგურების მიხედვით, ასევე თაღლითობის სავარაუდო დონეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა Rail Co-ს ქსელში.

მოგეთხოვებათ: აუდიტისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარემ თქვენ გთხოვათ, ფინანსური კონტროლიორის მიერ გამოვლენილი ფაქტების გაანალიზება და ანგარიშის წარდგენა, რომელშიც:

4 (ბ)

აუდიტისა და რისკების კომიტეტს წარუდგენთ რეკომენდაციებს, თქვენს რეკომენდაციებს დაასაბუთებთ შესაფერისი გამოსასწორებელი ან უსაფრთხოების ზომებით, რომლებსაც Rail Co გაატარებს ქსელში არსებული თაღლითობის დონეების შესამცირებლად. (8 ქულა)

პროფესიული უნარებისთვის გამოყოფილი ქულები კონკრეტულად კომერციული გამჭრიახობის გამოჩენის უნარების დემონსტრირებისთვის არის განკუთვნილი, რაც უნდა გამოავლინოთ შესაფერისი გამოსასწორებელი ზომებისა და თაღლითობის შესამცირებელი უსაფრთხოების ზომების შესახებ სამრიანი რეკომენდაციების მოფიქრებისას. (2 ქულა)

მე-5 კითხვა

თქვენ ხართ პროექტის მენეჯერი და მუშაობთ კომპანია Rail Co-ს პროექტებისა და ინფრასტრუქტურის დირექტორისთვის.

პროექტებისა და ინფრასტრუქტურის დირექტორმა დირექტორთა საბჭოს წარუდგინა წინადადება პროექტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ინვესტიციის განხორციელებას ბილეთების ონლაინ გაყიდვების სისტემაში. პროექტი სრულად უნდა ამოქმედდეს 12 თვის განმავლობაში, რომელიც უნდა განახორციელოს დეველოპერების გარე ფირმამ, რადგან Rail Co-ს არ გააჩნია ამ სფეროში შიდა გამოცდილება. თუმცა, პროექტი Rail Co-მ უნდა მართოს.

მოგეთხოვებათ: თქვენ მოგმართათ პროექტებისა და ინფრასტრუქტურის დირექტორმა და გთხოვათ საბჭოსთვის ბიზნესსცენარის/ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, სადაც:

5(ა)

დასაბუთებთ, ინვესტიციების ჩადება ონლაინ ბილეთების გაყიდვაში რატომ დაეხმარება Rail Co-ს მომხმარებელთა შესახებ იმ დეტალური და დროული მონაცემების შესაქმნელად, რომელიც, თავის მხრივ, დაეხმარება მომხმარებელთან ურთიერთობის მართვაში.

(8 ქულა)

პროფესიული უნარებისთვის გამოყოფილი ქულები კონკრეტულად შეფასების უნარების დემონსტრირებისთვის არის განკუთვნილი, რაც უნდა გამოავლინოთ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვაზე ონლაინ ბილეთების გაყიდვების სისტემის გავლენის ანალიზში/შეფასებისას. (2 ქულა)

შენიშვნები შეფასებული პასუხების შესახებ

კითხვა 3 (ბ)

შესავალი

ამ კითხვაში კანდიდატებს სთხოვენ მსჯელობას სპეციალური ქვეკომიტეტის თავმჯდომარის პოზიციიდან, რომელიც ანგარიშვალდებულია ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის წინაშე. საპრეზენტაციოდ უნდა მოამზადოთ ორი სლაიდი. სლაიდებში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი პუნქტების მეშვეობით და უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, საიდანაც გამოჩნდება მთავარი აღმასრულებლის წვლილი **ნიჭის/ტალანტების მართვის საკითხში**. სლაიდების ძირითადი თემისები ახსნილი უნდა იყოს კომპანია Rail Co-ში განსახორციელებელი ცვლილების პროგრამის კონტექსტში.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა პასუხში წარმოაჩინონ მთავარი აღმასრულებელი დირექტორის სტრატეგიული როლი, რომელიც უნდა შეასრულოს ცვლილების პროგრამის მართვისას.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა პასუხში წარმოაჩინონ მთავარი აღმასრულებელი დირექტორის სტრატეგიული როლი.

შენიშვნა 1

პირველი სლაიდი ზუსტად ასახავს მოკლე ინფორმაციას, რომელიც წარმოადგინა ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტმა. მასში ხაზგასმულია ნიჭის/ტალანტის განვითარების მნიშვნელობა რთულ ცვალებად გარემოში და ასევე კონკრეტულად არის მითითებული მთავარი აღმასრულებელი დირექტორის როლი.

შენიშვნა 2

ასხნა-განმარტებითი ზენიშვნები ეხება „ნიჭს/ტალანტს“, მაგრამ საკმარისად ღრმად არ არის განხილული ტალანტების მართვის საკითხი. შესაძლებელი იყო დამატებითი ქულების მიკუთვნება, თუ კანდიდატი წარმოადგენდა ტალანტების მართვის სტრატეგიული მიდგომის უფრო მეტ ელემენტებს. მაგალითად, გარდა იმისა, რომ კანდიდატი განაცხადებდა ნიჭიერი კადრების მოზიდვის აუცილებლობის შესახებ, მას შეეძლო განეხილა ნიჭის/ნიჭიერი კადრების განვითარების, დასაქმების, შენარჩუნებისა და გამოყენების საკითხები.

შენიშვნა 3

მე-2 სლაიდში და შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ზუსტად არის განსაზღვრული მთავარი აღმასრულებელი დირექტორის როლი ცვლილებების წახალისების საქმეში. აქცენტის გაკეთება მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ნიჭის განვითარებაზე, როგორც მისაბამ მაგალითზე („როლის მოდელზე“), საინტერესო და შესაფერისია. ეს ხაზს უსვამს ისეთი ლიდერის მნიშვნელობას, რომელიც თვალსაჩინო და პროაქტიულია ცვლილებების მართვის საკითხში.

შენიშვნა 4 – პროფესიული უნარები

პროფესიული უნარებისთვის ქულები იწერება შეფასების სქემაში მოცემული პუნქტების მიხედვით, სადაც ნათლად არის მითითებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს კანდიდატის კომუნიკაციის უნარები.

	საერთოდ არა	ცუდად	კარგად	ძალიან კარგად
3 (ბ) ნომინაციების კომიტეტისთვის შესაფერისი ინფორმაციის სათანადო მანერით გადაცემის კომუნიკაციის უნარები.	კანდიდატმა აჩვენა ცუდი კომუნიკაციის უნარი. მან ვერ წარმოადგინა საჭირო ინფორმაცია ნათლად, ობიექტურად და არაორაზროვნად. პასუხი გადმოცემული არ არის შესაბამისი ფორმით (საპრეზენტაციო სლაიდები) ან მანერით (ნომინაციების კომიტეტის არააღმსრულებელი დირექტორებისთვის).	კანდიდატმა გამოავლინა კომუნიკაციის რამდენიმე ძირითადი უნარი ორი საპრეზენტაციო სლაიდის წარმოდგენისას. პასუხი შეიცავს ზოგიერთ შესაბამის ინფორმაციას, მაგრამ ინფორმაციის დიდი ნაწილი არ არის რელევანტური ან გაურკვეველი და არ შეესაბამება არააღმსრულებელი პირისთვის ინფორმაციის გადაცემის მანერას/ტონს.	კანდიდატმა გამოავლინა კომუნიკაციის კარგი უნარები ნომინაციის კომიტეტისთვის ორი სლაიდის წარდგენისას. კანდიდატმა წარმოადგინა შესაფერისი საკითხების დიდი ნაწილი და ეს გააკეთა ლაკონურად და, უმეტეს შემთხვევაში, ნათლად, გასაგებად.	კანდიდატმა წარმოაჩინა კომუნიკაციის შესანიშნავი უნარები. საპრეზენტაციო სლაიდები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები სწორად და ეფექტურად იყო სტრუქტურირებული, მოიცავდა ნომინაციების კომიტეტისთვის აუცილებელ ყველა შესაბამის საკითხს, რათა მათთვის განემარტა ნიჭის/ტალანტების მართვის საკითხში ახალი აღმასრულებელი დირექტორის მოსალოდნელი წვლილი.
	0	0.5	1	2

შემფასებელი ეძებდა ზუსტ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება მიღებულ მითითებებს და შესაბამის აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის შესაფერის ტონს/მანერას.

პასუხი ზუსტად შეესაბამება ნომინაციებისა და კორპორაციული მართვის კომიტეტისგან მიღებულ მითითებებს/ინფორმაციას და ჩანს კანდიდატის კომუნიკაციის საუცხოო უნარები. შემფასებელი ეძებდა ზუსტ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება მიღებულ მითითებებს, შესაბამისი აუდიტორიისთვის შესაფერის მოთხოვნებს და სტილს, რომელიც შედგება კომპანიის ზედა დონის ხელმძღვანელებისა და იმ პირებისგან, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. სლაიდებზე წარმოდგენილი პუნქტები სწორად

იყო შერჩეული, რომელსაც ახლდა ნათლად ჩამოყალიბებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. ამ პასუხში წარმოჩენილი კანდიდატის საკომუნიკაციო უნარები შეესაბამება „ძალიან კარგად“ სვეტში მოცემულ აღწერილობას.

ზოგადი კომენტარი

გამოცდის ჩაბარების მიდგომის საერთო პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ამ პასუხიდან გამოჩნდა, რომ კანდიდატმა გაიგო საგამოცდო კითხვის მოთხოვნები და ზუსტად გააკეთა აქცენტი მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

საბოლოო ჯამში, ამ პასუხმა დაიმსახურა 7 ქულა 8 შესაძლო ქულიდან. პასუხის ტექნიკური შინაარსი შეფასებულია 5 ქულით, ხოლო პროფესიული უნარები – 2 ქულით.

სულ:
7/8

კითხვა 4 (ბ)

შესავალი

ამ კითხვაში თქვენ გთხოვენ შიდა აუდიტორის როლის შესრულებას, რომელიც მუშაობს კომპანია Rail Co-ს აუდიტისა და რისკების კომიტეტში და კომიტეტისთვის რეკომენდაციების მიცემას იმის თაობაზე, როგორ შეუძლია კომპანია Rail Co-ს თავის ქსელში თაღლითობის დონის შემცირება. ყურადღება მიაქციეთ თქვენი რეკომენდაციების დასაბუთების მოთხოვნას. შემფასებელი ეძებდა საფუძვლიან არგუმენტებს, რომლებიც განმტკიცებული იქნებოდა შესაბამისი მტკიცებულებებით, რომელსაც კანდიდატი მოიძიებდა სცენარის თანმხლებ სხვადასხვა დანართში.

შენიშვნა 1

პასუხში შემოთავაზებულია ლოგიკური წინადადება იმის თაობაზე, რომ უნდა დაწესდეს ბარიერები ბილეთებისთვის, რისთვისაც იწერება ქულა. შემდეგ მოცემულია რეკომენდაციის დასაბუთება იმ მონაცემებით, რომლებიც წარმოდგენილია მე-5 დანართში, პრაქტიკული დანახარჯებისა და შესაძლო სარგებლის გათვალისწინებით, ამიტომ პასუხს მიკუთვნებული აქვს მე-2 ქულა.

შენიშვნა 2

ქულა მიკუთვნებულია იმისათვის, რომ ხაზგასმულია ყურადღების გამახვილების აუცილებლობა მოკლევადიან პერსპექტივაში იმ სადგურებზე, სადაც ბარიერები არ არის დაწესებული ბილეთებისთვის. შემოთავაზებულია ლოგიკური გეგმა ამ სადგურებზე ბილეთებთან დაკავშირებული თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. (გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება ასევე ხელს უწყობს ისეთი პროფესიული უნარების წარმოჩენას, როგორიცაა „კომერციული გამჭრიახობა“).

შენიშვნა 3

პასუხში ყურადღება გამახვილებულია დამატებითი ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობაზე იმ სადგურებში არსებული თაღლითობის მიზეზების გამოვლენაში დასახმარებლად, სადაც ბილეთებთან დაკავშირებით დაწესებულია ბარიერები. კანდიდატმა აირჩია უფრო ფართო თვალსაზრისი განსახილველი საკითხებისთვის და წარმოადგინა შესაბამისი წინადადებები იმ სადგურების თაობაზე, სადაც საჭიროა უფრო მეტი მონაცემების მოპოვება.


შენიშვნა 4

ქულა იმითვისაა მიკუთვნებული, რომ ინტერნეტის მეშვეობით ბილეთების დაჯავშნამ შესაძლოა შეამციროს თაღლითობა, ამ მიდგომის გამოყენების სიმარტივისა და ეკონომიურობის გამო. დამატებითი ქულა მიკუთვნებულია იმის გამო, რომ კანდიდატმა წარმოადგინა სტრატეგია, რომელშიც ბილეთების ონლაინ გაყიდვა შეხამებულია ბილეთების ავტომატურ ბარიერებთან.

შენიშვნა 5

ქულები პროფესიული უნარებისთვის იწერება შეფასების სქემაში მოცემული პუნქტების მიხედვით, სადაც ნათლად არის მითითებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს კანდიდატის „კომერციული გამჭრიახობის“ უნარი.

	საერთოდ არა	ცუდად	კარგად	ძალიან კარგად
4 (ბ) კომერციული გამჭრიახობის უნარები სათანადო გამოსასწორებელი და უსაფრთხოების ზომების შესახებ დასაბუთებული რეკომენდაციების მიცემისას.	კანდიდატმა ვერ გამოავლინა კომერციული გამჭრიახობის უნარები, ვინაიდან ვერ აჩვენა, რომ ესმის ან მსჯელობს საჭირო გამოსასწორებელი და უსაფრთხოების ზომების შესახებ.	კანდიდატმა მხოლოდ შეზღუდული კომერციული გამჭრიახობა გამოავლინა – მხოლოდ ძალიან ცოტა რეკომენდაციები წარმოადგინა შესაბამისი გამოსასწორებელი და უსაფრთხოების ზომების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი სუსტ კომერციულ განსჯასა და გადანაცვლებას ეყრდნობოდა.	კანდიდატმა გამოავლინა გარკვეული კომერციული გამჭრიახობა, მოიფიქრა ზოგიერთი საჭირო გამოსასწორებელი და უსაფრთხოების ზომა, გარკვეულწილად აჩვენა განსჯის უნარები და გაიგო კითხვის მოთხოვნები.	კანდიდატმა გამოავლინა კომერციული მსჯელობის შესანიშნავი უნარები, მოამზადა რეკომენდაციები გამოსასწორებელი და უსაფრთხოების ზომების შესახებ, საიდანაც გამოჩნდა მისი ფართო და ღრმა კომერციული ცნობიერება და გამჭრიახობა.
	0	0.5	1	2



წინადადებები ლოგიკურია და გვიჩვენებს კანდიდატის მაღალი დონის ინფორმირებულობას კომერციული საკითხების შესახებ.

პასუხში წარმოდგენილია შესაფერისი და პრაქტიკული რეკომენდაციები თაღლითობასთან ბრძოლისთვის, როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული დონისთვის. ეს წინადადებები ლოგიკურია და გვიჩვენებს კანდიდატის მაღალი დონის ინფორმირებულობას კომერციული საკითხების შესახებ. ეს უნარი შეესაბამება სვეტში „ძალიან კარგი“ მითითებულ აღწერილობას და, ამგვარად, იმსახურებს პროფესიული უნარებისთვის განკუთვნილ უმაღლეს ქულებს.

ზოგადი კომენტარი

გამოცდის ჩაბარების მიდგომის საერთო პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ამ პასუხიდან გამოჩნდა, რომ კანდიდატმა შეიცნო იმ პრობლემების სირთულე, რომლის წინაშეც იდგა ორგანიზაცია და წარმოადგინა მთელი რიგი ლოგიკური რეკომენდაციები.

მაქსიმალური ქულების მისაღებად შესაძლებელი იყო პასუხის კიდევ უფრო გაუმჯობესება დანართებში მოცემული მონაცემების უფრო სისტემური გამოყენების ხარჯზე. საბოლოო ჯამში, ამ პასუხმა დაიმსახურა 9 ქულა 10 შესაძლო ქულიდან. პასუხის ტექნიკური შინაარსი შეფასებულია 7 ქულით, ხოლო პროფესიული უნარები – 2 ქულით.

სულ:
9/10

კითხვა 5 (ა)

შესავალი

თქვენ ხართ პროექტის მენეჯერი რომელიც მუშაობს კომპანია Rail Co-ს ის პროექტებისა და ინფრასტრუქტურის დირექტორისთვის. თქვენ უნდა დაწეროთ ბიზნესსცენარი/ეკონომიკური დასაბუთება, სადაც კონკრეტულად დაასაბუთებთ ბილეთების ონლაინ გაყიდვების სისტემაში ინვესტიციების განხორციელების სარგებლიანობას კომპანიისთვის. ეს საკითხი სპეციალურად უნდა **შეფასდეს** და დასაბუთდეს, საიდანაც გამოჩნდება, ბილეთების ონლაინ გაყიდვების სისტემიდან მიღებული მონაცემები რა გავლენას იქონიებს **კლიენტებთან ურთიერთობის მართვაზე**.

შენიშვნა 1

შესავალი ძალიან ზოგადია და კონკრეტულად არ მიესადაგება პროექტებისა და ინფრასტრუქტურის დირექტორის მოთხოვნებს. შესაძლებელი იყო უფრო მეტი ქულების მოპოვება, თუ კანდიდატი გამოავლენდა კლიენტების უკმაყოფილობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პრობლემებს კლიენტების გამოკითხვის მონაცემების გამოყენებით, რომლებიც წარმოდგენილია მე-3 დანართში.

შენიშვნა 2

კანდიდატმა გამოავლინა ონლაინ ოპერაციების ზოგიერთი საერთო უპირატესობა. ეს პასუხი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, თუ კანდიდატის მიერ გამოვლენილი უპირატესობები კონკრეტულად დაკავშირებული იქნებოდა იმასთან, როგორ შეუძლია კომპანია Rail Co-ს კლიენტებთან ურთიერთობის მართვის გაუმჯობესება ამის შედეგად. პასუხში წარმოდგენილი იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტები, რომელიც ეხებოდა კლიენტების ქცევის შეცნობას და მათი სამომხმარებლო მოთხოვნის პროგნოზირებას.

შენიშვნა 3

კანდიდატმა კარგი დასკვნა გამოიტანა კლიენტების ლოიალობასთან დაკავშირებით. შესაძლებელი იყო ამ მოსაზრების განმტკიცება ბოლო 3 წლის განმავლობაში კომპანია Rail Co-ს კლიენტების ლოიალობის შემცირების მონაცემებით.

შენიშვნა 4

ბილეთების ონლაინ გაყიდვების საკითხის განხილვა უფრო შესაფერისი იქნებოდა და ქულებს დაიმსახურებდა, თუ განხილვა კონკრეტულად დაკავშირებული იქნებოდა კლიენტებთან ურთიერთობის მართვის საკითხთან.

შენიშვნა 5

ქულა დაიმსახურა კანდიდატის კომენტარებმა რისკების შეფასებისა და რისკების მართვის მიზნების ზუსტად განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს პროექტის შემდგომი განვითარების გეგმის შემუშავებას.

შენიშვნა 6

ქულები პროფესიული უნარებისთვის იწერება შეფასების სქემაში მოცემული პუნქტების მიხედვით, სადაც ნათლად არის მითითებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს კანდიდატის „შეფასების“ უნარები.

	საერთოდ არა	ცუდად	კარგად	ძალიან კარგად
5(ა) კლიენტებთან ურთიერთობის მართვაზე ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემის გავლენის შეფასების უნარები.	კანდიდატმა ვერ გამოავლინა შეფასების უნარები, ვერ წარმოაჩინა პროფესიული განსჯის უნარი, როდესაც იხილავდა ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემის რელევანტურობას კომპანია Rail Co-სთვის. პასუხი ძირითადად თეორიული ხასიათის იყო და მცირე ნიშნები გამოჩნდა იმისა, რომ მას შესწევს უნარი, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს თავისი გადაწყვეტილების გავლენა Rail Co-ს დაინტერესებულ მხარეებზე.	კანდიდატმა გამოავლინა გარკვეული შეფასების უნარები Rail Co-სთვის ონლაინ ბილეთების გაყიდვის სისტემის გავლენის შეფასებისას. მან გამოიყენა მცირე პროფესიული განსჯა, როდესაც აფასებდა სისტემის გავლენას მომხმარებლების შესახებ უფრო დროული ინფორმაციის მიღებასა და კლიენტებთან ურთიერთობის მართვაზე. პასუხიდან ჩანდა, რომ Rail Co-ს დაინტერესებულ მხარეებზე გადაწყვეტილების გავლენის შეფასება არ იყო დამაკმაყოფილებლად არგუმენტირებული.	კანდიდატმა გამოავლინა კარგი შეფასების უნარები Rail Co-სთვის ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემის გავლენის შეფასებისას. მან წარმოაჩინა გონივრული მცდელობა, შეეფასებინა სისტემის გავლენა მომხმარებლების შესახებ უფრო დროული ინფორმაციის მიღებასა და კლიენტებთან ურთიერთობის მართვაზე. კანდიდატმა გონივრული უნარი გამოავლინა მაშინაც, როდესაც აფასებდა სისტემის გავლენას Rail Co-ს დაინტერესებულ მხარეებზე.	კანდიდატმა გამოავლინა შეფასების შესანიშნავი უნარები. მან აშკარად წარმოაჩინა პროფესიული განსჯის შესანიშნავი უნარი, როდესაც აფასებდა სისტემის გავლენას მომხმარებლების შესახებ უფრო დროული ინფორმაციის მიღებასა და კლიენტებთან ურთიერთობის მართვაზე. გარდა ამისა, მან ნათლად აჩვენა, რომ ნამდვილად შესწევს უნარი, შეაფასოს ახალი სისტემის გავლენა Rail Co-ს დაინტერესებულ მხარეებზე.
	0	0.5	1	2

რაც შეეხება შეფასების უნარებს, კანდიდატმა გარკვეულწილად შეაფასა ონლაინ გაყიდვების სისტემის გავლენა, მაგრამ მსჯელობა, როგორც წესი, უფრო ზოგადი ხასიათისაა. პასუხში კანდიდატმა წარმოაჩინა გონივრული მცდელობა, შეეფასებინა სისტემის გავლენა და ეს უნარები შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც აღწერილია სვეტში „კარგი“. პროფესიული უნარებისთვის უფრო მეტი ქულების მისაღებად აუცილებელი იყო ყურადღების გამახვილება იმაზე, ონლაინ სისტემის მეშვეობით ბილეთების გაყიდვა კონკრეტულად როგორ დაეხმარება კომპანია Rail Co-ს კლიენტებთან ურთიერთობის მართვაში. კანდიდატი უფრო მეტ ქულას დაიმსახურებდა, თუ გამოიყენებდა კლიენტების გამოკითხვებიდან მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი კომენტარი

შეიძლებოდა, რომ ამ ბიზნესსცენარის/ეკონომიკური დასაბუთების საერთო სტრუქტურა უფრო კონკრეტული და მიზანმიმართული ყოფილიყო. „ოფიციალური საქმიანი“ დოკუმენტების წარდგენისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ არგუმენტების თანამიმდევრულობასა და ლოგიკურობაზე. სათაურების და ქვესათაურების გამოყენება უფრო ნათლად წარმოაჩენს არგუმენტების ლოგიკურობას. გამოცდის ჩაბარების საერთო მიდგომის თვალსაზრისით, კანდიდატებმა უნდა გამოიყენონ მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია სცენარში და დანართებში, რათა განამტკიცონ და დაასაბუთონ თავიანთი ანალიზი.

საბოლოო ჯამში, ამ პასუხმა დაიმსახურა 6 ქულა 10 შესაძლო ქულიდან. პასუხის ტექნიკური შინაარსი შეფასებულია 5 ქულით, ხოლო პროფესიული უნარები – 1 ქულით.

კანდიდატებმა ანალიზის განსამტკიცებლად და დასასაბუთებლად უნდა გამოიყენონ სცენარისა და დანართების მონაცემები.

სულ:
6/10

შეფასებული პასუხები

კითხვა 3 (ბ)

საპრევენციო სლაიდები

1-ელი სლაიდი:

ნიჭის განვითარება მთავარი აღმასრულებელი დირექტორის როლის მოდელის მეშვეობით რთულ ცვალებად გარემოში.

- სხვების წვლილის შეფასება;
- თავის წარმოჩენა სხვებზე უკეთესად;
- საუკეთესო ნიჭიერი კადრების მოზიდვა.

ქულები

შენიშვნები

1

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

მთავარ აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია ძალიან ქმედითი წვლილის შეტანა ცვლილებების რთულ პროგრამაში, რადგან იცის, რა ტიპის უნარებია აუცილებელი ცვლილებების მართვისთვის, შეუძლია ამგვარი უნარების განსაზღვრა და განვითარება, მყარი და ეფექტური ურთიერთობის დამყარებით. სარკინიგზო დარგში ცვლილებების მართვის სფეროში აღიარებულ ლიდერს, როგორც მთავარი აღმასრულებელი დირექტორია, ასევე შეუძლია საუკეთესო ნიჭიერი კადრების მოზიდვა როგორც ბილენდის სარკინიგზო დარგიდან, ისე სხვა დარგებიდანაც.

← შენიშვნა 1

1

მე-2 სლაიდი:

ნიჭის განვითარება მთავარი აღმასრულებელი დირექტორის როლის, როგორც ცვლილებების მართვის მენეჯერის მოდელის მეშვეობით.

- ფართომასშტაბიანი ცვლილებების პროგრამის შემუშავება, მართვა და დანერგვა;
- მუშაობა ძირითადი ეფექტიანობის მაჩვენებლების გათვალისწინებით და წინხედის ქვეშ;
- მართვა ავანსცენიდან.

← შენიშვნა 2

1

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა უნდა უზრუნველყოს აუცილებელი კულტურისა და ორგანიზაციული ცვლილებების მართვა, იმისდა მიხედვით, რა არის აუცილებელი ორგანიზაციისთვის. ანგარიშვალდებულება მიიღწევა ამგვარი დირექტორის მეშვეობით, რომელიც წარმოაჩენს გამჭვირვალე და საზრიანი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების მიღწევას. თუ დირექტორი იქნება პროაქტიული და დინამიკური ლიდერი, ის დაიმსახურებს სხვების პატივისცემას, როგორც როლისა და ნიჭის მოდელი/მაგალითი.

← შენიშვნა 3

2

← შენიშვნა 4
პროფესიული
უნარები

პუ2

კითხვა 4 (ბ)

თაღლითობისგან ქსელის დაცვის უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ზომა არის ბილეთებისთვის ბარიერების დაწესება. როგორც მე-5 დანართში წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, კომპანია Rail Co-ს მთლიანი შეფასებული დანახარჯები თითქმის \$550 მლნ-ს შეადგენს. მართალია, ეს შეფასება შეიძლება საექვო მეთოდოლოგიას ეყრდნობოდეს, მაგრამ ამ თაღლითობის მასშტაბი აშკარად მილიონებს აღწევს.

სანამ კომპანია ბილეთებისთვის ახალ ბარიერებს დააწესებს და დანერგავს, აუცილებელია დიდი რაოდენობის თანამშრომლების დაქირავება მატარებლების კანონიერი მოძრაობის შესამოწმებლად იმ სადგურებში, სადაც შლაგბაუმები ჯერ კიდევ არ არსებობს. ასეთი თანამშრომლები სათანადო დონეზე უნდა იყვნენ განსწავლულები და მათი საქმიანობაც სათანადოდ უნდა კონტროლდებოდეს, რათა კომპანიას ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მათი შრომის ნაყოფიერება შეესაბამება მოსალოდნელს.

თანამშრომლებმა, რომლებიც იმუშავებენ შლაგბაუმების მქონე სადგურებში, უნდა გაიარონ დამატებითი სწავლება საჭიროებისამებრ, მაგალითად, იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია შლაგბაუმების თავის არიდება, ან კავშირი არსებობს უფრო მაღალი დონის თაღლითობასა და იმ შლაგბაუმებს შორის, რომლებიც არ მუშაობს. თუ მართლაც ასეა, მგზავრებს შესაძლოა ჰქონდეთ სტიმული, რომ მოძებნონ ამ შლაგბაუმები დაზიანების გზები. ასეთ შემთხვევაში, კომპანიამ, კონტროლის ღონისძიების სახით, შესაძლოა განიხილოს უფრო მეტი რაოდენობის პერსონალის დასაქმებისა და ფარული კამერების დაყენების საჭიროების საკითხი.

კომპანიაში უნდა დაინერგოს კონტროლის სათანადო მექანიზმები, რათა გარანტირებული იყოს, რომ პრაქტიკაში სათანადოდ მუშაობს ბილეთებისთვის დაწესებული ბარიერები და არსებობს სარეზერვო პროცედურები ამ კონტროლის მექანიზმების გაუმართაობის შემთხვევისთვის.

მგზავრებისთვის გაცილებით ადვილია ბილეთების ყიდვა სადგურში და მატარებელში. ცხადია, ეს შეამცირებს უბილეთოდ მგზავრობის სტიმულს.

აუცილებელია განხილვის ორგანიზება შესაბამის სატრანსპორტო პოლიციასთან ერთად უმაღლეს დონეზე, რათა შემცირდეს თაღლითობა თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი პოლიტიკისა და პროცედურების შემოღებითა და პრევენციის სტრატეგიის მეშვეობით. თუ გავითვალისწინებთ თაღლითობის არსებულ მასშტაბს, სავარაუდოდ, ეს სააგენტო ამ თაღლითობას პრიორიტეტულ პრობლემად მიიჩნევს.

საბოლოოდ, კომპანიამ სერიოზულად უნდა იფიქროს ინტერნეტის მეშვეობით ბილეთების დაჯავშნის სისტემაში ინვესტიციის განხორციელებაზე. ამგვარი მეთოდები წარმატებული აღმოჩნდა სხვა ეროვნულ სარკინიგზო ოპერატორებთან. სავარაუდოდ, ბილეთების დაჯავშნა ინტერნეტის მეშვეობით შეამცირებს თაღლითობას, თუკი ეს სისტემა მარტივად იმუშავებს და მისი გამოყენება მგზავრებისთვის იაფი დაჯდება. თაღლითობასთან ბრძოლის ამჟამად ხელმისაწვდომ მეთოდებს შორის, როგორც ჩანს, გაცილებით ეფექტური იქნება ონლაინ სისტემის მეშვეობით ბილეთების გაყიდვის შეხამება ბილეთების ავტომატურ ბარიერებთან.

1

← შენიშვნა 1

1

1

← შენიშვნა 2

1

← შენიშვნა 3

1

2

← შენიშვნა 4

პუ2

← შენიშვნა 5
პროფესიული
უნარები

კითხვა 5 (ა)

ბიზნესსცენარი/ეკონომიკური დასაბუთება ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემაში ინვესტიციების განხორციელების პროექტისთვის

ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემაზე ქვეყანაში გამოიყენება სახელმწიფო სექტორში, როგორც შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება, რომელიც ამცირებს დანახარჯებსაც და ამაღლებს კლიენტების კმაყოფილების დონეს.

ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემის ერთ-ერთი დამტკიცებული უპირატესობაა ის, რომ ამ სისტემაში შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობების გამოყენება კლიენტების შესახებ დეტალური და დროული მონაცემების მისაღებად, რაც ორგანიზაციას ეხმარება კლიენტებთან ურთიერთობის მართვაში.

კლიენტის თითოეული ონლაინოპერაცია იწერება მონაცემთა ბაზაში, რომელიც ინახავს და გაანახლებს ინფორმაციას ამ კლიენტის შესახებ. ეს კი ამ კლიენტისთვის მიზნობრივი მარკეტინგის განხორციელების საშუალებას იძლევა და ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციას კლიენტების სამომხმარებლო ქცევის შესახებ. ამგვარად, შესაძლებელი ხდება მოთხოვნის პროგნოზირება. სამომხმარებლო მოთხოვნის შეცნობა და პროგნოზირება ამაღლებს ორგანიზაციულ ეფექტიანობას. მონაცემთა ბაზა, ასევე კლიენტების კომპიუტერზე, პლანშეტზე ან მობილურ ტელეფონში ქუქი-ფაილების არსებობაც დაზოგავს კლიენტის დროს, ვინაიდან მას შეეძლება წარსული მგზავრობებისა და ანგარიშსწორების მონაცემების შენახვა.

კლიენტებისთვის ოპერაციების გამარტივება ამაღლებს მათ ლოიალობას ორგანიზაციის მიმართ. ამის შედეგად შესაძლებელია ჯვარედინი გაყიდვების განხორციელებაც, როგორიც არის, მაგალითად, სასტუმროებში ნომრების გაყიდვა და თეატრის ბილეთების გაყიდვა.

ბილეთების ონლაინ გაყიდვების მეთოდის კიდევ ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მთლიანობაში მგზავრობის ღირებულების შემცირება, ვინაიდან სისტემის მთლიანად ამოქმედების შემდეგ ძალიან მცირე იქნება ზღვრული დანახარჯები თითოეული ოპერაციის. გარდა ამისა, ბილეთების ონლაინ გაყიდვა საშუალებას იძლევა, რომ ზუსტად განისაზღვროს ფასების დიფერენციაცია, რადგან შესაძლებელია, ძალიან სწრაფად შემცირდეს ფასები „უძრავ“ პერიოდებში და სწრაფად გაიზარდოს ფასები მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის, ე.წ. „დაძაბულ“ პერიოდებში. ეს არის კლიენტებთან ურთიერთობის მართვის ერთ-ერთი ეკონომიური მეთოდი.

ვინაიდან კლიენტების ლოიალობა ბილეთების ონლაინ გაყიდვების მეთოდის გავრცელებული დამახასიათებელი ნიშანია, კლიენტისთვის ასეთი მომსახურების ადრე შეთავაზებამ შეიძლება დანაკარგები გამოიწვიოს. ეს არის ეფექტური მეთოდი, რომელიც სწრაფად გაზრდის მომსახურების გამოყენებას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ინვესტიციების გამოსყიდვას გრძელვადიან პერსპექტივაში.

რისკების სათანადოდ შეფასება, ასევე რისკების მართვის მიზნებისა და მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრა აუცილებელია ბილეთების ონლაინ გაყიდვის სისტემაში ინვესტიციების განხორციელების პროექტისთვის. ამ სისტემის ყველაზე შესაფერისი გარე დეველოპერების მოსაძიებლად შესაძლებელია სწორად დაგეგმილი საკონკურსო ტენდერის გამოყენება.

← შენიშვნა 1

← შენიშვნა 2

← შენიშვნა 3

← შენიშვნა 4

← შენიშვნა 5

← შენიშვნა 6
პროფესიული
უნარები

1

1

1


1

1

პუ1

საგამოცდო სცენარი

კომპანია Rail Co სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიაა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანა ბილენდის ფარგლებში სამგზავრო სარკინიგზო მომსახურებაზე. Rail Co-ს მართავს უმაღლესი მმართველი საბჭო, რომელსაც უწოდებენ Rail Co-ს-ის ნდობით აღჭურვილ საბჭოს. ეს საბჭო ანგარიშვალდებულია ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე და პასუხს აგებს იმის უზრუნველყოფაზე, რომ Rail Co-ის დირექტორთა საბჭო ეფექტიანად გამოიყენებს სახელმწიფოს ფულს და ქვეყნის მოსახლეობას გაუწევს ქმედით და ეფექტიან მომსახურებას. 1-ელ სქემაზე ნაჩვენებია კომპანია Rail Co-ს მართვის სტრუქტურა.



ბილენდის ეროვნული აუდიტის ორგანო წარმოადგენს აუდიტის სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია ბილენდის მთავრობის წინაშე და პასუხს აგებს სახელმწიფოს ხარჯების შეფასებასა და მთავრობისთვის ანგარიშის წარდგენაზე, სადაც მთავრობას შესთავაზებს რეკომენდაციებს იმ ორგანიზაციების მაჩვენებლების გაუმჯობესების გზების შესახებ, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. გარდა ამისა, აუდიტის სახელმწიფო ორგანო პასუხისმგებელია სახელმწიფოს ფულის იმ ნაწილის ეფექტურ ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც სახელმწიფო იღებს მის საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან, ასევე ამ ორგანიზაციების მმართველი ორგანოების, მათ შორის მათი აღმასრულებელი წევრების მუშაობაზე. უახლოეს წარსულში მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ბევრ სხვა წყაროში ინფორმაცია გავრცელდა კომპანია Rail Co-ის თაღლითური საქმიანობისა და მისი ცუდი მომსახურების შესახებ, რამაც საზოგადოების ნეგატიური რეზონანსი გამოიწვია. ამის გამო, ბილენდის ტრანსპორტის მინისტრმა აუდიტის ეროვნულ ორგანოს დაავალა კომპანია Rail Co-ს პრობლემების სწრაფი გამოკვლევის ჩატარება.

შენიშვნა: საგამოცდო სცენარს დაერთოდა ინფორმაცია კომპანია Rail Co-ს საქმიანობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო 6 დანართში. სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, აქ არ გვაქვს წარმოდგენილი ეს დანართები.

დანართი 1: კომპანია Rail Co-ის ხელმძღვანელობისა და მართვის ვებგვერდი.

დანართი 2: ტრანსპორტის ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა ბილენდის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში.

დანართი 3: მგზავრთა გამოკითხვის შედეგები და კომპანია Rail Co-სა და მისი კონკურენტების საქმიანობის შედეგების ანალიზის ცხრილი (3 წლის მონაცემები).

დანართი 4: კომპანია Rail Co-ს დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმები.

დანართი 5: მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ახალ თანამდებობაზე დასანიშნად შერჩეული ორი კანდიდატის ანკეტური მონაცემების რეზიუმე

დანართი 6: ბილეთების გაყიდვა, მონაცემები მგზავრების გამოყენების შესახებ და თაღლითობის ანალიზი ბილენდის სარკინიგზო ქსელის პირველი რეგიონის ქალაქების სადგურებში (მომზადებულია კომპანია Rail Co-ის ფინანსური კონტროლიორის მიერ).

როგორ ჩავაბაროთ სტრატეგიული ბიზნესლიდერის (სბლ) მოდულის გამოცდა

სბლ-ის საგამოცდო კითხვა არის 4-საათიანი ინტეგრირებული სასწავლო სცენარი, რომლის მეშვეობითაც მოწმდება ფართო სპექტრის ორგანიზაციული ფუნქციების ცოდნა. სცენარი იმგვარად არის ფორმულირებული, რომ შესაძლებელია არა მხოლოდ ტექნიკური და ეთიკური უნარების შეფასება, არამედ პროფესიულ უნარებისაც, რომელსაც, სავარაუდოდ, უნდა ფლობდნენ ეფექტური ლიდერები და ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების მრჩეველები.

სასწავლო პროგრამის არსის ლაკონურად ჩამოყალიბება შეიძლება შემდეგნაირად:

- ლიდერობა და მართვა;
- სტრატეგია მოითხოვს რისკების მართვის მიზნის კარგად გააზრებას;
- ტექნოლოგიები და მონაცემების ანალიზი ცვლის ბიზნესს;
- ორგანიზაციული კონტროლი მოიცავს შიდა აუდიტს;
- ფინანსური ასპექტები ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას;
- ინოვაცია, მაღალი მწარმოებლურობა და ცვლილებების კვალიფიციური მართვა აუცილებელია ორგანიზაციული წარმატებისთვის.



სბლ – ინტეგრირებული ტექნიკური და პროფესიული უნარები

სასწავლო პროგრამის მიზანია ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციების გაერთიანება ლიდერობის შესაძლებლობების კონტექსტში.





როგორ მოვიკოვოთ პროფესიული უნარებისთვის განკუთვნილი უნარები

მთლიანი ქულების 20% მიკუთვნებული იქნება პროფესიულ უნარებზე.

- წაიკითხეთ თითოეული მოთხოვნა:
 - გაითვალისწინეთ პასუხის მითითებული ფორმატი (მაგ., მემორანდუმი);
 - განსაზღვრეთ პროფესიული უნარი (მაგ., სპეკტიციზმი) და გაიხსენეთ დამატებითი უნარები (მაგ., გამოკვლევა, დაეჭვება, დაპირისპირება/შედავება);
 - განსაზღვრეთ მინიშნება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმოაჩინოთ უნარები (მაგ. „გადაუდებელ შეხვედრაზე გაკეთებული კომენტარების უარყოფით“).
- გაითვალისწინეთ ეს უნარი, როდესაც:
 - ხელახლა წაიკითხავთ მოთხოვნას;
 - აქტიურად წაიკითხავთ შესაბამის დანართებს (მაგ., გადაუდებელი შეხვედრის ჩანაწერს);
 - დაფიქრდით და დაგეგმეთ პასუხი.
- როდესაც პასუხს წერთ:
 - წარმოადგინეთ იგი მითითებულ ფორმატში;
 - გამოიყენეთ შესაფერისი სათაურები და ქვესათაურები;
 - წარმოადგინეთ მხოლოდ შესაფერისი მოსაზრებები;
 - მოერიდეთ გამეორებას;
 - გასაგებად და ლაკონურად წერეთ;
 - შეინარჩუნეთ პროფესიული ტონი.

შეინარჩუნეთ პროფესიული ტონი



რჩევები სბლ-ის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის

- ✓ დაგეგმეთ სასწავლო პროგრამის შესწავლა რაც შეიძლება სწრაფად;
- ✓ რაც შეიძლება სწრაფად დაიწყეთ სცენარზე დაფუძნებულ კითხვებში ვარჯიში;
- ✓ თავიდანვე იმუშავეთ თქვენს პროფესიულ უნარებზე;
- ✓ სცადეთ თითოეული საგამოცდო კითხვის ნიმუშისა და გასული პერიოდის საგამოცდო კითხვების პასუხების დაწერა 4 საათში და სრულად.



გამოცდის ჩაბარება

თითოეულ დავალებაში მითითებულია პასუხის ფორმატი, მაგალითად:

- მოამზადეთ საინფორმაციო დანიშნულების
- მოკლე კომენტარები...
- დაწერეთ ანგარიში საბჭოსთვის...
- დაწერეთ წერილი ...

საგამოცდო კითხვას შეიძლება რამდენიმე მოთხოვნა ჰქონდეს, მაგალითად, „შეაფასეთ... და მიეცით რეკომენდაციები...“

გმნები, რომლებიც ყველაზე ხშირად შეგხვდებით
სბლ-ის გამოცდაზე:



შეაფასეთ



განიხილეთ



ურჩიეთ

წაიკითხეთ ეს სტატია, რომელიც ეხება საგამოცდო კითხვებში
გამოყენებულ გმნებს



გაეცანით დამხმარი სასწავლო მასალას

- წაიკითხეთ გამომცდელის მიერ მომზადებული სტატიები.
- წაიკითხეთ გამომცდელის მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიშები გამოცდის შედეგების შესახებ.
- წაიკითხეთ გამომცდელის მიერ მომზადებული სტატიები, რომლებიც ეხება სბლ-ის გამოცდის ჩაბარების მიდგომას, საგამოცდო დროის მართვას, შემფასებლის ხედვას და მოსაზრებებს იმის თაობაზე, კანდიდატების.
- ივარჯიშეთ სანიმუშო საგამოცდო კითხვებზე.
- გაეცანით გასული პერიოდების საგამოცდო კითხვებსა და გამომცდელის მიერ მომზადებულ პასუხებს და გამოცდის ფორმატში ივარჯიშეთ ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

ფინანსური ფუნქციები წლიური ციკლის შეზღუდვებისგან უნდა „გათავისუფლდეს“



პროფესიონალი
ფინანსისტების
82% ამბობს, რომ
დაინტერესებულ მხარეებს
სჭირდებათ უფრო მეტი,
ვიდრე ინფორმაცია
ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ფინანსური ფუნქციების განვითარებადი როლის გლობალურმა კვლევამ აჩვენა, რომ რეალურ დროში, ანალიზსა და ფინანსურს მიღმა მონაცემებშია არასტაბილურ გარემოში წარმატებული ნავიგაციისა და უფრო მდგრადი მომავლისკენ გადასვლის გასაღები.

ახალ ანგარიშში, სახელწოდებით, დაგეგმვისა და შესრულების მართვის პარადიგმა, ACCA-მ CA ANZ-სა და PwC-თან ერთად,

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 3000-ზე მეტ ფინანსურ პროფესიონალს სთხოვა, გაეზიარებინათ მოსაზრება ფინანსური ფუნქციის მომავლის შესახებ. მთლიანობაში, რესპონდენტები აცხადებენ, რომ ბედმეტად დიდი ყურადღებაა გამახვილებული წარსულ ფინანსურ მაჩვენებლებზე და შეზღუდულია ხედვა სხვა მონაცემებზე, რომლებიც საჭიროა ESG-ს (Environmental, Social & Governance) მიზნებისთვის.

რესპონდენტთა მხოლოდ 16%-მა თქვა, რომ ESG-ის პროგნოზირება იყო „სრულიად ინტეგრირებული“ ფინანსური დაგეგმვისა და შესრულების პროცესში, ხოლო 82%-მა თქვა, რომ გარდა ფინანსურისა, დაინტერესებულ მხარეებს ესაჭიროებათ ახალი შესრულების საზომები. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (56%) განაცხადა, რომ ისინი ამჟამად „თანაბარ“ ყურადღებას აქცევენ ფინანსურ და არაფინანსურ სფეროებს, როგორცაა მაგალითად, საოპერაციო მიზნები.



ანგარიშის კომენტარებისას, რომელიც პირველად გამოქვეყნდა მუშაობის ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესზე, **ACCA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა პელენ ბრენდმა** თქვა: „პროფესიონალი ფინანსისტები თამაშობენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ორგანიზაციებისთვის სტრატეგიული მიზნებისკენ გზის გაკვალვის პროცესში, ძალიან გაურკვეველ დროს. სწრაფად გაუარესებად ეკონომიკურ გარემოში, წმინდა ნულოვანი მიზნების მიღწევის მზარდი აუცილებლობით, ფინანსურ გუნდებს ესაჭიროებათ ინფორმაცია რეალურ დროში, მთელი ორგანიზაციის მასშტაბით, რათა სწრაფად ამოიცნონ და რეაგირება მოახდინონ ცვალებად გარემოებებზე. ეფექტურობის მამოძრავებელი ძალა აღარ არის მხოლოდ ფინანსური, მდგრადობა და არაფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება უნდა იყოს ინტეგრირებული დაგეგმვისა და შესრულების პროცესებში, რათა შეიქმნას მრავალგანზომილებიანი სურათი წლიური დაგეგმვის ციკლების შეზღუდვების მიღმა. მრავალი ორგანიზაციისთვის ეს ნიშნავს დაგეგმვისა და შესრულების მართვის პროცესებისა და კულტურის მკვეთრ ტრანსფორმაციას“.

CA ANZ-ის აღმასრულებელი დირექტორის, აინსლი ვან ონსელენის განცხადებით, ფინანსურ პროფესიონალებს

აქვთ საჭირო უნარები დაგეგმვის ციკლების დაგეგმვისა და შესრულების გაზომვის პროცესის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საჭიროა განვითარება და უწყვეტი სწავლა, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ანგარიშში.

მისი განცხადებით: „ფინანსური პროფესიონალებისა და ფინანსური დირექტორის როლი სულ უფრო პოლისტიკური და ღირებულებაზე ორიენტირებულია. შესაბამისად, მათ სჭირდებათ შესრულების გაზომვის ახალი ფორმების შემუშავება ინვესტორების, ანალიტიკოსების და კაპიტალის ბაზრებისთვის, გარდა ფინანსური საზომებისა.“

მოხსენებაში მოცემულია რეკომენდაცია დაგეგმვისა და შესრულების მოდელების დაფუძნების მონაცემებზე. ის უნდა იყოს მოქნილი და იყენებდეს რეალურ დროში განახლებად მონაცემებს, სადაც ეს შესაძლებელია. პროცესი უნდა იყოს მომავლისკენ მიმართული, დაგეგმილი სცენარით და ინტეგრირებული პროგნოზებით. ამის მისაღწევად აუცილებელია მონაცემებისა და ტექნოლოგიების განვითარება, სადაც ეს შესაძლებელია; ის უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციის Cloud-ზე დაფუძნებულ აპლიკაციის არქიტექტურაში.

წყარო: accaglobal.com

საჯარო სექტორის ფინანსისტის პროფესია მრავალ გამოწვევას ებრძვის

ACCA-ს საჯარო სექტორის კონფერენცია განიხილავს საჯარო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს და გვთავაზობს გზებს სექტორის ტრანსფორმაციისთვის.

საჯარო სექტორმა უნდა უპასუხო მრავალ გლობალურ გამოწვევას იმისათვის, რომ შექმნას უსაფრთხო და მდგრადი მომავალი ყველა მიმართულებით.

ACCA-ს საჯარო სექტორის ვირტუალურმა კონფერენციამ განიხილა ის გამოწვევები და გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჯარო სექტორის პროფესიონალი ფინანსისტები აწყდებიან საჯარო სექტორის ტრანსფორმაციაზე მუშაობისას. ასეთი ამოცანა ნებისმიერ დროს მრავალ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ამჟამად მას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ომის, ინფლაციის მაღალი

მაჩვენებლების და კლიმატის ცვლილების მწვავე გამოწვევის კომბინაცია.

ბუღალტერია დგას საჯარო სექტორის ტრანსფორმაციის ცენტრში. ფინანსების პროფესიონალებს სჭირდებათ სწორი უნარები ფინანსური მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და პოლიტიკისა და ხარჯვის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. საჯარო სექტორში ახალი ამოცანები არასოდეს ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი. კონფერენციაზე მოისმინეს მოხსენება ACCA-ს ახლახან გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს შესახებ საჯარო სექტორის პროფესიონალიზაციაზე, რომელიც ორგანიზაციამ IFAC-თან ერთად გამოსცა 2022 წლის 18 ნოემბერს და რომელიც ახალი მიდგომების მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს.



კონფერენციაზე იმსჯელეს იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგანან ფინანსური ლიდერები საჯარო სექტორში. კონფერენციის გახსნით ნაწილში ისაუბრა **საერთაშორისო სავალუტო ფონდის ალტერნატიულმა აღმასრულებელმა დირექტორმა და უკრაინის ეროვნული ბანკის მმართველის ყოფილმა მოადგილემ ვლადისლავ რაშკოვანმა**. მისი მოხსენება ეხებოდა საჯარო საფასურის პრიორიტეტიზაციასა და საჯარო ფინანსებზე ცხოვრების ღირებულების კრიზისს, კონკრეტულად კი განიხილა, თუ რამდენად რთული იყო ხარჯვითი გადაწყვეტილებები ომის ზონაში - არჩევანი შეიარაღების დაფინანსებასა და მოქალაქეთა დაცვას შორის.

“ბევრი რთული არჩევანი არსებობს ბიუჯეტის გამოყოფასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სლოგანები: ავაშენოთ უკეთესი, ზამთარი მოდის და ხალხი ვერ იცხოვრებს ქუჩებში, დონორებისა და მთავრობისთვის მძიმე რეალობამ შეიძლება გამოიწვიოს არასასიამოვნო დაპირისპირება იმ ადგილების რეკონსტრუქციის სისწრაფესა და ხარისხს შორის, სადაც ადამიანები ცხოვრობენ,” - განაცხადა მან.

რაშკოვანმა დასძინა, რომ არსებობს მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფინანსების სპეციალისტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ უკრაინის აღდგენას მრავალ სექტორში. კონფერენციის სესიაზე მან ჩამოაყალიბა 12 პუნქტი, რომელიც ფინანსების პროფესიონალებმა უნდა დააკმაყოფილონ ომის და ომის შემდგომ სიტუაციებში.

მდგრადობის ანგარიშგებისა და რწმუნების მიმართულებები სწრაფად ვითარდება და სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საჯარო სექტორში. კონფერენციაზე განიხილა საჯარო სექტორის ბუღალტ-

რული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ბოლო კონსულტაცია, რომელიც მიზნად ისახავდა მდგრადობის შესახებ ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოს შემუშავებას, გენერალურ აუდიტორებს შორის ნაყოფიერი დისკუსიის გზით. აღნიშნული მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ აუდიტორებმა ეფექტური რწმუნება სამომავლო მდგრადობის ანგარიშგების შესახებ საჯარო სექტორში.



ACCA-ს პრეზიდენტის, ჯოზეფ ოვოლაბის განცხადებით: „ACCA-ს 24000 საჯარო სექტორში მოღვაწე წევრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი ადამიანის ცხოვრებაზე, თამაშობს მთავარ როლს საჯარო სერვისების მიწოდებაში და ქმნის მარეგულირებელ გარემოს საზოგადოების გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისად. ეს კონფერენცია, რომელიც ჩატარდა საჯარო სექტორისთვის გადამწყვეტ მომენტში და განიხილავს უამრავ მნიშვნელოვან თემას, კარგი შანსია მათთვის, დაფიქრდნენ ტრანსფორმაციაზე, რომელიც მათ წარმატებული საქმიანობისთვის სჭირდებათ.“

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 14/11/2022
სარეგისტრაციო კოდი
210020010.05.001.020651

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალაშენებული ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისთვის არ უნდა აღემატებოდეს:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის – 4 ლარს;

ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისთვის – 11 ლარს;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მშენებლობების გარდა, ყველა სხვა მშენებლობისთვის – 10 ლარს.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^ე მუხლი:

„მუხლი 17^ე. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობა 2025 წლამდე

1. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე არ უნდა აღემატებოდეს 7 ლარს, ხოლო 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე – 9 ლარს.

2. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე არ უნდა აღემატებოდეს 6 ლარს, ხოლო 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე – 8 ლარს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2 ნოემბერი 2022 წ.
N1980-IXმს-Xმპ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №377
2022 წლის 16 ნოემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. 79-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შერჩეული პირის მიერ მიწოდებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 18 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

ბ) ადგილობრივი ფილტრიანი და უფილტრო (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე (შშრალი/ თვითწებადი) – 12 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

გ) ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლიანი სასმელისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 12 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

დ) ადგილობრივი და იმპორტული ლუდის ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

ე) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 12 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

ვ) ადგილობრივი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 12 დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

ზ) იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 18 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

5. შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის – არაალკოჰოლური სასმელისთვის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება 1 000 ცალ ერთეულზე – 0,10 ლარით.“

2. 79² მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, ხოლო მისი ფონური ფერი და შეფუთვის ფორმა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლიანი სასმელისათვის განკუთვნილი აქციზური მარკის ფონური ფერია ლურჯი, შეფუთვის შემდეგი ფორმებით:

ა.ა) ალკოჰოლიანი სასმელის აქციზური მარკა 10-ცალიანი ლენტი (თვითწებადი);

ა.ბ) ალკოჰოლიანი სასმელის აქციზური მარკა 100-ცალიანი ლენტი (თვითწებადი);

ა.გ) ალკოჰოლიანი სასმელის აქციზური მარკა 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ა.დ) ალკოჰოლიანი სასმელის აქციზური მარკა 6 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);

- ა.ე) ალკოჰოლიანი სასმელის აქციზური მარკა 24 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ბ) ადგილობრივი და იმპორტული ლუდის ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკის ფონური ფერია ყვითელი-წითლით, შეფუთვის შემდეგი ფორმებით:
- ბ.ა) ლუდის აქციზური მარკა 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ბ.ბ) ლუდის აქციზური მარკა 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- გ) ადგილობრივი ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკის ფონური ფერია - მწვანე, შეფუთვის შემდეგი ფორმებით:
- გ.ა) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტის 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- გ.ბ) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტის 108 000-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- დ) ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი მატერიალური ფორმის აქციზური მარკის ფონური ფერია ყავისფერი, შეფუთვის შემდეგი ფორმებით:
- დ.ა) ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- დ.ბ) ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- დ.გ) ადგილობრივი დანარჩენი თამბაქოს 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- დ.დ) ადგილობრივი დანარჩენი თამბაქოს 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- დ.ე) ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი ადგილობრივი სითხეების 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- დ.ვ) ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი ადგილობრივი სითხეების 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე) იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკის ფონური ფერია ლურჯი, შეფუთვის შემდეგი ფორმებით:
- ე.ა) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტის 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ე.ბ) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტის 108 000-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ე.გ) იმპორტული უფილტრო თამბაქოს 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ე.დ) იმპორტული უფილტრო თამბაქოს 108 000-ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ე.ე) იმპორტული უფილტრო თამბაქოს (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე.ვ) იმპორტული უფილტრო თამბაქოს (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე.ზ) ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი იმპორტირებული სითხეების 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე.თ) ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი იმპორტირებული სითხეების 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე.ი) ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის განკუთვნილი იმპორტირებული სითხეების 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი).“;
- ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;
- გ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „3. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაშიფრულია უხილავი მატრიცის/კოდის საშუალებით.
4. მარკებზე დატანილია სერიული ნომერი საქონლის ნიშანდების/მარკირების შესახებ საინფორმაციო ბაზაში მათი გამოყენების ასახვისათვის (გააქტიურებისათვის).“;
- დ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერი განისაზღვრება ადგილობრივი სითხეებისთვის – ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო იმპორტირებული სითხეებისთვის – იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად. აქციზური მარკების შეფუთვის ფორმები განისაზღვრება სითხეებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.“.

3. 79³ მუხლის:

- ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით მეწარმე-სუბიექტი და ფიზიკური პირი დადგენილ შემთხვევაში (შემდგომში – მომხმარებელი) შემოსავლების სამსახურს წარუდგენს

ან პროგრამულად ავსებს №IV-02¹ და №IV-02² დანართების შესაბამის სარეგისტრაციო ფორმას.

4. შერჩეული პირი მომხმარებლის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას ახორციელებს პირის მიერ შევსებული სარეგისტრაციო ფორმისა და შემოსავლების სამსახურის თანხმობის საფუძველზე. მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის რეგისტრაციას შერჩეული პირი უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის თანხმობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.“;

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. 79^ა მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შერჩეული პირის მიერ ადგილობრივი და იმპორტული არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერია – ყვითელი.

2. შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გასაცემი მატერიალური ფორმის მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, 1 000-ცალიანი, 5 000-ცალიანი ან 3 000-ცალიანი რულონის (თვითწებადი) ფორმით.“.

5. დანართი №IV-02¹ და დანართი №IV-02² ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №IV-021

საიდენტიფიკაციო ნომერი	გადამხდელის დასახელება	ტერიტორიული რეგიონი/ქალაქი	საფოსტო კოდი	ფაქტობრივი მისამართი	ელ-ფოსტა	საკონტაქტო ტელ. ნომერი	უფლებამოსილი საკონტაქტო პირი, სახელი გვარი	მარკების მიღებაზე მინდობილი პირი სახელი და გვარი	მარკების მიღებაზე მინდობილი პირის პირადი ნომერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი №IV-022

ს/ნ	გადამხდელის დასახელება	ბაზრის ტიპი	მარკების ტიპი	სეს-ესენ ჯგუფი (4 ციფრი)	სეს-ესენ კოდი (11 ციფრი)	პროდუქტის და ბრენდის დასახელება	პროდუქტის და ბრენდის დასახელება (ინგლისური)	შეფუთვის მასალა და ტიპი	მოცულობა (ლიტრი)	წონა (კგ)	ლერების რაოდენობა (ცალი)	ალკოჰოლის %	პროდუქტის შტრიხკოდი	SKU
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

შენიშვნა: მე-14 გრაფა „პროდუქტის შტრიხკოდი“ ივსება მხოლოდ არამატერიალური ფორმით მარკირებისას.“.

6. 112-ე მუხლის მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 79^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2022 წლის 1 დეკემბრიდან.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 79^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 01/12/2022
სარეგისტრაციო კოდი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საჯარო გადაწყვეტილება №387
2022 წლის 28 ნოემბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის
მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 46¹ მუხლის შესაბამისად და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მიღებულ იქნეს შემდეგი შინაარსის საჯარო გადაწყვეტილება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე“:

1. საჯარო გადაწყვეტილების რეგულირების სფერო

საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების საკითხს, თუ ხორციელდება:

ა) დაკლული ცხოველის მიწოდება;

ბ) გამოშვებული (ახალი), ცოცხალი, გაცივებული ან გაყინული თევზის მიწოდება;

გ) იმპორტირებული ბიოლოგიური აქტივის ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება;

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთული/დაფასოებული სახით მიწოდება.

2. საჯარო გადაწყვეტილების დასაბუთება და სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის უფლებით დამატებული ღირებულების გადასახადისგან (შემდგომში – დღგ) გათავისუფლებულია, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 11 000 00 და 0407 21 000 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციამი მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაცივებული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე).

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პირი, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებას, სარგებლობს საგადასახადო შეღავათით, თუმცა მიწოდებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია წარმოებულია საქართველოში და ამ პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე).

სსკ-ის მე-8 მუხლის 6² ნაწილის თანახმად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქტი. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებად არ ითვლება ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად სასაქონლო კოდის შეცვლა, აგრეთვე ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღება (პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა).

სსკ-ის მე-8 მუხლის 6¹ ნაწილის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (შემდგომში – ბასს) 41-ით გათვალისწინებული საქმიანობა.

ბასს 41-ის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

ბასს 41 ასევე განმარტავს, რომ ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენს ცხოველი ან მცენარე, ხოლო ბიოლოგიური ტრანსფორმაცია მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებას და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივების ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს. ამასთანავე, ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათი ვრცელდება მხოლოდ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებაზე, მის სამრეწველო გადამამუშავებამდე, რაც გულისხმობს, რომ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროდუქტის სასაქონლო კოდის შეცვლამდე. ამასთანავე, ხსენებული საგადასახადო შეღავათის მიზნისთვის, მხედველობაში არ მიიღება სასაქონლო კოდის შეცვლა, რომელიც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული პროცესებით, კერძოდ, ბიოლოგიური

აქტივის ტრანსფორმაციით ან ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღებით (პროდუქციის მოცილებით ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

ა) დაკლული ცხოველის მიწოდებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა არის ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღების ერთ-ერთი შემთხვევა. თავის მხრივ, ნაყოფის მიღება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ შედეგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხოველის, როგორც ბიოლოგიური აქტივის, სიცოცხლის პროცესის შეწყვეტით მიღებული პროდუქცია განიხილება სოფლის მეურნეობის პროდუქციად და მის მიწოდებაზე ვრცელდება სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი.

ბ) გამოშიგნული (ახალი), ცოცხალი, გაცივებული ან გაყინული თევზის მიწოდებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ბასს 41-ის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს ასევე აკვაკულტურასაც, მათ შორის, თევზის მოშენებას. შესაბამისად, გამოშიგნული თევზი წარმოადგენს ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტის (ნაყოფის მიღება) შედეგად მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) მიღებულ პროდუქტს. ამდენად, გამოშიგნული (ახალი) თევზის მიწოდება სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით.

რაც შეეხება გაცივებული/გაყინული თევზის მიწოდებისას სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გავრცელების საკითხს, აღსანიშნავია, რომ სეს ესნ-ის შესაბამისად, ცოცხალ, გაცივებულ და გაყინულ თევზს მინიჭებული აქვს შემდეგი სეს ესნ კოდები:

0301 პოზიცია – ცოცხალი თევზი;

0302 პოზიცია – თევზი ახალი ან გაცივებული, თევზის ფილესა და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის სხვა ხორცის გამოკლებით;

0303 პოზიცია – თევზი გაყინული, თევზის ფილეს და 0304 სასაქონლო პოზიციის თევზის ხორცის გამოკლებით.

სეს ესნ გაცივებული თევზისა და ახალი თევზის კლასიფიცირებას ახდენს ერთ სასაქონლო კოდში. გაცივებულ თევზს, მინიჭებული აქვს იგივე სასაქონლო კოდი, რაც ახალ თევზს. ამასთანავე, ახალი თევზი წარმოადგენს ცოცხალი თევზის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტის შედეგად მიღებულ პროდუქტს.

ამდენად, გაცივებული თევზი, ცოცხალი თევზის მსგავსად, წარმოადგენს ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტის შედეგად მიღებულ პროდუქტს სამრეწველო გადამუშავებამდე და მის მიწოდებაზე ვრცელდება სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი.

ამასთანავე, სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება გაყინული თევზის მიწოდებაზე, რადგან ეს პროდუქტი მიიღება სამრეწველო გადამუშავების შედეგად (იცვლება სასაქონლო კოდი).

გ) იმპორტირებული ბიოლოგიური აქტივის ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ბასს 41-ის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, მაგალითად: პირუტყვის მოშენება, ტყის გაშენება, ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურის მოყვანა, ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენება, ყვავილების მოშენება, აკვაკულტურა (მათ შორის, თევზის მოშენება), თუმცა ამ სხვადასხვა საქმიანობას გარკვეული საერთო მახასიათებლები აქვს:

ა) ცვლილების უნარი – ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი;

ბ) ცვლილების მართვა – მართვა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების, ან მინიმუმ სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (მაგალითად, კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამგვარი მართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან. მაგალითად, პროდუქციის მიღება უმართვადი წყაროებიდან (როგორიცაა ოკეანეში თევზჭერა და ტყის გაჩეხვა) არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა;

გ) ცვლილების შეფასება – ბუნებრივი ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია რუტინული მმართველობითი ფუნქციით.

ბასს 41-ის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიიღება შემდეგი ტიპის შედეგები:

„ა) აქტივის ცვლილება, რაც განპირობებულია: (1) ზრდით (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის ან ხარისხის ზრდა); (2) დეგენერაციით (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის შემცირება); ან (3) გამრავლებით (ცოცხალი ცხოველის ან მცენარის ნამატის წარმოქმნა); ან

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაგალითად: ჩაის ფოთოლი, მატყლი, რძე და სხვა.”.

ამდენად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის პროდუქცია, რომელიც მიიღება ნებისმიერი ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვის საქმიანობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათი ვრცელდება მხოლოდ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებაზე მის სამრეწველო გადამუშავებამდე, რაც გულისხმობს, რომ მიწოდება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროდუქტის სასაქონლო კოდის შეცვლამდე, ხოლო კოდის შეცვლა უნდა მოხდეს პროდუქციის გადამუშავების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მიზნისთვის, მხედველობაში არ მიიღება სასაქონლო კოდის შეცვლა, რომელიც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული პროცესებით, კერძოდ, ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაციით ან ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღებით (პროდუქციის მოცილებით ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციად მიიჩნევა საქართველოში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტი, კერძოდ, ბიოლოგიური აქტივის საქართველოში განხორციელებული ბიოლოგიური ტრანსფორმაციის, ასევე, მისგან პროდუქციის მოცილების ან მისი სიცოცხლის პროცესის შეწყვეტის მართვის შედეგად მიღებული პროდუქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი, მისი სარგებლობისთვის კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, გავრცელდება იმპორტირებული ბიოლოგიური აქტივის საქართველოში განხორციელებული ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებაზე.

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთული/დაფასოებული სახით მიწოდებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება მხოლოდ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებაზე მის სამრეწველო გადამუშავებამდე, რაც გულისხმობს, რომ მიწოდება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროდუქტის სასაქონლო კოდის შეცვლამდე. ამასთანავე, სასაქონლო კოდი იცვლება პროდუქციის გადამუშავების შედეგად.

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთვა/დაფასოება, როდესაც შესაფუთი მასალა ძირითადი ოპერაციის – პროდუქციის მიწოდების მიმართ დამხმარე ხასიათს ატარებს, არ განიხილება სამრეწველო გადამუშავებად სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის.

შესაბამისად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთული/დაფასოებული სახით (როგორც ინდივიდუალურად, ასევე რამდენიმე სახის პროდუქტის ერთად) მიწოდება ჩათვლის უფლებით თავისუფლდება დღგ-ისაგან.

3. გადაწყვეტილება

1. სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

ა) ცხოველის, როგორც ბიოლოგიური აქტივის, სიცოცხლის პროცესის შეწყვეტით მიღებული პროდუქციის (დაკლული ცხოველი) მიწოდება;

ბ) გამოშიგნული (ახალი), ცოცხალი ან გაცივებული თევზის (სეს ესნ-ის 0301 და 0302 პოზიციები) მიწოდება;

გ) იმპორტირებული ბიოლოგიური აქტივის საქართველოში განხორციელებული ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

დ) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მის სამრეწველო გადამუშავებამდე) შეფუთული/დაფასოებული სახით (მათ შორის, რამდენიმე სახის პროდუქტის ერთად) მიწოდება.

2. სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება გაყინული თევზის (სეს ესნ-ის 0303) მიწოდებაზე.

მუხლი 2. საჯარო გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №27777
2022 წლის 3 ნოემბერი ქ. თბილისი**

**„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის და
საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის გამოყენების
შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების
სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის და საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის გამოყენების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების:

ა.ა) პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები:

„გ) „საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტზე ფიზიკური პირისათვის შეფარდებული სანქციისაგან გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №3-ის სახით;

დ) „საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის შესაბამისი ქმედებისათვის შეფარდებული სანქციისაგან გადასახადის გადამხდელის გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №4-ის სახით.“;

ა.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგადასახადო/საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტებზე წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, დავების დეპარტამენტი იღებს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (დეპარტამენტს) უგზავნის დანართი №2-ით და დანართი №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გარდა დანართი №2-ის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ა.გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ და 4² პუნქტები:

„4¹. აუდიტის დეპარტამენტის უფროსს მიენიჭოს უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს ამ ბრძანების დანართი №3-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო სანქციისაგან პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას.

4². მომსახურების დეპარტამენტის უფროსს მიენიჭოს უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს ამ ბრძანების დანართი №2-ის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო სანქციისაგან პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას.“

ბ) ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებებს“ (დანართი №2) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. უცხოელი დასაბეგრი პირი, რომელიც ნებაყოფლობით დარეგისტრირდა დღგ-ის პორტალზე და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით წარადგინა რეგისტრაციამდე საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე თავისუფლდება ამავე კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმისაგან.“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი №3

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტზე ფიზიკური პირისათვის შეფარდებული სანქციისაგან გათავისუფლების ღონისძიებები

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ, ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტზე შეფარდებული სანქციისაგან (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმისაგან და 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავისაგან), ფიზიკური პირის გათავისუფლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე შესაძლებელია განახორციელოს აუდიტის დეპარტამენტმა, თუ არსებობს შემდეგი პირობები:

ა) საგადასახადო შემოწმება ჩატარებულია მხოლოდ ფიზიკური პირის ქონების გადასახადში, საგადასახადო ვალდებულების სისწორის განსაზღვრის მიზნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების ფაქტი გამოვლენილია პირველად (მიუხედავად შემოწმების აქტით მოცული შესამოწმებელი პერიოდების რაოდენობისა);

გ) საგადასახადო შემოწმების შედეგად ქონების გადასახადში წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარდგენილი განცხადების საფუძველზე;

დ) გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადის თანხა ან ფიზიკური პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტობა ფარავს საგადასახადო დავალიანების მოცულობას.

დანართი №4

საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის შესაბამისი ქმედებისათვის შეფარდებული სანქციისაგან გადასახადის გადამხდელის გათავისუფლების ღონისძიებები

1. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საჩივრით მიუთითებს, რომ მის მიმართ შეფარდებული ჯარიმა შეეხება სამეურნეო ოპერაციას, რომელზეც საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრისას ან/და ანგარიშგების/ადმინისტრირების წესების შესრულებისას იხელმძღვანელა ამავე ან/და ანალოგიურ სამეურნეო ოპერაციაზე საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომელმაც განახორციელა ჯარიმის შეფარდება, უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი გაათავისუფლოს შეფარდებული სანქციისაგან, თუ პირი საგადასახადო ორგანოში წარადგენს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული პოზიციის დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებას, მათ შორის:

ა) საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე გაცემულ წერილობით განმარტებას;

ბ) საგადასახადო ორგანოსთან მიმოწერას ელექტრონული ფოსტით - info@rs.ge;

გ) საგადასახადო ორგანოს განცხადებას, შეტყობინებას, განმარტებას, ვიდეო რგოლს და სხვა მტკიცებულებას ან/და დოკუმენტს, რომელიც განთავსებულია სსიპ -შემოსავლების სამსახურის ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან/და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.rs.ge, www.mof.gov.ge, www.matsne.gov.ge;

დ) სხვა მტკიცებულებას ან დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება საგადასახადო ორგანოს პოზიცია.

2. წინამდებარე მეთოდური მითითება არ გამოიყენება, თუ:

ა) გაუქმდა ან შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზე, საგადასახადო ორგანოს მიერ გაიცა შესაბამისი პოზიცია;

ბ) განხორციელებული სამეურნეო ოპერაცია არსებითად განსხვავდება იმ სამეურნეო ოპერაციისგან, რომელზე დაყრდნობითაც საგადასახადო ორგანოს მიერ გაიცა შესაბამისი პოზიცია.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №6-9**

2022 წლის 7 ნოემბერი ქ. თბილისი

**„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო
მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018
წლის 20 ივლისის №6-22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის 2018 წლის 20 ივლისის №6-22 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო
მაცნე, 24/07/2018 წ., 010240080.64.076.016052) დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებით
საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“
ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი განათლება (აუცილებელია იურიდიული/სამართლის ან/და
ფსიქოლოგიური (მათ შორის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის) ან/და ბიზნესის
ადმინისტრირების მიმართულებით განათლება);

ბ) ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი
გამოცდილება (სასურველია საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება);“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით მჭედლიძე

ვებგვერდი, 17/11/2022
სარეგისტრაციო კოდი
350010010.64.076.016114

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და
აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №10**

2022 წლის 15 ნოემბერი ქ. თბილისი

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესის განსაზღვრის თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **გბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით მჭედლიძე

დანართი

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) ან/და ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების შესრულებასთან დაკავშირებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მიერ საკითხის მოკვლევის ჩატარების წესსა და მეთოდოლოგიას, სამსახურის ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან მიმართებით მოკვლევის საქმის წარმოების პროცედურებს, წარმოებაში მონაწილე პირებს, მოკვლევაში მონაწილე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოკვლევა – სამსახურის მიერ წარმართული პროცესი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რომელიც ხორციელდება საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით და არ მოიცავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს;

ბ) მოკვლევაში მონაწილე პირი – აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორი ან/და ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული/მიღებული მომსახურება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ) შეტყობინება – საჯარო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ან დაინტერესებული ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოკვლევის დაწყების საფუძველად.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განმარტება სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. მოკვლევის პრინციპები, მიზანი და ამოცანები

1. სამსახურის მიერ მოკვლევის შედეგად მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სანქციას აკისრებს, ძალაში შესვლისა და იმ სუბიექტის ინფორმირების შემდეგ, რომელსაც სანქცია დაეკისრა, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით ქვეყნდება სამსახურის ვებგვერდზე, მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.

2. მოკვლევის პროცესში გამოვლენილი ინფორმაცია, რომელიც დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, გამოიყენება მხოლოდ კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების შესასრულებლად და მისი გაცემა ხორციელდება შესაბამისი წესით.

3. მოკვლევის მიზანია შემოწმდეს მოკვლევას დაქვემდებარებული პირის საქმიანობა, თუ რამდენად არის აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულებული.

4. მოკვლევა შეიძლება ემსახუროდეს ერთი ან რამდენიმე ამოცანის შესრულებას, მათ შორის:

ა) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობის შესაბამისობის დადგენას აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

ბ) სამართალდარღვევის თავიდან აცილებასა და გამოვლენას;

გ) კანონით და კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი აქტებით ზედამხედველობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილების განხორციელებას, მათ შორის, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების გარეშე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების შესაბამისობის შეფასებას სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებულ საერთაშორისო სტანდარტებთან/პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსთან.

5. მოკვლევა შესაძლებელია მიმართული იყოს ერთი ან რამდენიმე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ. იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ფარგლებში, აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან მიმართებაში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისთვის.

მუხლი 4. მოკვლევის დაწყების საფუძველები

1. სამსახურს, საკუთარი ინიციატივით, შეუძლია დაიწყოს მოკვლევა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე. ასევე, მოკვლევის დაწყების საფუძველი შესაძლებელია იყოს დაინტერესებული პირის განცხადება ან/და საჩივარი. სამსახურის ან/და დაინტერესებული პირის ინიციატივა მოკვლევის დაწყების თაობაზე უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ დარღვეულია კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნა.

2. სამსახური უფლებამოსილია მოკვლევის დაწყებამდე ან/და მოკვლევის დაწყების შემდგომ განახორციელოს კომუნიკაცია აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან/გარიგების პარტნიორთან, ასევე, ნებისმიერ ფიზიკურ/იურიდიულ პირთან, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან/და იმ პროფესიულ ორგანიზაციასთან, ვისი წევრიც არის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული პირი.

მუხლი 5. მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება

1. სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მოკვლევა დაიწყოს რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №5-9 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3-ის და №4-ის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის ან/და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დამუშავების საფუძველზე) ან/და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

2. სამსახური განცხადებას/საჩივარს განიხილავს და მოკვლევის დაწყების/მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში. სამსახურს უფლება აქვს, განმცხადებელს/მომჩივანს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის, დოკუმენტა-

ციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის გონივრული ვადა, რაც ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია. თუ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია, დოკუმენტაცია ან/და მტკიცებულება განსაზღვრულ ვადაში არ არის წარდგენილი, სამსახური უარს ამბობს მოკვლევის დაწყებაზე.

3. გადაწყვეტილება განმცხადებელს/საჩივრის ავტორს ეგზავნება გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო სამსახური ვალდებულია მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში დაიწყოს მოკვლევის პროცედურები.

4. სამსახური არ იწყებს მოკვლევას, თუ შეტყობინება არ შეიცავს ინფორმაციას განმცხადებლის ვინაობის შესახებ. სამსახური, საქმის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, უფლება-მოსილია შეაჩეროს/გადაავადოს მოკვლევის დაწყების პროცესი.

5. სამსახური უარს ამბობს მოკვლევის დაწყებაზე, თუ იმავე საკითხზე, მოკვლევის შედეგად სამსახურს მიღებული აქვს გადაწყვეტილება და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება.

მუხლი 6. მოკვლევაში მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობები

1. მოკვლევაში მონაწილე პირებს უფლება აქვთ ჰყავდეთ წარმომადგენელი.

2. მოკვლევაში მონაწილე პირი ვალდებულია მიაწოდოს სამსახურს მოკვლევის პროცესისთვის მნიშვნელოვანი სრული და უტყუარი ინფორმაცია ან/და მის ხელთ არსებული შესაბამისი დოკუმენტები ან/და სხვა რაიმე მტკიცებულება, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში.

3. მოკვლევაში მონაწილე პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

4. სამსახური ან მოკვლევაში მონაწილე პირი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოკვლევაში ჩართვის მიზნით მოიწვიოს სპეციალისტი ან/და დარგის ექსპერტი.

5. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს მოკვლევა, უფლება აქვს დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს სამსახურს და აცილება მისცეს სამსახურის იმ თანამშრომელს, რომელიც ჩართულია მოკვლევის პროცესში და პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

6. მოკვლევის პროცესში არ შეიძლება მონაწილეობდეს სამსახურის თანამშრომელი, თუ იგი:

ა) დაინტერესებული მხარეა;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

დ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია;

ე) არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

7. მოკვლევის განმახორციელებელი ჯგუფის წევრი ვალდებულია აცნობოს სამსახურს აცილების საფუძველების არსებობის შესახებ და მოითხოვოს თვითაცილება.

8. აცილების/თვითაცილების შესახებ განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სამსახური. აცილების/თვითაცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში განისაზღვრება მოკვლევის განმახორციელებელი ჯგუფის ახალი წევრი.

მუხლი 7. მოკვლევის ზოგადი წესი და ხანგრძლივობა

1. მოკვლევის ფარგლებს, თემატიკას და მოკვლევაში ჩართული თანამშრომლების ვინაობას ადგენს სამსახური, მოსაკვლევი საკითხის სირთულის, მნიშვნელობის, მასში ჩართული პირების რაოდენობის, პრეცედენტულობისა და მოკვლევის პროცესში ჩართული აუდიტორის/აუდიტორული ფორმის მიერ გაწეული სამუშაოების და სპეციფიკის გათვალისწინებით. მოკვლევა ხორციელდება არანაკლებ 2 პირისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტიც/ექსპერტიც.

2. მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამსახური იწყებს მოკვლევას და არაუგვიანეს 3 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

3. მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სამსახურის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე.

4. სამსახური განმცხადებელს/მომჩივანს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადის

ამოწურვამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა აცნობებს მოკვლევის ვადის გაგრძელების თაობაზე.

5. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დოკუმენტაციის/ინფორმაციის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა იწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის დინების შეჩერებას.

მუხლი 8. მოკვლევის მექანიზმები

სამსახურის მიერ, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, მოკვლევის პროცესის წარმოება შეიძლება მოიცავდეს ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე შემდეგი მექანიზმების გამოყენებას:

ა) ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა რაიმე მტკიცებულების მოპოვებას (მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით) პირისგან/აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან;

ბ) შეხვედრას პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან გარემოებათა დასადგენად საჭირო ახსნა-განმარტებების მიღების მიზნით;

გ) ადგილზე შემოწმებას, ამ წესის მე-11 მუხლით დადგენილ ფარგლებში;

დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

მუხლი 9. სამსახურის მიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა მტკიცებულების მოპოვება

1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მოკვლევის ნებისმიერ ეტაპზე სამსახური უფლებამოსილია სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

2. სამსახურის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ მოკვლევის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა.

3. ინფორმაციის ან/და შესაბამისი დოკუმენტების ან/და სხვა მტკიცებულების მიუწოდებლობად ითვლება სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში მათი არასრულად მიწოდება, ან/და მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ან/და სხვა მტკიცებულების მიწოდება;

4. ინფორმაციის ან/და შესაბამისი დოკუმენტების ან/და სხვა მტკიცებულების მიუწოდებლობად არ ითვლება დასაბუთებული პასუხი მათი არქონის შესახებ.

5. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში ინფორმაციის ან/და შესაბამისი დოკუმენტების ან/და სხვა მტკიცებულების მიუწოდებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონის 23-ე და 24-ე მუხლებით დადგენილი წესით.

6. პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან.

მუხლი 10. შეხვედრა სამსახურის წარმომადგენელთან

1. იმ შემთხვევაში თუ, მოკვლევის ქმედითი ჩატარება მოითხოვს სამსახურის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობას მოკვლევის პროცესში ან/და პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაციას, ტარდება შეხვედრა სამსახურის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან/მოკვლევის სამუშაო ჯგუფის წევრ(ებ)თან (მათ შორის, სამსახურის გადაწყვეტილებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით).

2. სამსახური მოკვლევას დაქვემდებარებული პირის მხრიდან ახსნა-განმარტებების მიღების მიზნით ატარებს შეხვედრას/სხდომას. მხარეს ეგზავნება შეტყობინება შეხვედრის/სხდომის ჩატარების თაობაზე, დროის, ადგილისა და დღის წესრიგის მითითებით.

3. შეხვედრის/სხდომის ოქმში უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები:

ა) შეხვედრის/სხდომის ჩატარების ადგილი და დრო;

ბ) დამსწრე პირთა ვინაობა;

გ) განხილული საკითხები;

დ) ახსნა-განმარტებათა შინაარსი.

4. შეხვედრის/სხდომის ოქმს ხელს აწერენ დამსწრე სამსახურის თანამშრომლები, აგრეთვე აუდიტორი/აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 11. ადგილზე შემოწმება

1. მოკვლევის მიზნებისათვის სამსახურს უფლება აქვს, მოკვლევის დაწყების შესახებ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინფორმირების შემდგომ, ამ უკანასკნელის თანხმობით და მასთან შეთანხმებულ დროს, ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი აუდიტორი/აუდიტორული ფირმა.

2. სამსახურს უფლება აქვს, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ადგილზე შემოწმების მიზნით სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი მოტივირებული შუამდგომლობა, თუ:

ა) ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოკვლევისთვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა მტკიცებულების მიღება შეუძლებელია;

ბ) არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა მტკიცებულების დამალვის ან/და განადგურების საშიშროება;

გ) აუდიტორი/აუდიტორული ფირმა არ ასრულებს ინფორმაციის/დოკუმენტაციის/სხვა მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებას.

3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ადგილზე შემოწმება მოიცავს:

ა) სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაცნობას, მათი კონფიდენციალურობისა და შენახვის წესის მიუხედავად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის ასლების გადაღებას;

გ) ადგილზე ახსნა-განმარტების მიღებას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ადგილზე შემოწმების დროს სამსახურის უფლებამოსილი პირები მოკვლევას დაქვემდებარებულ პირს წარუდგენენ მოსამართლის გადაწყვეტილებას. ადგილზე შემოწმების დასრულების შემდგომ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე სამსახურის თანამშრომლები, აგრეთვე აუდიტორი/აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 12 . სამსახურის საბოლოო გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების წესი

1. მოკვლევის შედეგად წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის/სხვა მტკიცებულების საფუძველზე გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

2. მოკვლევის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, სამსახური ატყობინებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოკვლევის პროცესის გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში ჩერდება საქმის წარმოება. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით.

3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მოკვლევის შედეგების შესახებ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება შესაძლებელია 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში და სასამართლოში.

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

ვართ რეგისტრირებული შპს და ხშირად გვინევს საქონლის გადასაზიდვად, ერთ-ჯერადად, დავიქირავოთ სხვადასხვა ფიზიკური პირები, თავისი საკუთარი ტრანსპორტით, ანუ მომსახურებას გვინევს არარეგისტრირებული პირები. ეკუთვნის თუ არა ამ პირებს საპენსიო მოსაკრებელი და აქვს თუ არა მომსახურეთა ასაკს მნიშვნელობა?

პასუხი:

დიახ, ეკუთვნის, თუ პირი გაწევრებულია ან ვალდებულია (ასაკიდან გამომდინარე), იყოს გაწევრებული საპენსიო სქემაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება სსკ-ის 154-ე მუხლის 1 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით (ფიზიკური პირი რეგისტრირებულია ინდ.მეწარმედ, დღგ-ის გადამხდელია და ა.შ.).

კითხვა:

შპს-ს დამფუძნებელი, რომელიც ასევე არის დირექტორი, იღებს უპროცენტო სესხს. აღებული თანხის მოგების გადასახადით დაბეგვრის გარდა რა ვალდებულებები წარმოექმნება შპს-ს? ასევე, სესხის რა პროცენტი უნდა მიუყენო, რომ როგორც უპროცენტო სარგებელზე საშემოსავლო დაუკავდეს?

პასუხი:

ვინაიდან საწარმოს დირექტორი ითვლება დაქირავებულ პირად, მის მიერ საწარმოდან სესხის უსასყიდლოდ მიღება ითვლება დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებულ სარგებლად და ჩაირთვება მის ხელფასში, რომელიც იბეგრება 20 %-იანი განაკვეთით. შესაბამისად თუ დირექტორზე სესხის გაიცა უპროცენტოდ, სარგებლის ოდენობად ჩაითვლება წლიური 20 %-დან გამომდინარე თანხა (იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №34 ბრძანების პირველი პუნქტი). თუმცა თუ, მაგალითისთვის, სესხი გაიცემა თანამშრომელზე 13%-ში სხვაობის თანხა ანუ სესხის ძირის 7%-ის შესაბამისი თანხა (20%-13%) ჩაითვლება წლის განმავლობაში ჯამურად დასაბეგრ ხელფასად (თვის ხელფასის ოდენობა იქნება ამ თანხის 1/12). ამასთან, თუ აღნიშნული სარგებლის თანხა (უსასყიდლო პროცენტი ან ჩვენი მაგალითის მიხედვით 7%-ის შესაბამისი თანხა) დაიბეგრა საშემოსავლო გადასახადით იგი მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრება.

თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სესხის „ძირის“ გაცემა ფიზიკურ პირზე ასევე წარმოადგენს მოგების გადასახადით დამოუკიდებლად დასაბეგრ ოპერაციას და, აქედან გამომდინარე, სესხის ძირითადი თანხა სესხის გაცემის მომენტში მაინც დაიბეგრება მოგების გადასახადით, ხოლო ამ სესხის დაბრუნებისას მოხდება გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა (დაბრუნებული სესხის ძირის თანხის პროპორციულად).

კითხვა:

ქონების გადასახადის მიზნებისათვის გვაინტერესებს, ერთობლივ შემოსავალში თუ ითვლება იპოთეკური სესხი და საბიუჯეტო ორგანიზაციიდან მიღებული დარიცხული ხელფასი (20% საშემოსავლო უკვე დაკავებულია)? ასევე, გვაინტერესებს თუ იბეგრება ბინა, რომელიც იპოთეკითაა დატვირთული?

პასუხი:

თუ საუბარია აღებულ სესხზე, სესხი შემოსავლად არ ითვლება. შემოსავლად ჩაითვლება ნებისმიერი ხელფასი (დაკავებული 20 %-ის ჩათვლით) ან სხვა შემოსავალი საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით.

ბინის იპოთეკით დატვირთვისას მესაკუთრე არ იცვლება. ამდენად, თუ ბინის მესაკუთრეს წარმოეშობა ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულება, იპოთეკით დატვირთული ბინაც მოექცევა დაბეგვრაში.

კითხვა:

2021 წელს დამკვეთმა ორჯერ ჩავიკრიცხა ავანსი. შესაბამის პერიოდებში გადაგზავნილი გვაქვს ავანსის ანგარიშ-ფაქტურა და გადახდილია დღგ. სანარმოს კიდეც დარჩა ჩასარიცხი თანხა, მაგრამ არ გვირიცხავს, რის გამოც სასამართლო დავა გვაქვს ამ დამკვეთთან. შეგვიძლია თუ არა ავანსად ჩარიცხული თანხა 2021 წლის ბოლოსთვის ავიღოთ შემოსავალში მოგება ზარალის გამოსაყვანად, მხოლოდ მიღება-ჩაბარება რომ გავაკეთოთ და დანარჩენ თანხასაც რომ ჩარიცხავს მაშინ გამოვუწეროთ მთლიან თანხაზე დღგ-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა?

პასუხი:

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა უნდა გამოიწეროს მყიდველის მოთხოვნისას, თუ საქონლის/მომსახურების მიწოდება დასრულებულია (იმის მიუხედავად, მყიდველის მიერ შესაბამისი თანხა გადახდილია თუ არა), ან ავანსის მიღების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, თუ არ ხდება არც მიწოდების და არც ავანსის ანგარიშ-ფაქტურის მოთხოვნა, იგი, შეიძლება, საერთოდ არ იქნეს გამოწერილი.

რაც შეეხება დაბეგვრას, დეკლარაციაში დასაბეგრი ოპერაციის აღიარება უნდა მოხდეს იმ კალენდარულ თვეში, როცა დასრულდა მიწოდება (იმის მიუხედავად, ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია თუ არა) ან ავანსის მიღების მომენტში, თუ თანხის მიღება წინ უსწრებს მიწოდებას. მიღებული ავანსის დაბეგვრა ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ცნობილია საქონლის/მომსახურების დასახელება, რაოდენობა, ღირებულება და ამავდროულად საქონელი/მომსახურება 18%-ით დასაბეგრი ოპერაციაა.

კითხვა:

იმპორტს ახორციელებს რეგისტრირებული მცირე მეწარმე, შემოაქვს სარეალიზაციო პროდუქტი 300 ლარამდე ღირებულების. მცირეს სტატუსის გამო 300 ლარამდე პროდუქტის იმპორტირებისას თუ მოუწევს განბაჟება?

პასუხი:

თუ საუბრობთ საფოსტო გზავნილის იმპორტისას დღგ-ისგან გათავისუფლებაზე, საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის დ.ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე იმპორტის გადასახადისგან (და ასევე დღგ-ისგან) გათავისუფლებულია:

„დ.ვ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის გარდა) იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის,“

აქედან გამომდინარე, თუ თქვენ მიერ ხდება ამ საქონლის რეალიზაცია ან სხვაგვარად გამოყენება ეკონომიკურ საქმიანობაში, თქვენზე აღნიშნული ე.წ. „300-ლარიანი შეღავათი“ არ ვრცელდება.

კითხვა:

საწარმოს ჰყავს სამი მენილე. ერთი წლის წინ მოხდა კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრების შეტანით. ეხლა მენილებს უნდათ გააკეთონ კაპიტალიდან გარკვეული თანხის გატანა და გვანტერესებს დაბეგვრის კუთხით, რაიმე წინაპირობა ხომ არ არსებობს ან შეზღუდვა? ასევე, საჯარო რეესტრში არაა დაფიქსირებული კაპიტალის გაზრდა, რაც მოხდა ერთი წლის წინ და ეხლა აუცილებელია გატანა დავაფიქსიროთ რეესტრში?

პასუხი:

თქვენი კითხვიდან არ ჩანს, საიდან დგინდება, რომ შენატანის დანიშნულება იყო კაპიტალის გაზრდა და არა სესხი. ზოგადად, იმავე ოდენობის თანხის ფულადი სახით გატანა, რაც შეტანილი იქნა შპს-ში, გადასახადებით არ იბეგრება, მაგრამ თუ ოპერაცია გაფორმებული იყო, როგორც სესხი და დამფუძნებლებზე გადახდილი პროცენტი, შემოსავლების სამსახურის ახალი მიდგომით (რომელსაც შესაძლოა არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ ასეთი მიდგომა ნამდვილად არსებობს), შესაძლებელია სესხის პროცენტი დამატებით 15%-ით დაიბეგროს (თუ ოპერაცია სესხად იყო გაფორმებული და შემოსავლების სამსახურმა გადააკვალიფიცირა დივიდენდად). აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელია, რამდენად ხდება თქვენი მხრიდან კაპიტალის გაზრდის დადასტურება, გაქვთ თუ არა სათანადო დოკუმენტაცია (კრების ოქმი და ა.შ.). ამასთან, შემოსავლების სამსახურის ბოლო პერიოდში გამოცემული მეთოდური მითითების მიხედვით, რომელიც ეხება ოპერაციის გადაკვალიფიცირებას, სწორედ ამ საკითხზეა საუბარი, კერძოდ, იმაზე რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტორებმა ეს საკითხი შინაარსობრივად უნდა გაიარონ და დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს ოპერაციის გადაკვალიფიცირების საფუძველი. ამიტომაც ამ საკითხზე პასუხის გასაცემად უფრო მეტი კონკრეტიკაა საჭირო.

გარდა ამისა, ოპერაციის კაპიტალის გაზრდად და შემდგომში შემცირებად განხილვის შემთხვევაშიც კი (თუ გვაქვს შესაბამისი კრების ოქმება და აღნიშნული დასტურდება, როგორც ბანკის ამონაწერებით, ისე კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვით) არსებობს იმის რისკი, რომ გატანილი თანხა დაკვალიფიცირდეს დავიდენდად (მაგალითისთვის - თუ

შემოტანილია 100 000 დოლარი კაპიტალის გაზრდის სახით და კაპიტალის შემცირებით გატანილია იგივე რაოდენობის დოლარი, თუმცა გატანის მომენტში დოლარის კურსი ლართან გაზრდილია) და დაიბეგროს მოგების გადასახადით. ამიტომ ამ საკითხის განხილვა აჯობებს კონსულტანთან ერთად, რათა რაიმე მსგავსი ან სხვა არსებითი გაერეობა არ იქნეს გამორჩენილი მხედველობიდან.

ამასთან, თუ პირები ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, მათ შორის გარიგება (დაბეგვრის მიზნებისთვის) შეფასდება საბაზრო ფასებიდან გამომდინარე. კომპანია და მისი დამფუძნებელი კი ჩაითვლებიან ურთიერთდამოკიდებულ პირებად, თუ დამფუძნებელი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ამ კომპანიის წილის 20 %-ს ან მეტს.

კითხვა:

რესტორანში სამადლობელი თანხა ანუ „თიფი“, რასაც მიმტანს უტოვებს ტერმინალის საშუალებით სტუმარი, ბანკის ტერმინალს მიბმული აქვს ერთერთი თანამშრომლის ანგარიში და იქ გადადის ეს „თიფი“ და მერე ის ანაწილებს მიმტანებს შორის. კომპანიამ უნდა დაბეგროს თუ არა როცა გაანაწილებს ამ თანხას მიმტანებზე საშემოსავლო გადასახადით?

პასუხი:

თუ ეს „თიფი“ კომპანიის საბანკო ამონაწერში არ ექცევა, მაშინ კომპანიას ამ თანხის დაბეგვრის ვალდებულება არ აქვს, ვინაიდან იგი, ამ კონკრეტული ოპერაციის დროს, არ წარმოადგენს გადახდის წყაროს (ამ შემთხვევაში გადახდის წყარო არის სტუმარი, რომელსაც არ აქვს გადასახადის დაკავების ვალდებულება), თუმცა ეს არ ათავისუფლებს თავად მიმტანს გადახდის წყაროსთან დაუბეგრავი შემოსავლის დეკლარირებისა და დაბეგვრის ვალდებულებისგან მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

კითხვა:

კომპანიამ იმპორტით შემოიტანა საქონელი, განბაჟდა. საწყობში როდესაც ჩამოიტვირთა და დაითვალეს აღმოჩნდა საქონლის დანაკლისი, ანუ ინვოისში სხვა რაოდენობა იყო, ხოლო რეალურად კი სხვა. ვიცი რომ განცხადებას წერენ შემოსავლების სამსახურში დაგვანტერესებს თუ დაუკმაყოფილებიათ განცხადება და თუ ჩაუკორექტირებიათ დეკლარაცია (რა თქმა უნდა დაკორექტირებული და ჩასწორებული ინვოისის საფუძველზე), ანუ რამე რისკებთან იქნება თუ არა დაკავშირებული?

პასუხი:

თუ კონტეინერის გახსნას და საქონლის დათვლას ესწრებოდა შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი ან სხვა ოფიციალური პირი, რომელსაც ალიარებს შემოსავლების სამსახური, ან ეს ფაქტი უტყუარად დასტურდება დამოუკიდებელი და სანდო მესამე პირის მიერ, მაშინ ამგვარი კორექტირება შესაძლებელია. სხვა შემთხვევაში, ვინაიდან შემოსავლების სამსახური ამ ფაქტის გადამოწმების საშუალებას მოკლებულია, იმოქმედებს თავდაპირველი დეკლარაციის ნამდვილობის „პრეზუმფციის“ პრინციპი და თქვენი განცხადება, დიდი ალბათობით, არ დაკმაყოფილდება.

კითხვა:

უცხო ქვეყნის მოქალაქე/ არარეზიდენტი პირი არის ბინის მესაკუთრე (იგი 183 დღე არ ცხოვრობს საქართველოში). მან დაარეგისტრირა შპს საქართველოში და მის მიერ დარეგისტრირებული საწარმოო რეზიდენტი საწარმოა. რა სახის გადასახადებით დაიბეგრება არარეზიდენტი ფიზიკური პირი?

პასუხი:

თქვენი კითხვა ძალიან ზოგადია, ამიტომაც ამომწურავი პასუხის გაცემა მეტისმეტად რთულია.

ზოგადად არარეზიდენტი ფიზიკური პირი შეიძლება დაიბეგროს გადახდილ დივიდენდზე 5%-იანი განაკვეთით გადახდის წყაროსთან (დივიდენდის გაცემისას გადახდილი 15%-ის გამოკლებით) ან/და ქონების გადასახადით (თუ პირის ოჯახის შემოსავალია აღემატება 40 000 ლარს და მას საქართველოში აქვს დასაბეგრი ქონება გარდა მიწისა (მაგ. ბინა, სახლი, მანქანა) ან მიწა - იმის მიუხედავად, მიღებულია თუ არა 40 000 ლარის შემოსავლი).

თუ საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის, რომლის რეზიდენტიცაა ეს პირი, არსებობს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ და ასეთი შეთანხმება არ ითვალისწინებს 5%-იანი გადასახადის დაკავებას (გასათვალისწინებელია ამ ხელშეკრულების პირობები), მაშინ იგი შეიძლება (თუ წარმოდგენილია ე.წ. რეზიდენტობის ცნობა და სრულდება სხვა პირობები), საერთოდ არ დაიბეგროს საქართველოში.

კითხვა:

საწარმოს ფული არ ჰქონდა დავალიანების დასაფარად და დამფუძნებელმა ბანკში შეიტანა თანხა შინაარსით: დამფუძნებლის შენატანი. ამ პერიოდში საწესდებო კაპიტალის ზრდა არ მომხდარა, არც დაოქმებულა, ამიტომ ვერ ვსაზღვრავთ შენატანის შინაარსს და ვერც საგადასახადო მიზნით ვყალიბდებით. გვაინტერესებს, როდესაც იგივე ოდენობის თანხა გაუჩნდება საწარმოს, რაც დამფუძნებელმა შეიტანა, რომ გამოითქვას ამ დროს დაბეგვრა ხდება თუ არა?

პასუხი:

„დამფუძნებლის შენატანი“, შინაარსით, მხოლოდ ორი სახის შეიძლება იყოს - ა) შენატანი საწესდებო კაპიტალში; ბ) სესხი. რაკი საწესდებო კაპიტალის გაზრდა არ მომხდარა, მაშასადამე, ეს შენატანი არის სესხი. შესაბამისად, ფულადი სახით სესხის დაბრუნება დასაბეგრი ოპერაცია არ არის. დასაბეგრი შეიძლება იყოს ამ სესხზე დარიცხული პროცენტი. ამასთან, თუ პირები ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, მათ შორის გარიგება (დაბეგვრის მიზნებისთვის) შეფასდება საბაზრო ფასებიდან გამომდინარე. კომპანია და მისი დამფუძნებელი კი ჩაითვლებიან ურთიერთდამოკიდებულ პირებად, თუ დამფუძნებელი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ამ კომპანიის წილის 20 %-ს ან მეტს.

ინფორმაცია ბირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის ნოემბერში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლოტი	რუმინული ლეი	უკრაინული ფირინი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.11.22	1,4090	3,7018	2,7557	3,2009	1,9231	2,3493	2,6749	5,8439	5,6079	0,6714	2,5231	2,7735	1,1250	2,7754
02.11.22	1,4056	3,6923	2,7491	3,1944	1,9183	2,3434	2,6916	5,8462	5,5952	0,6742	2,5277	2,7868	1,1226	2,7676
03.11.22	1,3964	3,6687	2,7309	3,1769	1,9004	2,3283	2,6669	5,8081	5,5611	0,6697	2,5056	2,7673	1,1154	2,7596
04.11.22	1,3685	3,5956	2,6760	3,0925	1,8598	2,2820	2,5860	5,6798	5,4599	0,6534	2,4463	2,7114	1,0910	2,7491
05.11.22	1,3722	3,6059	2,6838	3,0761	1,8445	2,2884	2,6116	5,7203	5,4891	0,6660	2,4676	2,7223	1,0976	2,7419
06.11.22	1,3722	3,6059	2,6838	3,0761	1,8445	2,2884	2,6116	5,7203	5,4891	0,6660	2,4676	2,7223	1,0976	2,7419
07.11.22	1,3722	3,6059	2,6838	3,0761	1,8445	2,2884	2,6116	5,7203	5,4891	0,6660	2,4676	2,7223	1,0976	2,7419
08.11.22	1,3963	3,6699	2,7304	3,1280	1,8747	2,3280	2,6677	5,8220	5,5878	0,6798	2,5251	2,7599	1,1201	2,7340
09.11.22	1,3991	3,6789	2,7366	3,1413	1,8705	2,3336	2,6592	5,8341	5,5936	0,6827	2,5234	2,7673	1,1243	2,7366
10.11.22	1,4035	3,6899	2,7446	3,1271	1,8733	2,3403	2,6555	5,8326	5,5960	0,6786	2,5297	2,7727	1,1264	2,7328
11.11.22	1,3863	3,6449	2,7114	3,1028	1,8457	2,3109	2,6079	5,7458	5,5418	0,6758	2,4909	2,7556	1,1128	2,7261
12.11.22	1,4270	3,7520	2,7910	3,1903	1,8792	2,3801	2,7146	5,9598	5,7069	0,6913	2,5963	2,8303	1,1493	2,7179
13.11.22	1,4270	3,7520	2,7910	3,1903	1,8792	2,3801	2,7146	5,9598	5,7069	0,6913	2,5963	2,8303	1,1493	2,7179
14.11.22	1,4270	3,7520	2,7910	3,1903	1,8792	2,3801	2,7146	5,9598	5,7069	0,6913	2,5963	2,8303	1,1493	2,7179
15.11.22	1,4298	3,7589	2,7963	3,1922	1,8628	2,3842	2,7129	5,9593	5,7088	0,6879	2,6026	2,8665	1,1520	2,7172
16.11.22	1,4531	3,8220	2,8432	3,2328	1,8840	2,4234	2,7452	6,0400	5,7980	0,7004	2,6277	2,9032	1,1694	2,7249
17.11.22	1,4603	3,8397	2,8563	3,2664	1,9208	2,4349	2,7585	6,0715	5,8051	0,7019	2,6307	2,9154	1,1736	2,7396
18.11.22	1,4427	3,7921	2,8207	3,2334	1,8944	2,4055	2,6947	5,9994	5,7266	0,6821	2,5759	2,8738	1,1567	2,7272
19.11.22	1,4423	3,7930	2,8213	3,2419	1,8948	2,4044	2,6943	6,0020	5,7121	0,6913	2,5674	2,8583	1,1584	2,7188
20.11.22	1,4423	3,7930	2,8213	3,2419	1,8948	2,4044	2,6943	6,0020	5,7121	0,6913	2,5674	2,8583	1,1584	2,7188
21.11.22	1,4423	3,7930	2,8213	3,2419	1,8948	2,4044	2,6943	6,0020	5,7121	0,6913	2,5674	2,8583	1,1584	2,7188
22.11.22	1,4221	3,7393	2,7814	3,2111	1,8679	2,3708	2,6507	5,9153	5,6288	0,6786	2,5314	2,8337	1,1421	2,7178
23.11.22	1,4290	3,7579	2,7951	3,2255	1,9079	2,3822	2,6682	5,9400	5,6746	0,6835	2,5477	2,8491	1,1479	2,7192
24.11.22	1,4290	3,7579	2,7951	3,2255	1,9079	2,3822	2,6682	5,9400	5,6746	0,6835	2,5477	2,8491	1,1479	2,7192
25.11.22	1,4427	3,7943	2,8218	3,2866	1,9235	2,4044	2,7254	6,0036	5,7227	0,6806	2,5911	2,8750	1,1591	2,7117
26.11.22	1,4429	3,7948	2,8220	3,2825	1,9263	2,4048	2,7376	6,0188	5,7324	0,6884	2,6046	2,8719	1,1581	2,7088
27.11.22	1,4429	3,7948	2,8220	3,2825	1,9263	2,4048	2,7376	6,0188	5,7324	0,6884	2,6046	2,8719	1,1581	2,7088
28.11.22	1,4429	3,7948	2,8220	3,2825	1,9263	2,4048	2,7376	6,0188	5,7324	0,6884	2,6046	2,8719	1,1581	2,7088
29.11.22	1,4515	3,8176	2,8390	3,2770	1,9379	2,4196	2,7424	6,0611	5,7619	0,6950	2,6119	2,8756	1,1658	2,7103
30.11.22	1,4415	3,7914	2,8196	3,2638	1,9168	2,4027	2,7291	6,0214	5,7324	0,6934	2,5892	2,8606	1,1586	2,7153

თარიღი	კანადური დოლარი	ავსტრალიური დოლარი	ეგიპტური გირგანა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგელანდური დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.11.22	2,0303	1,7738	1,1493	0,1491	1,8667	7,5562	0,6608	7,8528	1,9603	8,9587	3,8028	3,5357	3,3529	1,6086
02.11.22	2,0431	1,7843	1,1420	0,1486	1,8811	7,5350	0,6590	7,8806	1,9620	8,9364	3,8066	3,5258	3,3464	1,6271
03.11.22	2,0282	1,7719	1,1380	0,1482	1,8760	7,5132	0,6570	7,7895	1,9543	8,9106	3,7902	3,5155	3,3335	1,6235
04.11.22	1,9951	1,7273	1,1348	0,1476	1,8529	7,4846	0,6545	7,6969	1,9323	8,8509	3,7570	3,5021	3,3166	1,5818
05.11.22	2,0117	1,7455	1,1304	0,1472	1,8555	7,4650	0,6528	7,7046	1,9381	8,8334	3,7832	3,4929	3,3260	1,5977
06.11.22	2,0117	1,7455	1,1304	0,1472	1,8555	7,4650	0,6528	7,7046	1,9381	8,8334	3,7832	3,4929	3,3260	1,5977
07.11.22	2,0117	1,7455	1,1304	0,1472	1,8555	7,4650	0,6528	7,7046	1,9381	8,8334	3,7832	3,4929	3,3260	1,5977
08.11.22	2,0270	1,7662	1,1228	0,1469	1,8642	7,4435	0,6510	7,7171	1,9474	8,8250	3,7839	3,4828	3,3375	1,6172
09.11.22	2,0271	1,7728	1,1219	0,1471	1,8712	7,4506	0,6516	7,7520	1,9514	8,8506	3,7726	3,4861	3,3407	1,6236
10.11.22	2,0311	1,7662	1,1214	0,1469	1,8749	7,4402	0,6507	7,7015	1,9510	8,8383	3,7711	3,4815	3,3559	1,6118
11.11.22	2,0094	1,7428	1,1159	0,1465	1,8609	7,4220	0,6491	7,6522	1,9424	8,8166	3,7577	3,4730	3,3322	1,5942
12.11.22	2,0428	1,8128	1,1147	0,1465	1,9514	7,3997	0,6471	7,8869	1,9713	8,8445	3,8131	3,4673	3,3633	1,6413
13.11.22	2,0428	1,8128	1,1147	0,1465	1,9514	7,3997	0,6471	7,8869	1,9713	8,8445	3,8131	3,4673	3,3633	1,6413
14.11.22	2,0428	1,8128	1,1147	0,1465	1,9514	7,3997	0,6471	7,8869	1,9713	8,8445	3,8131	3,4673	3,3633	1,6413
15.11.22	2,0430	1,8116	1,1112	0,1460	1,9319	7,3978	0,6470	7,9265	1,9741	8,8278	3,8433	3,4673	3,3437	1,6485
16.11.22	2,0534	1,8437	1,1152	0,1464	1,9570	7,4187	0,6488	7,9455	1,9931	8,8586	3,8731	3,4831	3,3598	1,6794
17.11.22	2,0687	1,8588	1,1182	0,1472	1,9667	7,4588	0,6523	8,0237	2,0039	8,9006	3,8710	3,5022	3,3695	1,6939
18.11.22	2,0404	1,8199	1,1145	0,1465	1,9491	7,4250	0,6493	7,8866	1,9811	8,8574	3,8130	3,4845	3,3402	1,6625
19.11.22	2,0407	1,8284	1,1111	0,1460	1,9445	7,4027	0,6473	7,8708	1,9826	8,8330	3,8207	3,4756	3,3276	1,6824
20.11.22	2,0407	1,8284	1,1111	0,1460	1,9445	7,4027	0,6473	7,8708	1,9826	8,8330	3,8207	3,4756	3,3276	1,6824
21.11.22	2,0407	1,8284	1,1111	0,1460	1,9445	7,4027	0,6473	7,8708	1,9826	8,8330	3,8207	3,4756	3,3276	1,6824
22.11.22	2,0237	1,7995	1,1104	0,1459	1,9180	7,4000	0,6471	7,8366	1,9659	8,8154	3,7923	3,4817	3,3206	1,6633
23.11.22	2,0294	1,8066	1,1089	0,1460	1,9236	7,4032	0,6474	7,8199	1,9714	8,8257	3,8098	3,4802	3,3295	1,6723
24.11.22	2,0294	1,8066	1,1089	0,1460	1,9236	7,4032	0,6474	7,8199	1,9714	8,8257	3,8098	3,4802	3,3295	1,6723
25.11.22	2,0326	1,8290	1,1034	0,1456	1,9619	7,3828	0,6456	7,9232	1,9731	8,8243	3,7953	3,4727	3,3220	1,6970
26.11.22	2,0307	1,8287	1,1042	0,1454	1,9457	7,3755	0,6450	7,9149	1,9732	8,8091	3,7805	3,4676	3,3162	1,6919
27.11.22	2,0307	1,8287	1,1042	0,1454	1,9457	7,3755	0,6450	7,9149	1,9732	8,8091	3,7805	3,4676	3,3162	1,6919
28.11.22	2,0307	1,8287	1,1042	0,1454	1,9457	7,3755	0,6450	7,9149	1,9732	8,8091	3,7805	3,4676	3,3162	1,6919
29.11.22	2,0184	1,8186	1,1020	0,1455	1,9674	7,3790	0,6453	7,8880	1,9747	8,8197	3,7681	3,4696	3,3187	1,6893
30.11.22	2,0193	1,8312	1,1056	0,1457	1,9688	7,3926	0,6465	7,9156	1,9791	8,8302	3,7888	3,4762	3,3225	1,6960

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელარუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.11.22	4,4853	1,6358	1,1013	7,9297	1,4391	7,0285	2,7027	0,2485	0,7516	0,5934	3,3504	1,5138	0,5240
02.11.22	4,5018	1,6323	1,0986	7,9074	1,4358	7,0110	2,6951	0,2481	0,7494	0,5972	3,3327	1,5250	0,5343
03.11.22	4,4723	1,6278	1,0955	7,8846	1,4310	6,9885	2,7056	0,2477	0,7472	0,5984	3,3152	1,5196	0,5362
04.11.22	4,4077	1,6216	1,0913	7,8546	1,4239	6,9677	2,6979	0,2475	0,7444	0,5897	3,2935	1,4901	0,5342
05.11.22	4,4104	1,6163	1,0884	7,8340	1,4170	6,9371	2,6853	0,2463	0,7424	0,5893	3,2763	1,5049	0,5359
06.11.22	4,4104	1,6163	1,0884	7,8340	1,4170	6,9371	2,6853	0,2463	0,7424	0,5893	3,2763	1,5049	0,5359
07.11.22	4,4104	1,6163	1,0884	7,8340	1,4170	6,9371	2,6853	0,2463	0,7424	0,5893	3,2763	1,5049	0,5359
08.11.22	4,4551	1,6116	1,0853	7,8114	1,4140	6,9070	2,6831	0,2456	0,7403	0,5891	3,2548	1,5318	0,5402
09.11.22	4,4843	1,6119	1,0863	7,8189	1,4194	6,9136	2,6649	0,2454	0,7410	0,5886	3,2579	1,5407	0,5301
10.11.22	4,4669	1,6106	1,0848	7,8080	1,4189	6,9206	2,5352	0,2449	0,7405	0,5855	3,2926	1,5351	0,5308
11.11.22	4,4477	1,6068	1,0822	7,7889	1,4147	6,8928	2,6806	0,2440	0,7381	0,5837	3,2430	1,5308	0,5246
12.11.22	4,5047	1,6022	1,0789	7,7654	1,4165	6,8634	2,6725	0,2429	0,7359	0,5904	3,2289	1,5726	0,5051
13.11.22	4,5047	1,6022	1,0789	7,7654	1,4165	6,8634	2,6725	0,2429	0,7359	0,5904	3,2289	1,5726	0,5051
14.11.22	4,5047	1,6022	1,0789	7,7654	1,4165	6,8634	2,6725	0,2429	0,7359	0,5904	3,2289	1,5726	0,5051
15.11.22	4,4847	1,6017	1,0786	7,7634	1,4183	6,8642	2,6751	0,2427	0,7358	0,5895	3,2268	1,5657	0,5101
16.11.22	4,5177	1,6058	1,0817	7,7854	1,4229	6,8985	2,6775	0,2436	0,7378	0,5927	3,2441	1,5864	0,5116
17.11.22	4,5232	1,6145	1,0875	7,8274	1,4305	6,9313	2,7012	0,2451	0,7424	0,5960	3,2483	1,5908	0,5144
18.11.22	4,5198	1,6075	1,0826	7,7920	1,4238	6,9073	2,6784	0,2440	0,7386	0,5966	3,2328	1,5609	0,5057
19.11.22	4,4986	1,6022	1,0793	7,7680	1,4176	6,8714	2,6727	0,2431	0,7364	0,5888	3,2210	1,5715	0,5030
20.11.22	4,4986	1,6022	1,0793	7,7680	1,4176	6,8714	2,6727	0,2431	0,7364	0,5888	3,2210	1,5715	0,5030
21.11.22	4,4986	1,6022	1,0793	7,7680	1,4176	6,8714	2,6727	0,2431	0,7364	0,5888	3,2210	1,5715	0,5030
22.11.22	4,4756	1,6016	1,0789	7,7651	1,4154	6,8722	2,6718	0,2427	0,7359	0,5862	3,2200	1,5610	0,5054
23.11.22	4,4808	1,6025	1,0794	7,7691	1,4128	6,8841	2,6850	0,2429	0,7364	0,5865	3,2223	1,5742	0,5122
24.11.22	4,4808	1,6025	1,0794	7,7691	1,4128	6,8841	2,6850	0,2429	0,7364	0,5865	3,2223	1,5742	0,5122
25.11.22	4,4871	1,5976	1,0765	7,7477	1,4061	6,8665	2,6407	0,2417	0,7342	0,5830	3,2153	1,5940	0,5068
26.11.22	4,4690	1,5959	1,0757	7,7394	1,4033	6,8465	2,6378	0,2414	0,7335	0,5815	3,2357	1,5854	0,5099
27.11.22	4,4690	1,5959	1,0757	7,7394	1,4033	6,8465	2,6378	0,2414	0,7335	0,5815	3,2357	1,5854	0,5099
28.11.22	4,4690	1,5959	1,0757	7,7394	1,4033	6,8465	2,6378	0,2414	0,7335	0,5815	3,2357	1,5854	0,5099
29.11.22	4,4599	1,5972	1,0759	7,7437	1,4007	6,8572	2,6684	0,2412	0,7338	0,5788	3,2113	1,5865	0,5020
30.11.22	4,4519	1,6002	1,0779	7,7580	1,3990	6,8763	2,6733	0,2420	0,7352	0,5805	3,2172	1,6012	0,5061

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

